

პაუდიგულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი)

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2018, №10

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2018, №10

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2018, №10

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2018, №10

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **გიორგი ჭყონიკა**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 299 04 18; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

1. ვალდებულების შესრულება

კეთილსინდისიერების პრინციპი

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-668-668-2018

20 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
ნ. ბაქაძური

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება (ძირითად სარჩელში), დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა, იძულებითი კონტრაქტირება (შეგვებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. შპს „ჯ-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ნ-ს“ (შემდგომში – მოპასუხე, შეგვებულ სარჩელის ავტორი) მიმართ 94 975 ლარის ანაზღაურების შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, წარმოადგენს წყლის მიმწოდებელ კომპანიას, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს სემეკის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები-სა“ და სემეკის 2011 წლის 21 დეკემბერს გაცემული №005 წყალმომარაგების ლიცენზიის შესაბამისად. კომპანიის მონაცემთა ბაზაში აბონენტად რეგისტრირებულია ე.წ. „გ-ი“, სულ ხუთი ობიექტი, რომელთა შორისაც არის მოპასუხე აბონენტის ნომრით №... მას სასმელი წყლის მიწოდების სისტემაზე დამონტაჟებული აქვს წყლის მრიცხველი. გარდა ამისა, იგი მოიხმარს არტეზიული წყლის წყალს „გოგირდის წყალს“, რომლის გადინება ხორციელდება კომპანიის კუთვნილი საკანალიზაციო ქსელით. ვინაიდან გოგირდის წყალს მწყობრიდან გამოჰყავს მრიცხველი, შეუძლებელი იყო არტეზიული წყლიდან მოპოვებული და მოხმარებული გოგირდის წყლის მრიცხველით აღრიცხვა, რის გამოც

2015 წლის მარტამდე გოგირდის აბანოებს და, მათ შორის, მოპასუხეს არტეზიული ჭიდან მოპოვებულ და მოხმარებულ გოგირდის წყალზე გადასახადი ერიცხებოდა გარკვეული ნორმით. გოგირდის აბანოების ადგილზე დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ ისინი რეალურად მოიხმარდნენ იმაზე მეტი რაოდენობის გოგირდის წყალს, ვიდრე მათ ერიცხებოდათ. კერძოდ, ლიცენზიანტ ორგანიზაციას დამონტაჟებული აქვს მრიცხველი, რომელიც აღრიცხავს ჭიდან მოპოვებული გოგირდის წყლის საერთო რაოდენობას. კომპანიის წარმომადგენლების მიერ აღნიშნულ მრიცხველზე დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ ერთი დღის განმავლობაში არტეზიული ჭიდან ხორციელდება 996 კუბური მეტრი გოგირდის წყლის მოპოვება და ერთსა და იმავე დიამეტრის მილების საშუალებით ამოტუმბული გოგირდის წყლის ხუთივე ობიექტზე, მათ შორის, მოპასუხისათვის მიწოდება.

3. მოსარჩელის მითითებით გაირკვა, რომ ტექნოლოგიურად შეუძლებელია გოგირდის წყლის ამოტუმბვის პროცესის შეჩერება და ობიექტზე 24 საათის განმავლობაში ხორციელდება ჭიდან მოპოვებული წყლის ამოქაჩვა, აბანოებში მოხმარება და საკანალიზაციო ქსელში გატარება. შესაბამისად, დაკვირვების შედეგად მიღებული დღიური ხარჯიდან მოხდა თითოეულ ობიექტზე თვიური ხარჯის დარიცხვა.

4. მოპასუხეს გოგირდის წყალი მიეწოდება ორი მილით, 2015 წლის მარტიდან მოპასუხის მიერ არტეზიული ჭიდან მოხმარებული წყლის ყოველთვიურმა რაოდენობამ შეადგინა 9 960 კუბური მეტრი, ხოლო საკანალიზაციო ქსელში გატარების ლიწებულებამ – 8 415 ლარი. 2015 წლის მარტის შემდეგ საკანალიზაციო ქსელით მომსახურების დარიცხვა სადავოდ გახადეს „გ-მა“, მათ შორის, მოპასუხემ, რის გამოც, აბონენტზე დაგროვდა საკანალიზაციო ქსელით მომსახურების დავალიანება, რამაც 2016 წლის 1 მაისის მდგომარეობით შეადგინა 94975 ლარი.

მოპასუხის პოზიცია:

5. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს მოსარჩელის წინააღმდეგ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვისა და იძულებითი კონტრაქტების მოთხოვნით.

6. შეგებებული სარჩელის მითითებით, მოსარჩელე წარმომადგენს ერთადერთ კომპანიას, რომელიც დედაქალაქს სასმელი წყლით ამარაგებს და აბონენტებს ემსახურება წყალარინების სისტემით. მას დომინირებული მდგომარეობა უკავია ბაზარზე.

7. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 აგვისტოს №17 დადგენილებით, არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის დღგ-ს ჩათვლით, განსაზღვრულია წყალარინების მხოლოდ ზედა ზღვრული ტარიფი, 0,84488 ლ/მ კუბი, 2015 წლის მარტამდე მხარეთა შორის არსებობდა შეთანხმება, რომლის თანახმადაც, შეგებებული სარჩელის ავტორი, აბანოების მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, წყალარინების მომსახურებისათვის მოსარჩელეს უხდოდა 10 თეთრს, რასაც დღემდე იხდის.

8. 2015 წლის მარტიდან მოსარჩელემ გამოიყენა ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა და მოპასუხეს დაუწესა კომპანიის საქმიანობისათვის წამგებიანი და ზიანის მომტანი ტარიფი. მან უარი განაცხადა ყოველგვარ მოლაპარაკებაზე მოსარჩელესთან და კატეგორიულად მოითხოვა მისგან სემეკის მიერ დაწესებული ტარიფის ზედა ზღვრის გადახდა, რასაც აბანო დახურვამდე მიჰყავს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ძირითად მოსარჩელეს დაევალა სემეკის მიერ დადგენილი ტარიფის ფარგლებში მოპასუხის მიმართ წყალარინების საფასურის უმრიცხველო დარიცხვის განხორციელება, 2015 წლის მარტამდე არსებული სახელშეკრულებო პირობების (ხარჯი – 1683.00) შესაბამისად, რაც ძირითადად მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

11. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე წარმოადგენს წყლის მიმწოდებელ კომპანიას. მას ბაზარზე უკავია მონოპოლიური მდგომარეობა და თავის ფუნქციებს ახორციელებს სემეკის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებისა“ და სემეკის 2011 წლის 21 დეკემბერს გაცემული №005 წყალმომარაგების ლიცენზიის შესაბამისად.

12. მოსარჩელის მონაცემთა ბაზაში აბონენტად რეგისტრი-

რებულია მოპასუხე №.. აბონენტის ნომრით, რომელიც ფუნქციონირებს აბანოს პროფილით.

13. მხარეები იმყოფებიან ერთმანეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობებში, ამ უკანასკნელს სასმელი წყლის მიწოდების სისტემაზე დამონტაჟებული აქვს წყლის მრიცხველი და მოხმარებული სასმელი წყლის ხარჯი, ერიცხება მრიცხველის ჩვენების მიხედვით, საკანალიზაციო მომსახურების ტარიფის გათვალისწინებით.

14. მოპასუხე მოიხმარს ასევე არტეზიული წის წყალს „გოგირდის წყალს“ (გეოთერმული წყალი), რომლის მიწოდება არ ხორციელდება მოსარჩელის მიერ, თუმცა გადინება ხდება მოსარჩელე კომპანიის კუთვნილი წყალარინების (საკანალიზაციო) ქსელით.

15. 2007 წლის 13 დეკემბრის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებით, შპს „ჭ-ზე“ გაიცა, თერმული წყლის (გოგირდის წყლის) მოპოვების მიზნით, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია, რომელიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 25 ივლისის №1-1/1551 ბრძანების საფუძველზე მთლიანად საკუთრებაში გადაეცა შპს „გ-ს“.

16. თერმული წყლების მოპოვებაზე ლიცენზიანტ შპს „გ-ს“ დამონტაჟებული აქვს მრიცხველი (სპეციალური მრიცხველი), რომელიც აღრიცხავს ჭიდან მოპოვებული გოგირდის წყლის საერთო რაოდენობას: ერთი დღის განმავლობაში, შპს „გ-ის“ მიერ არტეზიული ჭიდან ხორციელდება 996 კუბ.მეტრი გოგირდის წყლის მოპოვება, რომელიც ერთი და იმავე დიამეტრის მქონე მილების საშუალებით ნაწილდება მის მომხმარებლებზე, მათ შორის, მოპასუხის ობიექტზე.

17. მოპასუხეს „გოგირდის წყლები“ მიწოდება ორი მილით, რის გამოც მისთვის მიწოდებული წყლის ყოველთვიური ოდენობა განისაზღვრა 9960 კუბ.მეტრით.

18. ტექნოლოგიურად შეუძლებელია გოგირდის წყლის ამოტუმბვის პროცესის შეჩერება. შესაბამისად, მომხმარებელ ობიექტებზე 24 საათის განმავლობაში ხორციელდება ჭიდან მოპოვებული წყლის ამოქაჩვა და მიწოდება. „გოგირდის წყალს“ მწყობრიდან გამოჰყავს მრიცხველი, შეუძლებელია არტეზიული ჭიდან მოპოვებული და მოხმარებული „გოგირდის წყლის“ რაოდენობის მრიცხველით აღრიცხვა. მოხმარების მიუხედავად, მიწოდებული წყალი სრული ოდენობით იღვრება წყალარინების სისტემაში.

19. 2010 წლიდან 2016 წლის 31 მაისის ჩათვლით მოპასუხე

მოსარჩელის მიმართ წყალარინების მომსახურების გადახდას ახორციელებდა უმრიცხველო დარიცხვის გზით.

20. 2015 წლის მარტიდან მოსარჩელემ უარი თქვა მანამდე არსებულ უმრიცხველო დარიცხვის პრინციპით გაანგარიშებულ მომსახურების ღირებულების მიღებაზე და მოპასუხეს მოსთხოვა მომსახურების ღირებულების ანაზღაურება საკანალიზაციო ქსელში ჩაღვრილი თერმული წყლის ოდენობის გათვალისწინებით, 9 969 კუბურ მეტრზე 8 415 ლარის ოდენობით.

21. საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 აგვისტოს №17 დადგენილებითა და მასში ცვლილების შეტანის თაობაზე კომისიის 2015 წლის 18 მაისის №13 დადგენილების განმარტებით ბარათში, მოსარჩელის მომხმარებლებისათვის, მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით, განისაზღვრა სასმელი წყლის მიწოდებისა და წყალარინების შემდეგი ზღვრული ტარიფები (ზედა ზღვარი): გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის 0,225 (სასმელი წყლის მიწოდება 0,191, წყალარინება 0,034); გაუმრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის 2.667 ((სასმელი წყლის მიწოდება 2,259, წყალარინება 0,408); არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის 3.729 (სასმელი წყლის მიწოდება 2.966, წყალარინება 0,763). ტარიფი შეიცავს წყალმომარაგების საექსპლუატაციო დანახარჯებს, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ხარჯებს, საკმარისია რეაბილიტაციისა და განვითარებისათვის და ითვალისწინებს კაპიტალდაბანდებაზე უკუგებისა (ცვეთა/ამორტიზაცია) და ამონაგების გონივრულ და სამართლიან დონეს.

22. მოპასუხემ სადავოდ გახადა საკანალიზაციო ქსელის მომსახურების დარიცხვა ჩაღვრილი წყლის ოდენობის გათვალისწინებით და მოსარჩელეს, როგორც ბაზარზე მონოპოლისტ კომპანიას მოსთხოვა მასთან ხელშეკრულების დადება, ორივე მხარის ინტერესის გათვალისწინებით, რადგან საკანალიზაციო ქსელში ჩამდინარე სითხის გატარება-განმენდის ღირებულება აჭარბებს მიღებული შემოსავლის ოდენობას და იწვევს მესაკუთრისთვის დიდი ოდენობის ზარალს. მანამდე შეთანხმებული გადასახადის ოდენობის გასამმაგება აიძულებს მოპასუხეს, დაკეტოს ისტორიულ აბანოთუბანში არსებული გოგირდის გეოთერმული წყლების აბანოები.

23. სააპელაციო პალატის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია ხელშეკრულების თავისუფლად დადებისა და მისი შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის პრინციპი, თუმცა, რიგ შემთხვევებში, საჭიროა ჩარევა ერთი მხრივ,

კანონმდებლის მიერ, რაც განხორციელებადია იმპერატიული ნორმების საფუძველზე და, მეორე მხრივ, სასამართლოს მიერ კანონის ან ხელშეკრულების პირობის სამართლიანი, მხარეთა ორმხრივი ინტერესების შესაბამისად განმარტების გზით, რაც უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის, როგორც ფასეულობის დაცვას. იძულებითი კონტრაქტებისას სასამართლოს გააჩნია შესაძლებლობა, თავად განსაზღვროს და დაადგინოს სამართლიანი პირობები, სწორედ ამგვარი ნორმატიული შინაარსის მატარებელია სკ-ის 319-ე და 325-ე მუხლები. დასახელებული ნორმებით გათვალისწინებული უფლება, ხელშეკრულების „სუსტი“ მხარემ დაიცვას თავი ხელშეკრულების უსამართლო დებულების მოქმედებისაგან და სასამართლოს ვალდებულება, განხორციელოს აღნიშნული უფლების დაცვა, მიზნად ისახავს ფორმალური ბალანსის, რომელსაც ხელშეკრულება ამყარებს უფლებათა და მოვალეობათა გადანაწილებით, ჩანაცვლებას ეფექტური ბალანსით, რომელიც აღადგენს მხარეთა შორის თანასწორობას. აქვე, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „სუსტი მხარის“ დეფინიცია არ გულისხმობს პირის სტატუსს, არამედ მის მდგომარეობას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

24. მოპასუხის მითითებით, იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მოახდენს თანხის დარიცხვას წყალარინების სისტემაში ჩაშვებული წყლის ოდენობით, ის ვერ შეძლებს ფუნქციონირების გაგრძელებას. შესაბამისად, ის ვერ შეძლებს სამენარმეო საქმიანობის შედეგად შემოსავლის მიღებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს სათანადოდ დასაბუთებული პრეტენზია, რის გამოც შესაძლებელია მსჯელობა მასზე იყო თუ არა პირის საკუთრებაში ჩარევისას მისდამი მოპყრობა გაუმართლებლად განსხვავებული იმავე სიტუაციაში მყოფი სხვა პირების მოპყრობისაგან და პირიქით.

25. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ მას მომხმარებელთან თანაბარი მიდგომა გააჩნია და მოპასუხის უფლება არ ირღვევა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საყურადღებო და გასათვალისწინებელია, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, სადაც დისკრიმინაციად შეფასებულია არამხოლოდ თანასწორი სუბიექტების მიმართ არათანაბარი მოპყრობა, არამედ, არათანასწორ სუბიექტთა მიმართ თანაბარი მოპყრობაც. საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი მოითხოვს, რომ სუბ-

სტანციური უფლებების განხორციელებისას არ იქნეს დაშვებული დისკრიმინაცია. დისკრიმინაციის აკრძალვა, რაც მე-14 მუხლითაა გარანტირებული, ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს. ამასთანავე, ეს მუხლი დამოუკიდებლად არ არსებობს, მასზე დაყრდნობა ხდება კონვენციით დაცულ სხვა უფლებებთან კავშირში. მე-14 მუხლი იცავს საკუთრების უფლებით დისკრიმინაციის გარეშე თავისუფალ სარგებლობას.

26. ევროპის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში საკუთრების ცნება ძალზე ფართოდ არის განმარტებული, რამეთუ იგი ითვალისწინებს არა მხოლოდ მფლობელობის უფლებას, არამედ მთელ რიგ მატერიალურ-ფინანსურ უფლებებს. „საკუთრების“ ცნება მხოლოდ „არსებული საკუთრებით“ არ შემოიფარგლება. „საკუთრებად“ კვალიფიცირდება აგრეთვე საკუთრების სხვა საშუალებები, იმ პრეტენზიების ჩათვლით, რომელთა მიმართაც განმცხადებელმა შეიძლება ამტკიცოს, რომ მას აქვს სულ ცოტა „კანონიერი მოლოდინი“ (რომელიც უფრო კონკრეტული ხასიათის უნდა იყოს ვიდრე უბრალოდ იმედი), რომ მათი რეალიზება მოხდება.

27. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლი არ უზრუნველყოფს საკუთრების მოპოვების უფლებას. თუმცა, „საკუთრება“ შეიძლება იყოს „არსებული საკუთრება“ ან აქტივები, მათ შორის მოთხოვნები, რასთან დაკავშირებითაც მომჩივანმა შეიძლება ამტკიცოს, რომ მას, სულ მცირე, „მართლზომიერი მოლოდინი“ აქვს. მართლზომიერ მოლოდინს უნდა ჰქონდეს „საკმარისი საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში“ (ფაბრი საფრანგეთის წინააღმდეგ, განაცხადი № 16574/08, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 50).

28. „ზოგადად, იმისათვის, რომ საკითხი მოხვდეს მე-14 მუხლის მოქმედების სფეროში, უნდა არსებობდეს ანალოგიურ ან შედარებით მსგავს ვითარებაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა (Burden v. United Kingdom [GC], no. 13378/05, § 60, ECHR 2008). თუმცა ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს აკრძალვის ერთადერთ საფუძველს. კონვენციით დაცული უფლებებით სარგებლობისას დისკრიმინაციისადმი დაუქვემდებარებლობის უფლება მაშინაც ირღვევა, როდესაც სახელმწიფოები, ობიექტური და გამამართლებელი საფუძვლის გარეშე, არ ექცევიან განსხვავებულად მნიშვნელოვნად განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ პირებს“ (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილე-

ბა, საქმე ევეიდა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ). „თავისი პრეცედენტული სამართლით სასამართლომ დაადგინა, რომ დისკრიმინაცია გულისხმობს დაახლოებით მსგავს ვითარებაში ადამიანთა განსხვავებულ მოპყრობას ობიექტური და სუბიექტური გამართლების გარეშე. თუმცა, მე-14 მუხლი არ უკრძალავს ნევრ სახელმწიფოებს ადამიანთა ჯგუფს მოპყრობოდა განსხვავებულად იმისათვის, რათა აღმოეფხვრა „ფაქტობრივი უთანასწორობა“ მათ შორის. მართლაც, განსაზღვრულ გარემოებებში, სახელმწიფოს უმოქმედობა, განსხვავებული მოპყრობის გზით აღმოეფხვრა, შეიძლება თავად გამხდარიყო ამ მუხლის დარღვევის საფუძველი“ (იხ. უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე დ.ფ. და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ).

29. უთანასწორო ურთიერთობებში მხარეთა შორის სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფა მოითხოვს, ერთი მხრივ, პირის კერძო ავტონომიის დაცვას ხელშეკრულების დადების თავისუფლების თვალსაზრისით და, ამასთან, მეორე მხარის კერძო ავტონომიის დაცვას უთანასწორო ურთიერთობაში. თუმცა ეს არც თუ ისე ადვილია. დამკვიდრებული მიდგომის თანახმად, ასეთ შემთხვევაში მხარეთა ინტერესები დაცული უნდა იქნეს სამართლის ზოგად ნორმებზე დაყრდნობით, როგორცაა, მაგალითად, სამოქალაქო სამართალში კეთილსინდისიერების, საჯარო წესრიგის, ზნეობის და ა.შ. პრინციპები, რომელიც თავის მხრივ გამყარებულია კონსტიტუციური ღირებულებებით და, შესაბამისად, საჯაროსამართლებრივ ეფექტსაც იძენენ.

30. როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მხარეთა უფლება-მოვალეობები უნდა განიმარტოს თითოეული მათგანის კერძო ავტონომიის ფარგლებში, თუმცა ისეთ შემთხვევებში, როცა ერთ-ერთი მხარე ფლობს აშკარა უპირატესობას მეორესთან მიმართებით, რაც ძირითადად საბაზრო ძალაუფლებაში ვლინდება, სუსტი მხარის ინტერესები პრიორიტეტული ხდება და განსაკუთრებული დაცვის ქვეშ ექცევა, მაგრამ აქაც მნიშვნელოვანია მხარეთა ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა. უთანასწორო ურთიერთობებში ხელშეკრულების ერთი მხარე სრული მოცულობით სარგებლობს სახელშეკრულებო თავისუფლების დანაწესებით და მისთვის სასურველ შინაარსს აძლევს სახელშეკრულებო პირობებს. მეორე მხარე კი, რომელსაც ერთი შეხედვით კანონით მინიჭებული ისეთივე უფლებები გააჩნია, ვერ ახორციელებს თავის სახელშეკრულებო თავისუფლებას სრული მოცულობით და, შესაბა-

მისად, იზღუდება მისი კერძო ავტონომიის ფარგლებიც. სწორედ მაშინ, როცა ხელშეკრულების პირობები ერთ-ერთ მხარეს მძიმე ტვირთად აწევს, იგი ექცევა სპეციალური დაცვის ქვეშ.

31. მოპასუხემ (შეგებებულ სარჩელში) მომხმარებლისათვის განსაზღვრა ერთიანი ტარიფი და მიუთითა, რომ წარმოადგენს მენარმე სუბიექტს და მისი შემოსავალი საკმარისზე მეტია იმისათვის, რომ არ ისარგებლოს პრივილეგიებით სხვა კომერციულ და არაკომერციულ აბონენტებთან შედარებით. მან გადასახადი უნდა გადაიხადოს იმავე ოდენობით, რაც დაწესებულია სემეკის მიერ და რასაც იხდის ყველა არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი დედაქალაქში. სწორედ ამგვარმა თანაბარმა მიდგომამ განაპირობა მოპასუხის უფლებების დარღვევა.

32. სააპელაციო პალატამ უდავო გარემოებად შეაფასა, რომ მოპასუხის საქმიანობის სპეციფიკისა (აბანოს საქმიანობა) და მის მიერ მოხმარებული თერმული (გოგირდის) წყლის თვისებების გათვალისწინებით არა აქვს შესაძლებლობა, გადაკეტოს მიწოდებული წყლის ნაკადი და მხოლოდ მოხმარების პირობებში გამოყენებული წყალი ჩაუშვას მოსარჩელის წყალარინების სისტემაში. მოპასუხე სხვა მომხმარებლებთან შედარებით განსხვავებულ სუბიექტს წარმოადგენს, რადგან „აბანოს“ სპეციფიკიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება წყლის გადაკეტვა, რაც მის უწყვეტ რეჟიმში საკანალიზაციო სისტემაში ჩაღვრას გულისხმობს. ამასთან, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ წყლის გადაკეტვა არ არის დამოკიდებული მოვალის სურვილსა და შესაძლებლობაზე და იგი იღებს ორჯერ მეტი ოდენობით გოგირდის წყალს (ორი მილით), რაც მას არ ესაჭიროება, ვიდრე სხვა მსგავსი ობიექტები, შესაბამისად, საკანალიზაციო ქსელშიც ორჯერ მეტი რაოდენობის წყალი იღვრება. დასახელებული გარემოება დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

33. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მართალია, ერთი მხარის კანონით დაცული ინტერესი არ უნდა იყოს პრიმატი და არ მიენიჭოს უპირატესობა მეორე მხარის ინტერესებთან შედარებით, თუმცა, საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, რთულია იმის განსაზღვრა, სად გაავლოს ზღვარი სასამართლომ ორმხრივ ინტერესს შორის. მოდავე მხარეები წარმოადგენენ რამენარმე სუბიექტებს, მათი საქმიანობა ორიენტირებულია მოგების მიღებაზე, რაც თავისთავად, მართლზომიერია. მოსარჩელის მიერ შეგებებული სარჩელის ავტორისათვის სემეკის მიერ დადგენილი ზღვრული ტარიფის ფარგლებში განსაზღვრული საფასური მოიცავს როგორც ხარჯს, ასევე მოგებას.

34. აღნიშნულის საპირისპიროდ, აბანოთუბანი, თბილისის ერთ-ერთი ისტორიული უბანია. მისი სახელწოდება მინერალურ წყლებზე გაშენებული აბანოებიდან მოდის. გოგირდოვანი ცხელი წყალი ბუნებრივ სიკეთეს წარმოადგენს. თბილისის თერმული წყლები უნიკალური სამკურნალო თვისების მატარებელია და შეუძლებელია მას არ მიეცეს ფუნქციონირების შესაძლებლობა. სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა თუ რა კონკრეტული ზიანი მიადგება მას მოპასუხესთან განსხვავებულ რეჟიმში ყოფნისას და რა ოდენობით დააზარალებს მას ერთ კონკრეტულ, სხვა მომხმარებლებსაგან განსხვავებულ, სუბიექტთან დარიცხვის გასაჩივრებული გადანყვეტილებით დადგენილი წესი.

35. მოსარჩელე კომპანიის მიერ მეორე მხარისათვის შეთავაზებული სახელშეკრულებო პირობები ამოვარდნილია კერძო-სამართლებრივი სივრციდან, აშკარად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს და არ შეესაბამება სამართლიანობის მოთხოვნებს, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ სკ-ის 325-ე მუხლის საფუძველზე მართებულად განსაზღვრა სახელშეკრულებო პირობად უმრიცხველო დარიცხვა.

36. რაც შეეხება მოსარჩელის პრეტენზიას მიღებული მომსახურების საფასურის გადახდასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ აბონენტის ბარათით ირკვევა და სადავო არ არის, რომ მოპასუხე 2016 წლის 31 მაისის ჩათვლით ახორციელებდა გადახდას უმრიცხველო დარიცხვის გზით ყოველთვიურად იმ ტარიფით, რაც განსაზღვრული იყო მათ შორის 2015 წლის მარტამდე სემეკის მიერ. ვინაიდან გასაჩივრებული გადანყვეტილებით დადგინდა სემეკის მიერ განსაზღვრული ტარიფის გადახდა, თუმცა უმრიცხველო დარიცხვით (ხარჯი – 1683), სწორედ ამიტომ არ დაეკისრა მოპასუხეს წყალარინების საფასურის გადახდა.

37. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ არ არსებობს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 9 იანვრის განჩინების გაუქმების საფუძველები. აღნიშნული განჩინებით მოპასუხის განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის თანახმადაც, მოპასუხე შპს „ნ-ას“ აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

ქასატორის მოთხოვნა და საფუძველები:

38. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

39. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები არ ეფუძნება არავითარ მტკიცებულებას. გაუგებარია რის საფუძველზე დაადგინა სააპელაციო პალატამ კანონით დადგენილი გადასახადის გადახდის შემთხვევაში მოპასუხის შემდგომი ბედი. საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც შეფასდებოდა მოპასუხის ფინანსური მდგომარეობა და იქნებოდა თუნდაც უხეში გაანგარიშება, რამდენია დღეს კომპანიის მოგება ამ პირობებში და რა იქნებოდა მასზე დაკისრებული თანხა სრულად რომ გადაეხადა, რამდენად გამოიწვევდა მისი სამენარმეო საქმიანობის შეფერხებას და შეჩერებას. სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო მხარის ზეპირ მითითებას და შემდგომ აღნიშნულზე დააფუძნა მთელი სამართლებრივი დასაბუთება. იმ პირობებში, როდესაც არ არის დადასტურებული, რომ ვალდებულების სრულად დაფარვა გამოიწვევდა მხარის სამენარმეო საქმიანობის შეჩერებას, შეუძლებელია იმაზე მსჯელობა, რამდენად არის ეს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებული უფლების შეზღუდვა.

40. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლო მიერ მოყვანილი მსჯელობა საკუთრების უფლებასთან და შესაბამისი გადაწყვეტილებების მითითება საერთოდ აცდენილია დავის არსს. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მას არა აქვს შესაძლებლობა, გადაკეტოს მიწოდებული წყლის ნაკადი და მხოლოდ მოხმარების პირობებში გამოყენებული წყალი ჩაუშვას მოსარჩელის წყალარინების სისტემაში. იქვე უთითებს, რომ წყლის გადაკეტვა არ არის დამოკიდებული მოვალის სურვილსა და შესაძლებლობაზე და იგი იღებს ორჯერ მეტი ოდენობით გოგირდის წყალს ორი მილით, რაც მას არ ესაჭიროება. ზემოაღნიშნული სამართლებრივი მსჯელობა დაუსაბუთებელია. ზემოაღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი არავითარი მტკიცებულება მითითებული არ არის, ვინაიდან ასეთი მხარეს არ წარმოუდგენია.

41. კასატორმა აღნიშნა, რომ წყლის ამოქაჩვას ახდენს აბსოლუტურად სხვა კომპანია, რომელიც წარმოადგენს ამ შემთხვევაში წყლის მიწოდებელს. შესაბამისად, თუ მოპასუხეს

ამ ოდენოდით წყლის მიღების საჭიროება არა აქვს, მას შეუძლია, ორი მილის ნაცვლად, წყალი ერთი მილის მეშვეობით მიიღოს. მეორე მილში გამავალი წყლის პრობლემა მოპასუხეს არ ეხება.

42. აქვე საგულისხმოა, რომ, ვინაიდან მომპოვებელი მოპასუხე არ არის, შესაბამისად, გადაკეტივაც არ არის მისი პრობლემა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ნათელია ის გარემოება, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა დაუსაბუთებელია.

43. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლო მიერ მიღებული გადაწყვეტილება შინაარსობრივად წინააღმდეგობაშია სასარჩელო მოთხოვნასთან, ვინაიდან მხარე სთხოვდა სასამართლოს, რომ მას გამოეკვლია და დაედგინა ორივე მხარეთათვის კომერციულად მისაღები წყალარინების ტარიფი – 0.1 ლ/მ. კუბი და ამ პირობით დაევალებულიყვნენ ხელშეკრულების გაფორმება. ამდენად, სააპელაციო პალატას უნდა დაედგინა კომერციულად მისაღები იყო თუ არა 10 თეთრი 1 კუბურ მეტრ წყალზე და თუ ასე აღმოჩნდებოდა, დაევალებულიყვნენ ამ პირობით ხელშეკრულების გაფორმება. სააპელაციო სასამართლო არ გამოიკვლია კომერციულად რამდენად მომგებიანია ეს ტარიფი ორივე მხარისათვის. მეტიც, მან დაადგინა რა, რომ მოსარჩელე მოპასუხეს უწევდა მომსახურებას, ანუ ატარებდა საკუთარ ქსელში მის მიერ მოხმარებულ წყალს 9960 კუბ.მ ოდენობით, აიძულა მოსარჩელე 9960 კუბ.მ წყლის ნაცვლად, მომსახურების საფასური გადაახდევინოს 1683.00 კუბ.მ წყალზე.

44. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მხარეთა თანასწორობის პრინციპი და აიძულა ერთ-ერთი მხარე მეორის სასარგებლოდ უარი ეთქვა მომსახურების საფასურის მიღებაზე მაშინ, როცა ამ მომსახურებით პირი იღებდა მოგებას.

45. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შეთავაზებული სახელშეკრულებო პირობები ამოვარდნილია კერძოსამართლებრივი სივრციდან და ამკარად უთანასწოროა მიუხედავად ასევე დადგენილი ფაქტებისა, რომ სადავო ტარიფი დაადგინა სემეკმა თავისი დადგენილებით, რაც მხარეს თავის დროზე არ გაუსაჩივრებია. ამასთან, ყველა სხვა მომხმარებელი იხდის სწორედ ამ ტარიფს და ვერცერთი შემთხვევა ვერ იქნა დასახელებული, რომ სხვას უფრო შეღავათიანი ტარიფით მიენოდებოდას მომსახურება.

46. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის 2018 წლის 12 ივნისის განჩინებით საკასაციო სა-
ჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კო-
დექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესა-
ბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

47. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კო-
დექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო სა-
ჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებ-
ლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

48. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე
წარმოადგენს წყლის მიმწოდებელ კომპანიას. მას ბაზარზე უკა-
ვია მონოპოლიური მდგომარეობა და თავის ფუნქციებს ახორ-
ცილებს სემეკის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით
დამტკიცებული „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების
წესებისა“ და სემეკის 2011 წლის 21 დეკემბერს გაცემული №005
წყალმომარაგების ლიცენზიის შესაბამისად.

49. მოსარჩელის მონაცემთა ბაზაში აბონენტად რეგისტრი-
რებულია მოპასუხე №... აბონენტის ნომრით, რომელიც ფუნ-
ქციონირებს აბანოს პროფილით.

50. მხარეები იმყოფებიან ერთმანეთთან სახელშეკრულე-
ბო ურთიერთობებში, ამ უკანასკნელს სასმელი წყლის მიწოდე-
ბის სისტემაზე დამონტაჟებული აქვს წყლის მრიცხველი და
მოხმარებული სასმელი წყლის ხარჯი, ერიცხება მრიცხველის
ჩვენების მიხედვით, საკანალიზაციო მომსახურების ტარიფის
გათვალისწინებით.

51. მოპასუხე მოიხმარს ასევე არტიზიული წის წყალს „გო-
გირდის წყალს“ (გეოთერმული წყალი), რომლის მიწოდება არ
ხორციელდება მოსარჩელის მიერ, თუმცა გადინება ხდება მო-
სარჩელე კომპანიის კუთვნილი წყალარინების (საკანალიზაციო)
ქსელით.

52. 2007 წლის 13 დეკემბრის საქართველოს გარემოს დაც-
ვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებით, შპს „ჭ-
ზე“ გაიცა, თერმული წყლის (გოგირდის წყლის) მოპოვების მიზ-
ნით, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია, რომე-
ლიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის
2008 წლის 25 ივლისის №1-1/1551 ბრძანების საფუძველზე
მთლიანად საკუთრებაში გადაეცა შპს „გ-ს“.

53. თერმული წყლების მოპოვებაზე ლიცენზიანტ შპს „გ-ს“
დამონტაჟებული აქვს მრიცხველი (სპეციალური მრიცხველი),
რომელიც აღრიცხავს ჭიდან მოპოვებული გოგირდის წყლის სა-

ერთო რაოდენობას: ერთი დღის განმავლობაში, შპს „გ-ის“ მიერ არტეზიული წიდან ხორციელდება 996 კუბ.მეტრი გოგირდის წყლის მოპოვება, რომელიც ერთი და იმავე დიამეტრის მქონე მილების საშუალებით ნაწილდება მის მომხმარებლებზე, მათ შორის, მოპასუხის ობიექტზე.

54. მოპასუხეს „გ-ი“ მიეწოდება ორი მილით, რის გამოც მისთვის მიწოდებული წყლის ყოველთვიური ოდენობა განისაზღვრა 9960 კუბ.მეტრით.

55. ტექნოლოგიურად შეუძლებელია გოგირდის წყლის ამოტუმბვის პროცესის შეჩერება. შესაბამისად, მომხმარებელ ობიექტებზე 24 საათის განმავლობაში ხორციელდება წიდან მოპოვებული წყლის ამოქაჩვა და მიწოდება. „გოგირდის წყალს“ მწყობრიდან გამოჰყავს მრიცხველი, შეუძლებელია არტეზიული წიდან მოპოვებული და მოხმარებული „გოგირდის წყლის“ რაოდენობის მრიცხველით აღრიცხვა. მოხმარების მიუხედავად, მიწოდებული წყალი სრული ოდენობით იღვრება წყალარინების სისტემაში.

56. 2010 წლიდან 2016 წლის 31 მაისის ჩათვლით მოპასუხე მოსარჩელის მიმართ წყალარინების მომსახურების გადახდას ახორციელებდა უმრიცხველო დარიცხვის გზით.

57. 2015 წლის მარტიდან მოსარჩელემ უარი თქვა მანამდე არსებულ უმრიცხველო დარიცხვის პრინციპით გაანგარიშებულ მომსახურების ღირებულების მიღებაზე და მოპასუხეს მოსთხოვა მომსახურების ღირებულების ანაზღაურება საკანალიზაციო ქსელში ჩაღვრილი თერმული წყლის ოდენობის გათვალისწინებით, 9 969 კუბურ მეტრზე 8 415 ლარის ოდენობით.

58. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 აგვისტოს №17 დადგენილებითა და მასში ცვლილების შეტანის თაობაზე კომისიის 2015 წლის 18 მაისის №13 დადგენილების განმარტებით ბარათში, მოსარჩელის მომხმარებლებისათვის, მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით, განისაზღვრა სასმელი წყლის მიწოდებისა და წყალარინების შემდეგი ზღვრული ტარიფები (ზედა ზღვარი): გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის 0,225 (სასმელი წყლის მიწოდება 0,191, წყალარინება 0,034); გაუმრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის 2.667 ((სასმელი წყლის მიწოდება 2,259, წყალარინება 0,408); არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის 3.729 (სასმელი წყლის მიწოდება 2.966, წყალარინება 0,763). ტარიფი შეიცავს წყალმომარაგების საექსპლუატაციო დანახარჯებს, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ხარჯებს,

საკმარისია რეაბილიტაციისა და განვითარებისათვის და ითვალისწინებს კაპიტალდაბანდებაზე უკუგებისა (ცვეთა/ამორტიზაცია) და ამონაგების გონივრულ და სამართლიან დონეს.

59. მოპასუხემ სადავოდ გახადა საკანალიზაციო ქსელის მომსახურების დარიცხვა ჩალვრილი წყლის ოდენობის გათვალისწინებით და მოსარჩელეს, როგორც ბაზარზე მონოპოლისტ კომპანიას მოსთხოვა მასთან ხელშეკრულების დადება, ორივე მხარის ინტერესის გათვალისწინებით, რადგან საკანალიზაციო ქსელში ჩამდინარე სითხის გატარება-განმენდის ღირებულება აჭარბებს მიღებული შემოსავლის ოდენობას და იწვევს მესაკუთრისთვის დიდი ოდენობის ზარალს. მანამდე შეთანხმებული გადასახადის ოდენობის გასამმაგება აიძულებს მოპასუხეს, დაკეტოს ისტორიულ აბანოთუბანში არსებული გოგირდის გეოთერმული წყლების აბანოები.

60. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, კერძოდ, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადანყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

61. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

62. საკასაციო საჩივარში მითითებული პრეტენზიებიდან საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მხოლოდ იმ პრეტენზიებზე, რომლებიც მოცემული დავის გადასაწყვეტად სამართლებრივად მნიშვნელოვანია. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ*, №7932/03; *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain [GC]* par.26; *Jahnke and Lenoble v France (dec.)*; *Perez v France [GC]*, par. 81); *Boldea v. Romania*, par. 30).

63. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელშეკრულებო-სამართლებრივი ურთიერთობა ეფუძნება ხელშემკვრელი მხარეების მიერ ნამდვილი ნების გამოვლენის შედეგად მათთვის სასურველი უფლება-მოვალეობების წარმოშობას.

64. სახელშეკრულებო სამართალში მოქმედებს მხარეთა ნების ავტონომია, რომლის ფარგლებში შესაძლებელია ხელშეკრულების იმგვარ პირობებზე შეთანხმება, რომლებიც ოპტიმალურად მისაღებია გარიგების ყველა მონაწილისათვის, თუმცა ხელშეკრულების მხარეთა მდგომარეობა ყოველთვის თანაბარი არ არის.

65. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ სსკ-ის 319-ე და 325-ე მუხლებით გათვალისწინებულია უფლება, ხელშეკრულების „სუსტმა“ მხარემ დაიცვას თავი ხელშეკრულების უსამართლო დებულების მოქმედებისაგან და სასამართლოს ვალდებულება, განახორციელოს აღნიშნული უფლების დაცვა, რაც ემსახურება მხარეთა შორის თანასწორობის აღდგენას და მათ კანონიერ ინტერესებს შორის ბალანსის დაცვას.

66. განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დგინდება, რომ მოპასუხე მოიხმარს ასევე არტეზიული წის წყალს „გოგირდის წყალს“ (გეოთერმული წყალი), რომლის მიწოდება არ ხორციელდება მოსარჩელის მიერ, თუმცა გადინება ხდება მოსარჩელე კომპანიის კუთვნილი წყალარინების (საკანალიზაციო) ქსელით.

67. მხარეთა შორის ვერ მოხერხდა ორივე კონტრაქტისათვის მისაღებ პირობებზე შეთანხმება, რადგან, მოპასუხის მი-

თითებით, არსებულზე სამჯერ მომატებული ტარიფის დადგენა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს საზოგადოებას, ხოლო მოსარჩელის განმარტებით, სადავო ტარიფი დგინდება სემეკის დადგენილებით, რომელიც მოპასუხეს არ გაუსაჩივრებია.

68. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის წინაპირობად ვერ მიიჩნევს კასატორის მითითებას, რომ გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ დაარღვია მხარეთა თანასწორობის პრინციპი და არამართლზომიერად ჩაერია ორი იურიდიული პირის სახელშეკრულებო ურთიერთობაში. მართალია, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა თავისუფლებას ანიჭებს მხარეებს, თავად განსაზღვროს რა სახის სახელშეკრულებო ურთიერთობა დაამყარონ და ისარგებლონ მათთვის ხელსაყრელი პირობებით, თუმცა კანონმდებელი, ამავდროულად, ავალდებულებს მხარეებს, იმოქმედონ კეთილსინდისიერად.

69. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კოდექსის ეს დანაწესი, მოიცავს მთელ კერძო სამართალს. აღნიშნული ნორმის დანაწესის მოქმედება ცალსახა და იმპერატიულია, ამიტომაც მხარეებს არ აქვთ უფლება ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გამორიცხოონ მისი მოქმედება. სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, როგორც ვალდებულების ძირითად და აუცილებელ კომპონენტს და მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებით არ შემოიფარგლება. იგი წარმოადგენს კანონისმიერ მოთხოვნას და გულისხმობს, ზოგადად, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება (სუსგ 9.03.2016წ. საქმე №ას-898-848-2015).

70. თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სივრცეში კეთილსინდისიერება მატერიალურ სამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სამართლებრივ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ფართო დატვირთვა შეიძინა. კეთილსინდისიერების პრინციპი თანამედ-

როვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას.

71. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების არა დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა, რაც ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია.

72. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც, ანუ კონტრაჰენტის პატივისაღები ინტერესების გათვალისწინება და დაცვა. ამ მოთხოვნის დარღვევა კი არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა და ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს.

73. კეთილსინდისიერების პრინციპს სამი ფუნქცია ეკისრება: 1) ყველა ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე; 2) კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს ხარვეზის (სამართლის ნორმის ხარვეზის) შემავსებელი ფუნქცია, ასევე ხელშეკრულების პირობათა (რომლებიც მხარეთა მიერ ან/და კანონით არ იყო გათვალისწინებული) დამატების ფუნქცია; 3) გამაუქმებელი, შემზღუდავი და „მაკორექტირებელი“ ფუნქცია.

74. კეთილსინდისიერების ზემოაღნიშნული ფუნქციებიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში, კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მცირე ხელშეწყობაზე, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა მასზე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის.

75. კეთილსინდისიერების პრინციპი უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კონტრაჰენტის ინტერესების გათვალისწინებას,

რომლის არარსებობის შემთხვევაში ადგილი აქვს უფლების ბოროტად გამოყენებას. (სუსგ 29.06.2015წ., საქმე №ას-1338-1376-2015) იგი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის შეფასებით კრიტერიუმს, რომლის შესაბამისადაც, სამართლიანისა და უსამართლოს გამიჯვნის გზით, პირი იღებს ობიექტური დამკვირვებლის შეფასებით ყველაზე სამართლიან გადანყვეტილებას. კეთილსინდისიერების პრინციპი ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მიჩნეულია უშუალოდ მოქმედ სამართლად და მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად (სუსგ 21.05.2012წ. საქმე №ას-221-213-2012), რომლის მიზანი სამართლიანი შედეგის დადგომა და უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა (სუსგ 24.06.2011წ. საქმე №ას-23-18-2011).

76. კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება აქტუალური ხდება მაშინ, როცა პირის მოთხოვნა ან ქმედება ფორმალურად შეესაბამება მოქმედ მატერიალურ კანონმდებლობას, მაგრამ მისი განხორციელება კონკრეტულ შემთხვევაში უსამართლოა (სუსგ 4.11.2015წ. საქმე №ას-528-501-2015). შესაბამისად, მისი ფუნქცია ამკარად უსამართლო შედეგების თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს (სუსგ 18.11.2015, საქმე №ას-549-521-2015).

77. ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მიხედვით, თითოეული მხარე ვალდებულია მოქმედებდეს კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის ფარგლებში, რაც არ შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს ხელშეკრულებით (Principles of European Contract Law (PECL), Art. 1:201). კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპის პრინციპი მიჩნეულია ყოველისმომცველ პრინციპად, თუ არ არის დადგენილი კონკრეტული შემთხვევისთვის სპეციალური დანაწესი (Lando O., *Is Good Faith an Over-Archng General Clause in The Principles of European Contract Law*, *European Review of Private Law*, 6-2007, Kluwer Law International, 842.).

78. კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპები ნაცნობია როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1980 წლის ვენის კონვენციისთვის საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ (CISG) (Convention on Contracts for the International Sale of Goods; საქართველოში რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის №407 დადგენილებით. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/37228>> [15.06.2016]), ასევე საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპებისათვის (UNIDROIT) და ისინი მოიაზრება რო-

გორც გენერალური საფუძვლები ამ აქტებისათვის (მუხლი 7(1) CISG; მუხლი 1.2. PICC). მისი შინაარსი საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა და კონკრეტიზაციას ცალკეულ მოთხოვნებში, კერძოდ ურთიერთგამომრიცხველი მოქმედებების აკრძალვაში, ასევე ორმხრივ ინფორმირებულების ვალდებულებაში ჰპოვებს (Magnus U., Die UNIDROIT Principles und die Wiener Kaufrechtskonvention, The UNIDROIT Principles 2004, Their Impact on Contractual Practice, Jurisprudence and Codification, Reports of the ISDC Colloquium (8/9 June 2006), Zürich 2007, 59.).

79. საკასაციო პალატის მოსაზრებით, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ორივე მხარე იქნება კმაყოფილი: კრედიტორი – ვალდებულების შესრულების მიღებით, ხოლო მოვალე – ვალდებულებისაგან გათავისუფლებით (სუსგ 24.02.2017წ. საქმე №ას-862-828-2016).

80. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო, ერთი მხრივ, ეთანხმება კასატორის მითითებას, რომ მან სადავო ტარიფს განსაზღვრისას უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 აგვისტოს №17 დადგენილებით, თუმცა, მეორე მხრივ, მიიჩნევს, რომ მოპასუხე შპს-ს საქმიანობისა და წყალმომარაგების სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაშვებია მოსარჩელემ მოპასუხისათვის ტარიფი განსაზღვროს სემეკის მიერ დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში მოპასუხის ინტერესების მხედველობაში მიღების გზით (სსკ-ის 319-ე მუხლის მეორე ნაწილი). აღნიშნული გზით გათვალისწინებული იქნება გასაჩივრებულ განჩინებაში დაფიქსირებული მოპასუხის საქმიანობის არცთუ უმნიშვნელო საზოგადოებრივი და ისტორიულ-კულტურული როლიც.

81. ამავდროულად, საკასაციო სასამართლო იზიარებს და კასატორს დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია სააპელაციო პალატის იმ არგუმენტის გასაქარწყლებად, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, თუ რა კონკრეტული ზიანი მიაღება მას მოპასუხესთან განსხვავებულ რეჟიმში ყოფნისას და რა ოდენობით დააზარალებს მას ერთ კონკრეტულ, სხვა მომხმარებლებისაგან განსხვავებულ, სუბიექტთან დარიცხვის გასაჩივრებული გადანყვებილებით დად-

გენილი წესი.

82. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი მატერიალური ან/და საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

83. კასატორმა ვერ დაასაბუთა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობაში მოდის.

84. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით და არც იმ საფუძვლით, რომ საკასაციო სასამართლოს მსგავს საკითხზე ჯერ არ უმსჯელია და გადაწყვეტილება არ მიუღია. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე არ არსებობს ვარაუდი, რომ საკასაციო საჩივრის განხილვის შემთხვევაში მოსალოდნელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს უკვე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

85. ამავდროულად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკისაგან.

86. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

87. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2018 წლის 4 ივნისს №... საგადახდო დავალებით გადახდილი 4749 ლარის 70% – 3324,3 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორ შპს „ჯ-ს“ (საიდენტიფიკაციო კოდი №..) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2018 წლის 4 ივნისს №.. საგადახდო დავალებით გადახდილი 4749 ლარის 70% – 3324,3 ლარი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. ვალდებულების დარღვევა

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-667-634-2014

16 ოქტომბერი, 2015 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: მიღებული შესრულების უკან დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „პ. პ-მა“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მენარდე, მოპასუხე, აპელანტი, კასატორი) და ვ. ვ-მ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც შემკვეთი, მოსარჩელე, მონინალმდეგე მხარე) 2007 წლის 21 მაისს გააფორმეს №2-13, №2-14, №4-7, №4-8 შეთანხმებები, რომლებიც დასაბუთებულია, როგორც „უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებები“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სადავო შეთანხმებები, ხელშეკრულებები). ხელშეკრულებათა მიხედვით, მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, მოსარჩელისათვის დაემზადებინა და საკუთრებაში გადაეცა უძრავი ნივთები (საცხოვრებელი ბინები და ავტოსადგომები მრავალბინიან სახლში) შეთანხმებული საზღაურის (1 152 000 აშშ დოლარის) გადახდის სანაცვლოდ. მითითებულ ხელშეკრულებებში, 2008 წლის 24 ნოემბრის შეთანხმებებით, ცვლილება შევიდა, კერძოდ, №2-13 და №2-14 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უძრავი ქონება ერთ საცხოვრებელ ბინად გაერთიანდა, იმავეზე შეთანხმდნენ მხარეები №4-7 და №4-8 ხელშეკრულებათა საგნების მიმართაც. ზემოხსენებული შეთანხმებებით შეიცვალა ხელშეკრულებების საერთო ღირებულებაც და განისაზღვრა 1 165 541 აშშ დოლარით.

2. მოსარჩელემ შეთანხმებულ ვადაში გადაიხადა ასაშენებელი უძრავი ქონების საფასურის ნაწილი – 786 656.45 აშშ დო-

ლარის ეკვივალენტი ლარი. 15.03.2009 წლის შემდეგ მას დარჩენილი თანხა (378 844.55 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი) აღარ გადაუხდია.

3. 2009 წლის 5 ოქტომბერს მოპასუხემ №159/09 წერილით მიმართა მოსარჩელეს და აცნობა, რომ, ვალდებულების დარღვევის გამო, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებები შეწყვეტილი იყო 2009 წლის 1 ივლისიდან და მოსარჩელეს გადახდილი თანხა, ბესა და პირგასამტეხლოს გამოკლებით, უძრავ ქონებათა მესამე პირზე მიყიდვის შემდეგ დაუბრუნდებოდა.

4. 2011 წლის 18 ივლისს წერილობითი პრეტენზიით მოსარჩელემ მოპასუხეს მოსთხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. მოპასუხემ, საპასუხო წერილობითი პრეტენზიით, მოთხოვნილი თანხიდან, ხელშეკრულებათა 5.4. პუნქტების შესაბამისად (თუ მყიდველმა კანონიერი საფუძვლის გარეშე უარი თქვა ძირითადი ხელშეკრულების ხელმოწერაზე, გამყიდველს უფლება აქვს, მოითხოვოს პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის 0.1 პროცენტის ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის. საურავი დაირიცხება ოცდაათი კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ გამყიდველს უფლება აქვს, მყიდველის შეტყობინების გარეშე ნასყიდობის საგანი მიჰყიდოს მესამე პირს. ამ შემთხვევაში „ბე“ რჩებოდა მის მიმღებს, ამასთან, იგი ჩაითვლებოდა ზიანის ანაზღაურების ანგარიშში, ხოლო ავანსად გადახდილი თანხა დაუბრუნდება მყიდველს ნასყიდობის საგნის მესამე პირისათვის მიყიდვისთანავე. ნასყიდობის საგნის მესამე პირისათვის წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ფასზე ნაკლებ ფასად მიყიდვის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია, გამყიდველს გადაუხადოს სხვაობა მესამე პირთან გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასსა და წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ფასს შორის, გამყიდველის მიერ მყიდველისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან ათი დღის ვადაში), შესრულების ვადის გადაცილებისათვის პირგასამტეხლოს, ბე-სა და სადავო ფართის რეალიზაციის შედეგად მიღებული სხვაობის გაქვითვა მოითხოვა.

5. 2013 წლის 22 მაისს მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და გადახდილი თანხის დაბრუნება და ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. 2013 წლის 1 ნოემბერს მოსარჩელემ დააზუსტა სარჩელი და, საბოლოოდ, შემდეგი მოთხოვნები წაუყე-

ნა მოპასუხეს:

5.1. 1 274 698.11 ლარის (786 656.45 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის) დაბრუნება;

5.2. 1 274 698.11 ლარის წლიური 9%-ის (535 077.50 ლარის) გადახდა 2009 წლის 1 ივლისიდან 2013 წლის 21 აპრილამდე;

5.3. 1 274 698.11 ლარის წლიური 9%-ის გადახდა 2013 წლის 21 აპრილიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე.

მოსარჩელის მტკიცებით, წინარე ხელშეკრულებების საფუძველზე მან მოპასუხეს ავანსად 786656.45 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი გადაუხადა. ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად კი, მოპასუხეს წარმოეშვა მითითებული თანხის მისთვის დაბრუნების ვალდებულება. მოსარჩელემ მიუღებელი შემოსავლისათვის ზიანის ანაზღაურებაც მოითხოვა, კერძოდ, რასაც იგი მიიღებდა ავანსად გადახდილი თანხის ბანკში ვადიან ანაზღაურებულ წლიური 9%-იანი სარგებლით განთავსების შემთხვევაში, 2009 წლის 1 ივლისიდან 2013 წლის 21 აპრილამდე (322 927.90 აშშ დოლარის ეკვივალენტი 535 077.50 ლარი) და 2013 წლის 21 აპრილიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე.

6. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით ნაწილობრივ ცნო სარჩელი, კერძოდ, მან განმარტა, რომ მოსარჩელემ ავანსად სულ გადაიხადა 784 446 აშშ დოლარი და არა – 786 656.45 აშშ დოლარი. მოპასუხის განმარტებით, 784 446 აშშ დოლარიდან მას გადასახდელი აქვს 615 541.86 აშშ დოლარი, ვინაიდან ავანსად მიღებულ თანხას უნდა გამოაკლდეს (გაიქვითოს) მოსარჩელის მიერ მისთვის გადასახდელი შემდეგი თანხები: ა) ბე – 4000 აშშ დოლარი; ბ) პირგასამტეხლო – 10 170.87 აშშ დოლარი; გ) №7 და №8 ბინების გაყოფაზე განეული ხარჯი – 11 536.26 აშშ დოლარი; დ) №7 ბინის გაყიდვის სხვაობა – 90 761.75 აშშ დოლარი; ე) №8 ბინის გაყიდვის სხვაობა – 27 733.66 აშშ დოლარი; ვ) №13 და №14 ბინების გაყიდვის სხვაობა – 24 701 აშშ დოლარი. მოპასუხის განმარტებით, მას ზიანის ანაზღაურება არ უნდა დაეკისროს, ვინაიდან, ხელშეკრულების 5.4 პუნქტის მიხედვით, ავანსად გადახდილი თანხა მოსარჩელეს დაუბრუნდება ნასყიდობის საგნის მესამე პირისათვის მიყიდვის და არა ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 ნოემბრის გადანყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა:

7.1. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1 274 698.11 ლარის გადახდა;

7.2. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 535

071.50 ლარის, აგრეთვე, 1 274 698.11 ლარის წლიური 9%-ის გადახდა 2013 წლის 21 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე;

8. პირველი ინსტანციის სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგენი სსკ-ის) 316-ე, 317-ე, 352.1, 405-ე, 408.1, 411-ე-412-ე მუხლები და განმარტა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მოპასუხეს წარმოეშვა ავანსად მიღებული თანხის დაბრუნების ვალდებულება.

9. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ავანსად გადახდილი თანხის დაბრუნების ვალდებულება მას წარმოეშვა არა ხელშეკრულების შეწყვეტის, არამედ ქონების მესამე პირზე გასხვისების მომენტიდან. სასამართლოს მოსაზრებით, მითითებული პირობა ბათილი იყო სსკ-ის 92-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან ნასყიდობის საგნის მესამე პირზე მიყიდვა დამოკიდებული იყო მოპასუხის ნებაზე.

10. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა ზიანი – მიუღებელი შემოსავალი, კერძოდ, ის თანხა, რასაც იგი მიიღებდა ავანსად გადახდილი თანხის დაბრუნის ანაზღაურებულ განთავსების შემთხვევაში დარიცხული სარგებლის სახით. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მოსაზრებით, დასაბუთებული იყო მოსარჩელის მოთხოვნა ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე 1 274 698.11 ლარის წლიური 9%-ის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე.

11. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების 1.1 პუნქტის გაუქმება მისთვის 1 052 575 ლარის ზემოთ (222 114.11 ლარის) თანხის დაკისრების ნაწილში, ასევე, გადაწყვეტილების 1.2 პუნქტის გაუქმება, რომლითაც მას დაეკისრა 535 071.50 ლარისა და 1 274 698.11 ლარის წლიური 9%-ის გადახდა 2013 წლის 21 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

13. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის შედაგება, რომ ხელშეკრულებების საფუძველზე გადახდილი თანხა შეადგენდა 784 446 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს და არა – 786 656.45 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს და მიუთითა საქმის მა-

სალებში წარდგენილ 21.04.2013 წლის აუდიტორულ ანგარიშზე, რომელშიც გამოკვეთილია აპელანტისათვის გადარიცხული თანხის – 786 656.45 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის (1 274 698.11 ლარის) დაანგარიშების საფუძველი და ოდენობა. ამ მტკიცებულების გაბათილება, სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხემ ვერ შეძლო, ამიტომ მისი პრეტენზია დაუსაბუთებელი იყო. აქედან გამომდინარე, 1 274 698.11 ლარის (786 656.45 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის) მოპასუხისათვის დაკისრება სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია.

14. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების თაობაზე და მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების ამ ნაწილში მოპასუხეს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

15. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხის მიერ მითითებული თანხების გაქვითვა (იხ. წინამდებარე განჩინების მე-6 პუნქტი) მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ მოპასუხე წარადგენდა შეგებებულ სარჩელს. პალატის განმარტებით, მოპასუხის ზემოხსენებული მოთხოვნა სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევიდან გამომდინარეობს, ამიტომ ასეთი მოთხოვნის წაყენება შესაძლებელია შეგებებულ სარჩელის წარდგენით, რომელიც მოპასუხეს არ აღუძრავს.

16. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ საკასაციო საჩივარი წარადგინა და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის ნაწილობრივ (1 052 575 ლარის ზემოთ დაკისრებული თანხის ნაწილში) უარყოფა მოითხოვა, შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით:

16.1. არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების 5.4 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს, ბეს, ზიანისა და ფასთა შორის სხვაობის გაქვითვისათვის შეგებებული სარჩელის აღძვრა იყო აუცილებელი. ასეთ შემთხვევაში, აზრი ეკარგება შესაგებლის წარდგენას, რომლითაც მოპასუხე თავს იცავს სარჩელისაგან. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხემ შეძლო და დაამტკიცა გარემოებები, რომლებზეც იგი თავის შესაგებელს ამყარებდა, სასამართლომ სარჩელი სრულად დააკმაყოფილა.

16.2. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ხელშეკრულებების საფუძველზე მყიდველისათვის გადახდილი თანხა შეადგენს 786 656.45 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს, რაც არასწორია. მოპასუხემ სასამართლოში მტკიცებულების სახით წარადგინა თანხის გადახდის ქვითრები და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის მიმართ უცხოური ვალუ-

ტის (აშშ დოლარის) გაცვლის ოფიციალური კურსის სია გადახდის თარიღების შესაბამისად. გადახდილი თანხების გაანგარიშება არ მოითხოვს რაიმე სპეციალურ ცოდნას და, მითითებულ მტკიცებულებათა საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 105-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეეძლო, გადაემოწმებინა აუდიტორული ანგარიში. მიუხედავად ამისა, სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ აუდიტის დასკვნას.

16.3. არასწორია სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება მიუღებელი შემოსავლის სახით მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ნაწილში. მოპასუხის მიერ მყიდველისათვის დასაბრუნებელი თანხა ჯამში 615 542 აშშ დოლარია და დაბრუნების ვალდებულება მას წარმოეშვა არა 2009 წლის 1 ივლისს, არამედ მესამე პირებისათვის ნასყიდობის საგნის მიყიდვის შემდეგ. ამასთან, მოპასუხეს არასდროს უთქვამს უარი მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით თანხის მოსარჩელისათვის დაბრუნებაზე. ვინაიდან მოსარჩელის მთავარ ინტერესს წარმოადგენდა უძრავი ქონების შეძენა, მოპასუხემ რამდენჯერმე შესთავაზა ალტერნატივა, მაგრამ მყიდველი არ გამოეხმაურა. ბოლოს, გრაფიკის დაცვით თანხის დაბრუნება შესთავაზა, თუმცა მოსარჩელემ არც ამ შეთავაზებას არ უპასუხა.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 მაისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

18. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარე-

მოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენებისა და განმარტების კუთხით ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

19. უპირველესად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას სადავო ხელშეკრულებათა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებებზე კვალიფიკაციის თაობაზე და განმარტავს, რომ მითითებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები არ მოიცავს ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. პალატა მიიჩნევს, რომ 2007 წლის 21 მაისის ხელშეკრულებები სამართლებრივად არა ნასყიდობის, არამედ ნარდობის ხელშეკრულებებია. მართალია, მათში საუბარია უძრავ ქონებათა ნასყიდობაზე, თუმცა მხოლოდ ამაზე მითითება ვერ განაპირობებს ხელშეკრულებათა ნასყიდობის ხელშეკრულებად დაკვალიფიცირებას. ხელშეკრულების ცალკეული სახის განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ის არსებითი უფლება-მოვალეობები, რომლებსაც მხარეები იძენენ გარიგების შედეგად და არა – ზოგადი დათქმები ან ხელშეკრულების სათაური. ნასყიდობის ხელშეკრულება მიმართულია უკვე არსებული საქონლის გადაცემასთან. მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის გადახდის სანაცვლოდ, მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, ამავე ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობებით აეშენებინა და მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაეცა წინასწარ განსაზღვრული საცხოვრებელი ბინები და ავტოსადგომები. აქედან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ხელშეკრულებებს ნარდობის ხელშეკრულების შინაარსი აქვთ. ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შრომითი საქმიანობის შედეგი. ნასყიდობა კი, განსხვავებით ნარდობის ხელშეკრულებისაგან, საქონლის წარმოება – დამზადებასთან დაკავშირებულ ურთიერთობას არ არეგულირებს (მდრ: იხ. სუსგ №ას-1162-1091-2012, 7.03.2013).

20. შემკვეთის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო, ხელშეკრულებაზე მენარდის უარს ნარდობის ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები არ ითვალისწინებს (გარდა 647.2 მუხლისა, რომელიც განსხვავებულ შემთხვევას აწესრიგებს), რის გამოც მენარდის ხელშეკრულებიდან გასვლისას ვალდებულე-

ბითი ურთიერთობის უკუქცევისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ვალდებულებითი სამართლის შესაბამისი ზოგადი ნორმები.

21. სსკ-ის 352.1 მუხლი (თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება) განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის თქმის) სამართლებრივ შედეგს. იგი გამოიხატება მხარეებისათვის მიღებული შესრულებისა და სარგებლის დაბრუნებაში. ამავე კოდექსის 405-ე მუხლი კი, ადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის წესსა და სავალდებულო წინაპირობებს, შესაბამისად, სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლები მხოლოდ ერთობლივად გამოიყენება.

22. განსახილველ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ შემკვეთის მოთხოვნა მენარდისათვის ავანსად გადაცემული თანხის დაბრუნების თაობაზე სსკ-ის 352.1 მუხლს ეფუძნება. ამ მოთხოვნის საფუძვლიანობის გასარკვევად უნდა შემოწმდეს, შესრულებულია თუ არა მითითებული ნორმის წინაპირობები, კერძოდ, არსებობს თუ არა ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი და ხომ არ იკვეთება ხელშეკრულებიდან გასვლის გამომრიცხველი გარემოებები. სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. მითითებული ნორმის შესაბამისად, ხელშეკრულებაზე უარი ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარის მიერ დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც კონტრაპენტი არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას და დამატებით განსაზღვრულ ვადაშიც არ ასრულებს მას. ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ ამკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება. მოცემულ შემთხვევაში, სადავო არაა, რომ შემკვეთმა დაარღვია ორმხრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, კერძოდ, არ გადაიხადა ნარდობის საზღაური შეთხმებული გრაფიკის მიხედვით. ამ დარღვევის გამო მენარდე გავიდა ხელშეკრულებიდან, რის თაობაზეც წერილობით აცნობა შემკვეთს. უდავოა, რომ შემკვეთი არ შესდავებია მენარდეს ხელშეკრუ-

ლებიდან გასვლის გამო და არც ხელშეკრულებიდან გასვლის გამომრიცხველ გარემოებებზე არ მიუთითებია, პირიქით, იგი დაეთანხმა ხელშეკრულებიდან მენარდის გასვლას და მოითხოვა მის მიერ ავანსად გადაცემული თანხის მენარდისაგან დაბრუნება.

23. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შემკვეთისათვის 786 656.45 აშშ დოლარის ეკვივალენტი 1 274 698.11 ლარის დაბრუნება კანონიერია, ვინაიდან ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგი რესტიტუციაა. ამ დროს თავდაპირველი ვალდებულებითი ურთიერთობის ადგილს იკავებს უკუქცევის შედეგად წარმოშობილ შესრულებათა უკან დაბრუნების ურთიერთობა, რაც ხელშეკრულების დადების შემდეგ შესრულებათა გაცვლამდე არსებული ვითარების აღდგენას გულისხმობს, ანუ ხელშეკრულებიდან გასვლით წარმოიშობა ახალი ვალდებულება (პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება). მოცემულ შემთხვევაში, მენარდე, რომელიც რესტიტუციის მოვალეა, ვალდებულია, შემკვეთს დაუბრუნოს უძრავი ქონების ასაშენებლად ამ უკანასკნელის მიერ ავანსად გადახდილი თანხა. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, მოპასუხისათვის 1 274 698.11 ლარის დაკისრების ნაწილში, გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს (სსკ-ის 410-ე მუხლი).

24. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას მენარდისათვის ავანსად გადაცემული თანხის არასწორად დაანგარიშების თაობაზე (იხ. წინამდებარე განჩინების 16.2 პუნქტი), ვინაიდან ეს გაანგარიშება ემყარება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ აუდიტის დასკვნას, რომლის საპირწონედ მტკიცებულება მოპასუხეს არ წარმოუდგენია. ასეთ მტკიცებულებად სასამართლო არ განიხილავს მხოლოდ გადახდის ქვითრებსა და სტატისტიკურ მონაცემებს ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსების თაობაზე, ვინაიდან სადავო გარემოების დადგენა შეუძლებელია მათში მითითებული მონაცემების დამუშავების გარეშე (რისთვისაც სპეციალური ცოდნაა საჭირო), შესაბამისად, სწორედ სპეციალისტის მიერ შედგენილი დასკვნა უნდა წარმოედგინა კასატორს მოსარჩელის მიერ წარდგენილი აუდიტის დასკვნის საპირწონედ.

25. მოსარჩელის მეორე მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაა, რომელიც სსკ-ის 352.1 მუხლით განსაზღვრული რესტიტუციის ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარეობს და ამავე მუხლის მეხუთე ნაწილითაა გათვალისწინებული, კერძოდ, სსკ-ის

352.5 მუხლის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე ვალდებულებათა დარღვევისათვის, 394-ე მუხლის მიხედვით, კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. სსკ-ის 394.1 მუხლის მიხედვით კი, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, სსკ-ის 352.5 მუხლის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ გულისხმობს პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებას. პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგი უკვე გამოვლენილია ამ ნორმის გამოყენებისას – მხარეები გავიდნენ ხელშეკრულებიდან და მათ წარმოეშვათ ნატურით დაბრუნების ვალდებულება. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, 394-ე და 352.5 მუხლების საფუძველზე გამოყენების შემთხვევაში, ვრცელდება არა ხელშეკრულებიდან გასვლის (ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის) გამო წარმოშობილ ზიანზე, არამედ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად დადგენილ ნატურით დაბრუნების ვალდებულების დარღვევაზე, რის შედეგადაც კრედიტორს მიადგა ზიანი. შესაბამისად, 394-ე მუხლით დადგენილი ზიანის ანაზღაურების წინაპირობას (მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მუხლი გამოიყენება 352.5 მუხლის საფუძველზე) წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის ფაქტი და გასვლის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების შეუსრულებლობა (იხ. სახელშეკრულებო სამართალი, ავტორები: ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014, გვ. 513).

26. განსახილველ შემთხვევაში, არსებობს სსკ-ის 352.5 და 394.1 მუხლებით დადგენილი ზიანის ანაზღაურების წინაპირობები, კერძოდ, წარდობის ორმხრივი ხელშეკრულებიდან მენარდის გასვლისა და ამ უკანასკნელის მიერ გასვლის შედეგად წარმოშობილი რესტიტუციის ვალდებულების დარღვევის ფაქტი. მენარდის (რესტიტუციის მოვალის) მიერ რესტიტუციის ვალდებულების დარღვევა იმაში გამოიხატა, რომ მან შემკვეთს (რესტიტუციის კრედიტორს) არ დაუბრუნა ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე ავანსად მიღებული წარდობის საზღაური, რითაც შემკვეთმა დაკარგა ამ თანხის გამოყენებისა (მაგალითად, ბანკში ანაბარზე განთავსებისა) და შემოსავლის მი-

ლების შესაძლებლობა (სსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯერონად რომ შესრულებულიყო).

27. რესტიტუციის ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ფაქტის დასადგენად, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როდის უნდა შეასრულონ მხარეებმა ეს ვალდებულება. სსკ-ის 354-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები მხარეებმა ერთდროულად უნდა შეასრულონ. იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ, უკან დაბრუნების ურთიერთობები განსხვავებულად მოანგრიგონ, ვიდრე ამას 354-ე მუხლი ითვალისწინებს. ამდენად, განსახილველი მუხლის შინაარსი დისპოზიციურია. თუ მხარეთა შორის რაიმე სხვაგვარი შეთანხმება არ არსებობს, მაშინ გამოიყენება 354-ე მუხლის წესი (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001, გვ. 254-255).

28. მოცემულ შემთხვევაში, მხარეებმა ხელშეკრულების 5.4 პუნქტით მოანგრიგეს ხელშეკრულების შესასრულებლად გადაცემულის (შემკვეთის მიერ ავანსად გადახდილი ნარდობის საზღაურის) უკან დაბრუნების ურთიერთობები, კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, ავანსად გადახდილი თანხა დაუბრუნდება მყიდველს ნასყიდობის საგნის მესამე პირისათვის მიყიდვისთანავე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების ეს დათქმა უშუალოდ მხარეთა მიერ ინდივიდუალურად შეთანხმებული პირობაა, რომელიც სახელშეკრულებო სამართალში მოქმედი მხარეთა ნების ავტონომიის, კერძოდ, ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის პრინციპის გამოვლინებაა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია ხელშეკრულების იმგვარ პირობებზე შეთანხმება, რომელიც მისაღებია გარიგების ყველა მონაწილისათვის (სსკ-ის 319.1 მუხლი). კერძო სამართალში აღიარებული ნების ავტონომია სწორედ იმას გულისხმობს, რომ მხარეებმა საკუთარი ინტერესების ფორმირება თავისუფლად, თავიანთსავე ნებაზე დაფუძნებულ სახელშეკრულებო პირობებში გამოხატონ. პალატა აქვე ყურადღებას მიაქცევს და საქმის მასალებიდანაც არ იკვეთება და არც მხარეები არ მიუთითებენ, რომ მოცემული პირობა ხელშეკრულების სტანდარტული პირობაა, ამიტომ სასამართლო არ ამონიშნავს მის ნამ-

დვილობას სსკ-ის 342-ე-348-ე მუხლების საფუძველზე. ზემოხსენებული პირობის შინაარსის შეფასებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შემკვეთის მიერ ავანსად გადახდილი თანხა გახარჯულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმ უძრავი ქონების შექმნაზე (აშენებაზე), რომელიც შემკვეთს უნდა გადასცემოდა საკუთრებაში. ამ უკანასკნელმა კი, დაარღვია რა ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, მენარდე გავიდა ხელშეკრულებიდან, რასაც შემკვეთი სადავოდ არ ხდის. შესაბამისად, მივიღეთ ისეთი ვითარება, როდესაც შემკვეთს აღარ სურს, საკუთრებაში მიიღოს მისი სახსრებით დამზადებული ნარდობის საგანი, რის გამოც მენარდე იძულებულია, გაასხვისოს ეს ქონება და მიღებული თანხა გადაუხადოს შემკვეთს. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ავანსის დაბრუნების თაობაზე მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობა არ ეწინააღმდეგება ვალდებულების პირობათა სამართლიანობის საფუძველზე განსაზღვრის პრინციპს (სსკ-ის 325-ე მუხლი). ამდენად, პალატის მოსაზრებით, სადავო პირობაზე მენარდე და შემკვეთი ურთიერთშესატყვისი ნების გამოვლენით შეთანხმდნენ და იგი ნამდვილია. დაუსაბუთებელია შემკვეთის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებიდან გასვლით მენარდემ უარი თქვა ზემოხსენებულ შეთანხმებაზე, ანუ სადავო პირობის გამოყენებაზე. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სწორედ ხელშეკრულებიდან გასვლით მოიპოვა მენარდემ შემკვეთის სახსრებით დამზადებული ნარდობის საგნის გასხვისების უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ხელშეკრულების შესრულება დაევალებოდა.

29. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ რესტიტუციის ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანი შემკვეთს უნდა აუნაზღაურდეს არა 2009 წლის 1 ივლისიდან (ხელშეკრულებაზე უარის თქმის მომენტიდან), არამედ სარჩელის შეტანის მომენტიდან, ვინაიდან შემკვეთის სახსრებით დამზადებული ნარდობის საგნების გასხვისება ამ დროისათვის დასრულდა. ამდენად, გასაჩივრებული განჩინება მითითებულ ნაწილში ნაწილობრივ დაუსაბუთებელია, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე (სსსკ-ის 411-ე მუხლი). ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, საკასაციო პალატა მოიხმობს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას, რომლის მიხედვით, მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია, შესაბამისად,

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. განსახილველ შემთხვევაში, მიუღებელი შემოსავალი ფულის დაუბრუნებლობას უკავშირდება. ფულის განსაკუთრებული უნარის გათვალისწინებით, მისი ფლობა ყოველთვის ქმნის შემოსავლის მიღების პრეზუმფციას (შდრ: იხ. №ას-1294-1314-2011, 31.10.2011; №ას-511-484-2015, 30.09.2015; №ას-873-835-2014, 09.10.2015). საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ფულის დროულად გადაუხდელობით გამოწვეული „მინიმალური ზიანი“ მერყეობს წლიური 7-10%-ის ფარგლებში და, როგორც წესი, გამოიანგარიშება საბანკო ანაზარზე შეტანილი თანხის წლიური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება მიუღებელი შემოსავლის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისაგან (შდრ: იხ. №ას-1294-1314-2011, 31.10.2011). ამასთან, საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი მიუღებელი შემოსავლის – ავანსად გადახდილი თანხის წლიური 9%-ის დაკისრების თაობაზე კასატორს დასაბუთებული პრეტენზია და არც რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაკისრებული პროცენტის შეცვლის აუცილებლობას დასაბუთებდა.

30. საკასაციო პალატა არ იზიარებს წინამდებარე განჩინების 16.1 პუნქტში მითითებულ კასატორის პრეტენზიას და განმარტავს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა სარჩელისაგან თავდაცვის საშუალებად იცნობს როგორც შესაგებლის (სსსკ-ის 201-ე მუხლი), ისე – შეგებებული სარჩელის (სსსკ-ის 188-ე-190-ე მუხლები) წარდგენის ინსტიტუტს. მათ შორის არსებითი სხვაობა ისაა, რომ შესაგებლით მხარე უარყოფს მის წინააღმდეგ წარდგენილ მოთხოვნებს, იმგვარად, რომ თავად რაიმე მოთხოვნას მოსარჩელის მიმართ არ აყენებს. შეგებებული სარჩელის პირობებში კი, მოპასუხე სამართლებრივად უთანაბრდება მოსარჩელეს, რომელსაც ასევე გარკვეული მოთხოვნა აქვს მოსარჩელის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში, მენარდე შესაგებლით უარყოფს მის წინააღმდეგ წარდგენილ მოთხოვნებს და იმავდროულად შემკვეთისაგან მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზიანის ანაზღაურების თაობაზე მენარდეს შეგებებული სარჩელი უნდა აღეძრა, რაც მას არ გაუკეთებია, შესაბამისად, სასამართლო ვერ იმსჯელებდა მენარდის მიერ შესაგებელში დაყენებულ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე (შდრ: იხ. სუსგ №ას-356-335-2014, 23.01.2015; №ას-406-386-2015, 20.07.2015).

31. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანაცვები, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადანაცვლებით დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანაცვლებას ან გამოიტანს ახალ გადანაცვლებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

32. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოპასუხეს სააპელაციო საჩივარზე 7000 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე 8000 ლარი აქვს გადახდილი. სსსკ-ის 53-ე მუხლის დანაწესის შესაბამისად, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრება სარჩელის დაუკმაყოფილებელი ნაწილის პროპორციული სახელმწიფო ბაჟის – 5 161.00 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

33. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სს „პ. პ-ს“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 აპრილის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სს „პ. პ-ს“ სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადანაცვლების სარეზოლუციო ნაწილის 1.2 პუნქტი ზიანის ანაზღაურების, ასევე, ამავე გადანაცვლების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი მოპასუ-

ხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის და-
კისრების თაობაზე;

3. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გა-
უქმებულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. ვ. ვ-ს სარჩელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე ნაწილობ-
რივ დაკმაყოფილდეს;

5. სს „პ. პ-ს“ ვ. ვ-ს სასარგებლოდ დაეკისროს 1 274 698.11
ლარის წლიური 9%-ის გადახდა 2013 წლის 22 მაისიდან გადან-
ყვეტილების აღსრულებამდე;

6. ვ. ვ-ს სს „პ. პ-ს“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნე-
ლის მიერ განუული სასამართლო ხარჯის – 5 161.00 ლარის გა-
დახდა;

7. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და-
ნარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და
არ გასაჩივრდება.

პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-1220-1145-2015

3 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: საწარმოო ტრავმის შედეგად მიყენებული ზი-
ანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. ტ-ემ (შემდგენში – მოსარჩელე, დაზარალებული), სს „ს“
(საწარმო, მოპასუხე, კასატორი) ხაშურის სალოკომოტივო დე-
პოში მუშაობისას, 1... წლის 13 აგვისტოს, მიიღო საწარმოო ტრავ-
მა და 80%-ით დაჰკარგა შრომის უნარი.

2. დაზარალებული საწარმოსაგან იღებს სარჩოს, თვეში
282,96 ლარს.

3. სალოკომოტივო სამმართველოს უფროსის წერილით ირკვევა, რომ ელმავლის მემანქანის თანაშემწის ყოველთვიური ხელფასი 2011 წლის 1 მარტიდან შეადგენდა – 750 ლარს; 2012 წლის 30 მარტიდან – 800 ლარს; 2012 წლის 1 დეკემბრიდან ცნობის გაცემის მომენტამდე – 1 000 ლარს.

4. დაზარალებულმა 2014 წლის 27 აგვისტოს სარჩელი აღძრა საწარმოს წინააღმდეგ და მოითხოვა საწარმოო ტრავმის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოპასუხისათვის, რაც თვეში 800 ლარს შეადგენს.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს, დაზარალებულის სასარგებლოდ, დაეკისრა 2014 წლის სექტემბრიდან ყოველთვიური სარჩოს გადახდა – თვეში 800 ლარი, აგრეთვე, ზიანის 16 252,08 ლარის ანაზღაურება.

6. საქალაქო სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციით, ევროპის სოციალური ქარტიით, საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში – სშკ) 44-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ) 316-ე, 317-ე, 992-ე, 408-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) 102-ე და 105-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ თითოეული მხარის ვალდებულებაა, მიუთითოს სასარჩელო მოთხოვნა, ფაქტები და წარმოადგინოს დასახელებული ფაქტის დამადასტურებელი, კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებები.

7. სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყოველთვიური სარჩოს სახით, ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმს სწორედ ხელფასის ის ოდენობა წარმოადგენდა, რასაც დაზარალებული დაწესებულებიდან ჯანმრთელობის დაზიანებამდე იღებდა და რასაც ის მიიღებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი საფუძვლები კი, სშკ-ის 44-ე მუხლისა და სსკ-ის 992-ე მუხლების სწორი ანალიზისა და აღნიშნული მუხლების რეგულირების მიზნის სწორი შეფასების შედეგად დგინდებოდა.

8. საწარმომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, დაზარალებულის სასარჩელო მოთხოვნების უარყოფა.

9. საწარმოს პრეტენზია შეეხო იმას, რომ სასამართლომ არას-

ნორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, კერძოდ, საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მოსარჩელეს დაკარგული აქვს შრომის უნარი და იმ შემთხვევაშიც, თუ დაზარალებულს შრომის უნარი დაკარგული აქვს, აღნიშნული არ გამომდინარეობს საწარმოს ბრალეულობიდან. ამასთანავე, სასამართლომ არასწორად მიუთითა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის დადგენილებასა და სსკ-ის 408-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ვინაიდან აღნიშნული ნორმები არ არეგულირებენ სარჩოს გადაანგარიშების წესს.

10. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით საწარმოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

11. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობა და დამატებით მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტა მართებულად მოხდა სშკ-ისა და სსკ-ის საფუძველზე. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილება არ ითვალისწინებდა სარჩოს გადაანგარიშების შესაძლებლობას, საქალაქო სასამართლომ მაინც სწორად გამოიყენა მითითებული აქტი, თავად ზიანის ანაზღაურების მიზნიდან გამომდინარე, რომლის არსიც დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის კომპენსირებაში მდგომარეობს.

12. სასამართლომ დაასკვნა, რომ სააპელაციო პრეტენზიის საფუძვლები არ ქმნიდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობას, დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სშკ-ის 44-ე, სსკ-ის 408-ე, სსსკ-ის 377-ე, 393-ე, 394-ე მუხლები და, 2015 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით, საწარმოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

13. საწარმომ, 2015 წლის 2 დეკემბერს, საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, დაზარალებულის სარჩელის უარყოფა შემდეგი დასაბუთებით:

13.1 გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის დადგენილება და სსკ-ის 408-ე მუხლი არ აწესრიგებენ სარჩოს გადაანგარიშების წესს;

13.2 სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 408-ე და 992-ე მუხლი. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ დაზარალებულის პროფესიული შრომის უნარის დაკარგვა საწარმოს

ბრალით იყო გამოწვეული.

14. საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 21 დეკემბრის განჩინებით საწარმოს საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული, სსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2016 წლის 5 თებერვლის განჩინებით, ცნობილ იქნა დასაშვებად 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის მასალების, მტკიცებულებების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი სამართლებრივი მოტივაციით:

15. სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

16. საკასაციო სასამართლო განსახილველი დავის სამართლებრივი შეფასებისას ყურადღებას მიაქცევს, რომ საქმის მასალებით დადგენილია, უბედური შემთხვევა მოხდა 1... წლის 13 აგვისტოს, როდესაც დაზარალებული იყო 43 წლის (დაზარალებულის დაბადების წელი – 1... წ.). მოსარჩელეს მოპასუხე ყოველთვის უხდის სარჩოს – 282,96 ლარს და ამ ფაქტზე მხარეები არ დავობენ. დაზარალებულის სასარჩელო მოთხოვნა ეხება, მოქმედი მემანქანის თანაშემწის ყოველთვის ხელფასის მიხედვით, სარჩოს გადაანგარიშებას, რადგან 2011-2014 წლებში რამდენჯერმე გაიზარდა ელმავლის მემანქანის თანაშემწის ხელფასი და, მომატებული ხელფასის მიხედვით, მიუღებელი კომპენსაციის გამო, დაზარალებულს ადგება ზიანი.

17. საკასაციო სასამართლო კვლევსა და შეფასებს საგანია, სსკ-ის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხისათვის დაკისრებული, გაზრდი-

ლი (გადაანგარიშებული) კომპენსაციის დაკისრების მართლზომიერება. მოხმობილი ნორმით დადგენილია: „თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით“. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ როდემდეა ვალდებული საწარმო გადაუხადოს დაზარალებულს კომპენსაცია, ხოლო განსახილველ შემთხვევაში, კონკრეტულად უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა დაზარალებულისათვის მოქმედი ელმავლის მემანქანის თანაშემწის ხელფასის მიხედვით, ზიანის ასანაზღაურებლად თანხის გადაანგარიშების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები.

18. „საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მართებულად შეფასდეს, თუ როდემდე იქნებოდა ვალდებული ზიანის მიმყენებელი გადაეხადა კომპენსაცია დაზარალებულისათვის“. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით (იხ. სუსგ №789-746-2015, 22.01.2016წ.) დადგენილია: „ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო, პრეზუმირებულია, რომ ელმავლის მემანქანის თანაშემწე იმუშავებდა საპენსიო ასაკამდე, რომელიც იმხანად მოქმედი შრომის კოდექსის (1973 წლის 28 ივნისის რედაქციით) მიხედვით, მამაკაცებისათვის 65 წელს შეადგენდა. ამ ეტაპზე, საკასაციო სასამართლო აღარ ავითარებს მსჯელობას, გარკვეული კატეგორიის მუშაკთა შესაძლო ასაკობრივ შეზღუდვაზე, შესასრულებელი სამუშაოს სპეფიციკიდან გამომდინარე, რადგან ამ ფაქტზე შედავება კასატორს არ წარმოუდგენია სასამართლო განხილვის არცერთ ეტაპზე“.

19. კასატორს აღიარებული აქვს ვალდებულება, მის მიერ მიყენებული ტრავმის გამო, მოსარჩელისათვის ყოველთვიური სარჩოს გადახდაზე, რასაც ასრულებს კიდევ, აღნიშნულ ფაქტზე მხარეები არ დავობენ. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დაუსაბუთებელია სასარჩელო მოთხოვნა, დაზარალებულის სასარგებლოდ, სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე, 2011-2014 წლებში მოქმედი ელმავლის მემანქანის თანაშემწის ხელფასის ცვლილების საფუძველზე, რადგან ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში, როგორც უკვე აღინიშნა, პრეზუმირებულია, რომ დასაქმებული იმუშავებდა საპენსიო ასაკამდე და საწარმო სწორედ ამ პერიოდამდე იქნებოდა ვალდებული, გადაეხადა სარჩო.

20. საკასაციო სასამართლოს მიერ ანალოგიურ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით (საქმე №789-746-2015, 22.01.2016წ) შეიცვალა მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკა. განსახილველ შემთხვევაში, საწარმოს მიერ აღებული ვალდებულება, მისი ბრალით დამდგარი ზიანის ანაზღაურების ნაწილში, სრულდება, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში, ცხადია, რომ დაზარალებული საპენსიო ასაკამდე იმუშავებდა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაზარალებულისათვის ყოველთვიური სარჩოს გადახდის ვალდებულება, მოცემულ შემთხვევაში, მისი სიცოცხლის განმავლობაში კვლავაც ეკისრება საწარმოს, თუმცა, 2011-2014 წლებში გაზრდილ ხელფასზე მისადაგებით, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული, რის გამოც, უნდა დაკმაყოფილდეს საკასაციო განაცხადი და გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება.

21. საკასაციო სასამართლო, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, არ აკმაყოფილებს მოსარჩელის პრეტენზიას, 2011-2014 წლებში მოქმედი ელმავლის მემანქანის თანაშემწის გაზრდილი ხელფასის მიხედვით გადაუანგარიშებლობის გამო, მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე და უარყოფს სასარჩელო მოთხოვნას.

23. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველ, მეორე, მესამე ნაწილებზე და 49-ე მუხლის მე-4 ნაწილზე მითითებით, საკასაციო სასამართლო ათავისუფლებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მოსარჩელეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სს „ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. გ. ტ-ე გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ზიანის ანაზღაურება მიუღებელი
შემოსავლისათვის**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-929-869-2017

27 დეკემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: **ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება, ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:
სასარჩელო მოთხოვნა:**

1. თ. მ-ვილმა (შემდეგში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა ზ. ფ-ვილის (შემდეგში – მოპასუხე) მიმართ, რომლითაც მოითხოვა: 13 850 აშშ დოლარისა და მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის – 13 850 აშშ დოლარის 1.5%-ის გადახდის დაკისრება 2012 წლის სექტემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე; აგრეთვე, 15 000 აშშ დოლარის და მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის – ყოველთვიურად 200 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება 2012 წლის სექტემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე გაიცნო 2011 წლის გაზაფხულიდან. 2011 წლის ნოემბერს 2012 წლის ივლისის ჩათვლით სესხის სახით გადასცა 13 850 აშშ დოლარი, რაც დასტურდება ხელწერილით შესაბამისი თანხის ოდენობის მითითებით. აღნიშნული თანხის გასწვრივ დაფიქსირებულია მოპასუხის ხელმოწერა, რომელიც აღნიშნული თანხის მიღების ფაქტს ადასტურებს.

3. 2012 წლის 27 აგვისტოს მოსარჩელემ მოპასუხეს შესანახად მიაბარა მისი კუთვნილი 15 000 აშშ დოლარი, რომელიც მოპასუხემ აღარ დაუბრუნა. როგორც გაირკვა, აღნიშნული თანხა მოპასუხემ გადაიხადა ბინის შესაძენად, თუმცა თავად აღნიშნა, რომ უძრავი ნივთის საფასურის ბოლო ნაწილი გადაიხადა დეიდას მიერ საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი თანხით.

4. 2012 წლის 3 სექტემბერს ლ. კ-სა (შემდგომში – გამყიდველი) და მოპასუხეს შორის დაიდო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად უძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცა მოპასუხეს. განცხადება უძრავი ქონების საკუთრებაში რეგისტრაციის თაობაზე წარდგენილ იქნა 2012 წლის 3 სექტემბერს, 10:38 საათზე, ხოლო როგორც საქმის მასალებით დასტურდება, მოპასუხემ დედის მიერ საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი თანხა, სულ – 4000 ევრო ბანკის მეშვეობით მიიღო 2012 წლის 3 სექტემბერს, 19:33 საათზე, შესაბამისად, იმავე დღის 10:38 საათზე საჯარო რეესტრში განცხადების წარდგენის დროისათვის მხარე ნასყიდობის საფასურის ნაწილს ამ თანხიდან ვერ გადაიხდიდა. 2013 წლის აპრილში მოსარჩელემ მოპასუხის წინააღმდეგ წარადგინა საჩივარი პოლიციაში, სადაც ითხოვდა მოპასუხისაგან თანხის დაბრუნებას. პოლიციის გამოკითხვის ოქმში მან აღიარა, რომ თანხა ნამდვილად მიიღო.

მოპასუხის პოზიცია:

5. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოთხოვნა სესხის სახით 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ივლისის ჩათვლით მიღებულ 13 850 აშშ დოლარის დაბრუნების თაობაზე უსაფუძვლოა. მოსარჩელის მიერ დასახელებული დოკუმენტი თანხის მიღების თაობაზე თავისი ფორმითა და შინაარსით ვერ ჩაითვლება ხელწერილად. ხელწერილი, როგორც წესი, დგება მოვალის მიერ და ეს უკანასკნელი ადასტურებს რაიმე სავალო ურთიერთობას. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელზე თანდართული ხელწერილი შედგენილია მოსარჩელის მიერ, არის ორგვერდიანი. პირველ გვერდზე ზოგიერთი ჩანაწერი არ შეიცავს მოპასუხის ხელმოწერას. ამასთან, ე.წ. ხელწერილის ჩანაწერები რამდენიმე ადგილას გადაშლილია, შეინიშნება ჩასწორებები, რის გამოც, ამ დოკუმენტის მტკიცებულების სახით განხილვა სადავოა. გადაშლილი ტექსტების აღდგენისა და ჩასწორებების დადგენის მიზნით, აღნიშნულ დოკუმენტს ჩაუტარდა ექსპერტიზა და წარდგენილ იქნა ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც ვერ იქნა უტყუარად დადგენილი გადაშლილი ჩანაწერები. დადგენილია და არც ერთი მხარე არ უარყოფს, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს ჰქონდა საერთო სამეწარმეო საქმიანობა და, ამ საქმიანობიდან გამომდინარე, ინაწილებდნენ მიღებულ მოგებას. ხელწერილში მითითებული თანხა, რომლის გასწვრივაც დაფიქსირებულია მოპასუხის ხელმოწერა, წარმოადგენს საერთო სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებულ მოგებას და არა სესხის სახით მოპასუხისათვის გადაცემულ თანხას.

6. მოპასუხის განმარტებით, 15 000 აშშ დოლართან დაკავ-

შირებით მოსარჩელემ მიუთითა, რომ აღნიშნული თანხა მოპასუხეს მიაბარა 2012 წლის 27 აგვისტოს. აღნიშნულის დასადასტურებლად მიეთითა სიდი დისკსა და გამოკითხვის ოქმზე. სიდი დისკი ცნობილ იქნა დაუშვებელ მტკიცებულებად. საქმეში წარმოდგენილ ხელწერილზე არ არის ჩანაწერი 15 000 აშშ დოლარის გადაცემის შესახებ, ხოლო მოსარჩელის მიერ მითითებულ პოლიციის გამოკითხვის ოქმში აღნიშნულია, რომ მოპასუხე 2011 წლის მარტიდან იყო მოსარჩელის ბიზნესპარტნიორი, რომელთანაც ეწეოდა სატვირთო ავტომანქანებისა და მისი ნაწილების რეალიზაციას. მას ბოლო პერიოდში დაეძაბა ურთიერთობა მოსარჩელესთან და ეს უკანასკნელი სთხოვდა უკან დაებრუნებინა მოგების სახით მიღებული თანხა. მოსარჩელის ვალი მას არ გააჩნდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 13 850 აშშ დოლარისა და მიუღებელი შემოსავლის – 13 850 აშშ დოლარის წლიური 10%-ის გადახდა 2012 წლის სექტემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე, რაც მხარეებმა გაააჩივრეს სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 25 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეები ერთმანეთს იცნობენ 2011 წლის გაზაფხულიდან. ისინი ერთობლივად აწარმოებდნენ საერთო სამეწარმეო საქმიანობას და ამ საქმიანობიდან მიღებულ მოგებას ინაწილებდნენ.

10. მოსარჩელე 13 850 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში მოთხოვნას ამყარებდა საქმეში წარმოდგენილ წერილობით დოკუმენტზე, რომლის თანახმად მოპასუხემ 2012 წლის 2 მაისიდან 2012 წლის 9 ივლისის ჩათვლით მიიღო სხვადასხვა ოდენობის თანხა, კერძოდ, 2012 წლის 2 მაისს – 350 აშშ დოლარი, 2012 წლის 7 მაისს – 4000 აშშ დოლარი, 2012 წლის 12 მაისს – 2000 აშშ დოლარი, 2012 წლის 29 მაისს – 100 აშშ დოლარი, 2012 წლის 1 ივნისს – 300 აშშ დოლარი, 6000 აშშ დოლარი, 2012 წლის 23 ივნისს – 400 აშშ დოლარი, 2012 წლის 5 ივლისს – 500 აშშ დოლარი

და 2012 წლის 9 ივლისს – 200 აშშ დოლარი, სულ – 13 850 აშშ დოლარი.

11. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) მე-4, 102-ე და 105-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავოდ არის მითითებული ხელწერილის ნამდვილობა, კერძოდ, მოპასუხემ აღნიშნა, რომ იგი შედგენილია მოსარჩელის მიერ, პირველ გვერდზე ზოგიერთი ჩანაწერი არ შეიცავს მოპასუხის ხელმოწერას. ამასთან, ე.წ. ხელწერილის ჩანაწერები რამდენიმე ადგილას გადაშლილია, შეინიშნება ჩასწორებები. აღნიშნულით კი, მტკიცების განაწილების წესიდან გამომდინარე, წარმოადგენს თავად მოპასუხის მტკიცების ტვირთს.

12. საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2015 წლის 27 ივლისის №004338515 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 2012 წლის 2 მაისის პერიოდიდან შედგენილი ხელწერილის სახით მხარეზე განთავსებულ თანხის ოდენობის აღმნიშვნელ ყოველ ციფრობრივ ჩანაწერში (ჩანაწერები „350“, „4000“, „2000“, „100“, „300“, „6000“, „100“, „100“, „400“, „500“, „200“), ყველა ციფრი შესრულებულია ერთი და იმავე საწერი საშუალებით.

13. 2012 წლის 2 მაისის ხელწერილის სახით მხარის ზედა ნაწილში განთავსებული თანხის ოდენობის აღმნიშვნელ ციფრობრივ ჩანაწერებში „4000“, „2000“, „100“, „300“ და ქვედა ნაწილში რიგითი ნომრის 5 გასწვრივ პირველ და მეორე სტრიქონზე განთავსებულ თანხის ოდენობის აღმნიშვნელ ციფრობრივ ჩანაწერებში „100“, „100“ რიგითი ნომრის 5 გასწვრივ პირველ, მეორე და მესამე სტრიქონზე განთავსებულ თანხის ოდენობის აღმნიშვნელ ციფრობრივ ჩანაწერებში „400“, „500“, „200“ ცალკეული ციფრების მიწერა არ მომხდარა.

14. 2012 წლის 2 მაისის ხელწერილის სახით მხარის ზედა ნაწილში განთავსებულ თანხის ოდენობის აღმნიშვნელ ციფრობრივ ჩანაწერში 350 აღინიშნება, თუ არა რომელიმე ციფრის მიწერა დადგენა შეუძლებელია.

15. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2012 წლის 2 მაისის ხელწერილის მხარის ზედა ნაწილში რიგითი ნომრის 4 გასწვრივ განთავსებულ თანხის ოდენობის აღმნიშვნელ ციფრობრივ ჩანაწერში 6000 ბოლო ციფრი „0“ მიწერილია თუ არა შემდგომში, შეუძლებელია.

16. ამდენად, ექსპერტიზის დასკვნით არ დასტურდება 2012 წლის 2 მაისის პერიოდიდან შედგენილ ხელწერილზე ისეთი სა-

ხის ჩასწორებების ან რაიმე ჩამატებების ფაქტი, რაც დაადასტურებდა მოპასუხის პოზიციას. ამასთან, რამდენადაც მოპასუხეს არ წარმოუდგენია აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ 2012 წლის 2 მაისიდან 2012 წლის 9 ივლისის ჩათვლით მოპასუხემ მოსარჩელისაგან მიიღო სულ – 13 850 აშშ დოლარი.

17. სააპელაციო პალატის შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება, რომ ხელწერილში მითითებული თანხები, რომლის გასწვრივაც დაფიქსირებულია მოპასუხის ხელმოწერა, წარმოადგენს საერთო სამენარმეო საქმიანობიდან მიღებულ მოგებას.

18. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სადავოდ არ ხდის ხელწერილში მითითებული იმ თანხების მიღებას, რომლის გასწვრივაც დაფიქსირებულია მისი ხელმოწერა, თუმცა არ დაეთანხმა თანხის მიღების მიზნობრიობას და მიუთითა, რომ აღნიშნული თანხა წარმოადგენდა მოსარჩელესთან ერთად საერთო სამენარმეო საქმიანობის შედეგად მიღებულ მოგების თანხას და არა სესხს.

19. განსახილველ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილია ხელწერილი, რომლითაც დასტურდება, რომ 2012 წლის 02 მაისიდან 2012 წლის 09 ივლისის ჩათვლით მოპასუხემ მიიღო სულ – 13 850 აშშ დოლარი. სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ 2011 წლიდან მხარეები იცნობენ ერთმანეთს, ერთობლივად აწარმოებდნენ საერთო სამენარმეო საქმიანობას და ამ საქმიანობიდან ინაწილებდნენ მიღებულ მოგებას, თუმცა ხელწერილის შინაარსით არ დასტურდება ის გარემოება, რომ ხელწერილით მიღებული თანხა წარმოადგენდა სამენარმეო საქმიანობიდან მიღებულ მოგებას, რომელიც ხელწერილის თანახმად, მოპასუხეს მიღებული აქვს. მასში მითითებულია თანხის მიღების დანიშნულება: „ავანსის თანხა“, „ქირა“, „ქირა და სახარჯი“, „ო-ს მივეცი“, „ქარდის“, „ბაირონის“ და ა.შ. და არა მოგების ან დივიდენტის განაწილება ან გადაცემა. ამ გარემოების დამადასტურებელი სხვა რაიმე მტკიცებულება, კი, მოპასუხეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია.

20. მოსარჩელის (აპელანტის) მოთხოვნა მოპასუხისათვის 14 000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ დაუსაბუთებელია და სწორად არ იქნა დაკმაყოფილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

21. მოსარჩელე (აპელანტი) მითითებულ მოთხოვნას ამყა-

რებდა იმ გარემოებაზე, რომ 2012 წლის 27 აგვისტოს, მოპასუხისათვის მიბარებული თანხა მოპასუხემ გადაიხადა ბინის შესაძენად.

22. საქმის მასალებში წარმოდგენილი 2012 წლის 3 სექტემბრის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებით სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ გამსხვიესებელსა და მოპასუხეს შორის დაიდო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოპასუხეს უძრავი ქონება გადაეცა საკუთრებაში. ხელშეკრულების მიხედვით, ნასყიდობის საგნის ღირებულებამ შეადგინა 35 000 აშშ დოლარი. აპელანტი მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, თავის არგუმენტებს ასევე ამყარებდა ბანკიდან გამოთხოვილ ინფორმაციაზე, კერძოდ, რომ მოპასუხემ გასავლის ორდერებით გაიტანა 2000-2000 ევრო, სულ – 4000 ევრო 2012 წლის 3 სექტემბერს, 19:33 საათზე. უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ შესაბამისი განცხადება კი, საჯარო რეესტრში წარდგენილ იქნა 2012 წლის 3 სექტემბერს დილის 10:38 საათზე და თანხის გადახდაც მოხდა მაშინვე. შესაბამისად, აპელანტის მითითებით, უდავოა, რომ ამ დროისათვის მოპასუხეს არ ექნებოდა დეიდის მიერ საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი თანხა.

23. სააპელაციო პალატის შეფასებით, ის გარემოება, რომ ბანკიდან გატანილი თანხა მისი ბანკიდან გატანის დროის (2012 წლის 3 სექტემბერს, 19:33 საათზე) გათვალისწინებით, მოპასუხეს ვერ ექნებოდა უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას (2012 წლის 3 სექტემბერს, 10:38 საათზე), არ ადასტურებს სადავო გარემოებას იმის შესახებ, რომ მოპასუხემ მოსარჩელისაგან მიიღო 14 000 აშშ დოლარი, რომელიც ამ უკანასკნელს მოსარჩელისათვის არ დაუბრუნებია.

24. მოსარჩელემ მოთხოვნის დადასტურების მიზნით, ასევე, მიუთითა საქმის მასალებში წარმოდგენილი ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს, ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-7 განყოფილების გამომძიებლის მიერ 2013 წლის 24 მაისს შედგენილი ზეპირი გასაუბრების ოქზე. კერძოდ, აპელანტის მითითებით, ზეპირი გასაუბრების ოქმით მოპასუხემ დაადასტურა, რომ მოსარჩელისაგან მიიღო 32 000 აშშ დოლარი და ეს თანხა არ დაუბრუნებია, რადგან ჩათვალა რომ მას ეკუთვნოდა. ოქმში საუბარი იყო შემდეგზე: „... ამასთანავე მას ხსენებულ ბიზნესში თავიდან ჩადებული ჰქონდა 8000 დოლარი, რომელიც ორი წლის განმავლობაში ძირისა და მოგების სახით 32000 დოლარის ოდენობით უკან დაუბრუნა მოსარჩელემ“.

25. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენ-

ტები იმის შესახებ, რომ 2013 წლის 24 მაისის ზეპირი გასაუბრების ოქმი სასამართლოს მიერ არასწორად იქნა შეფასებული. პალატის შეფასებით, მითითებული ოქმის შინაარსი არ იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა სარჩელით მოთხოვნილი თანხა 14 000 აშშ დოლარის ოდენობით. მართალია, ოქმში საუბარია იმის შესახებ, რომ 32 000 აშშ დოლარი მოპასუხეს დაუბრუნა მოსარჩელემ, თუმცა მოიცავდა, თუ არა ზეპირი გასაუბრების ოქმში მითითებული 32 000 აშშ დოლარი მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ 14 000 აშშ დოლარს, მითითებული 2013 წლის 24 მაისის ზეპირი გასაუბრების ოქმით არ დასტურდება.

26. სააპელაციო პალატამ კვლავ მიუთითა შეჯიბრებითობაზე და აღნიშნა, რომ მოპასუხისათვის თანხის გადაცემის ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს. განსახილველ შემთხვევაში, კი, მოსარჩელეს მითითებული თანხის გადაცემის შესახებ რაიმე მტკიცებულება სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია. ზემოთ მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, სადავო გარემოებას ვერც მოსარჩელის მიერ დასახელებული 2013 წლის 24 მაისის ზეპირი გასაუბრების ოქმი და ვერც ბანკიდან გამოთხოვილი ინფორმაცია ვერ ადასტურებს.

27. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველო სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 316-ე მუხლით, 317-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო 976-ე-991-ე მუხლებიდან გამომდინარე, პირის ქონების გაზრდა ან დაზოგვა სხვა პირის ხარჯზე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე, წარმოადგენს უსაფუძვლო გამდიდრებას და წარმოშობს უსაფუძვლოდ შეძენილის ან დაზოგილი ქონების უფლებამოსილი პირისათვის გადაცემის ვალდებულებას. მოცემულ ნორმათა ძირითადი დებულება ისაა, რომ სხვა პირის ხარჯზე მიღებული სარგებლის (რაც შეიძლება გამოიხატოს ქონების დაზოგვაშიც) უკან დაბრუნების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ამით გამდიდრდა. თუ გამდიდრების ფაქტი სახეზე არ არის, მაშინ მხოლოდ ქონების დაზოგვა არ წარმოშობს კონდიქციურ ვალდებულებას.

28. სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ ერთი პირის გამდიდრება მოხდეს მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული უნდა იყოს იურიდიულ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობს, ან შემდგომში იშლება. ამასთან, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, თუ რის შედეგად დადგა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი, – თავად დაზარალებული

ბულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების, თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად ან განხორციელდა იგი მათი ნების საწინააღმდეგოდ. ასევე, არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურ-თიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების მართლზომიერებას, თუ მართლწინააღმდეგობას. სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია მხოლოდ ობიექტური შედეგი – ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შექმნა (დაზოგვა) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. აუცილებელია, რომ გამდიდრება მოხდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონების გაზრდა ხდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე.

29. უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის არსებობის შემთხვევაში იგულისხმება, რომ პირმა ქონება მიიღო (შეიძინა) შესაბამისი იურიდიული საფუძვლის გარეშე, რის გამოც აღნიშნული შენაძენი ექვემდებარება კიდევაც უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას, ანუ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი, მიიღო, თუ დაზოგა ქონება. ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის იურიდიული საფუძველი არ გააჩნია და აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას.

30. ამდენად, სსკ-ის 976-ე მუხლი არეგულირებს ისეთ შემთხვევებში, როდესაც შემსრულებელი ახორციელებს ფაქტიურად არარსებულ ვალდებულებას, რაც იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე.

31. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის გადაწყვეტის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შეფასება, მოპასუხემ ვერ დაადასტურა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ხელწერილით მიღებული თანხა წარმოადგენდა სამენარმეო საქმიანობიდან მიღებულ მოგებას, ასევე, უდავოა, რომ მითითებული თანხა მოპასუხეს მოსარჩელისათვის არ დაუბრუნებია.

32. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის თანხის გადაცემის ფაქტი ვალდებულებითსამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ექცევა სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის რეგულირების რეჟიმში და, შესაბამისად, მიღებული შესრულება ექვემდებარება დაბრუნებას.

33. რაც შეეხება, მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხისათვის 14 000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება აღნიშნული თანხის მოპასუხისათვის გადაცემის შესახებ ფაქტობრივი გარემოება, მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენის საფუძველზე ვერ დაადასტურა, რომ მითითებული თანხა მიღებული აქვს მოპასუხეს და სახეზეა მისი დაბრუნების ვალდებულება. შესაბამისად, ამ ნაწილში ზ. ჯ-ვილის მოთხოვნა დაუსაბუთებელია და მართებულად ეთქვა უარი მის დაკმაყოფილებაზე.

34. სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის, 411-ე, 412-ე მუხლების საფუძველზე სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მიუღებელი შემოსავალი არის სავარაუდო შემოსავალი. მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს ხარჯებს, რომელსაც პირი მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებრივ პირობებში, მისი უფლებები რომ არ დარღვეულიყო, მაგალითად, ხელშეკრულება რომ შესრულებულიყო სათანადო ნესით. ჩვეულებრივ პირობებში, უნდა გავიგოთ ბაზრის ფუნქციონირებისთვის დამახასიათებელი ტიპიური პირობები, რომელზედაც გავლენას არ ახდენს გაუთვალისწინებელი გარემოებები, ან გარემოებები, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით.

35. კონკრეტულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ ფულადი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება კრედიტორს ყოველთვის აყენებს ზიანს და სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისგან განსხვავებით, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება არც ზიანის მიყენების ფაქტის და არც ოდენობის დადგენას.

36. მიუღებელ შემოსავალს წარმოადგენს საბანკო დანესებულებაში დეპოზიტების წლიური საპროცენტო განაკვეთი, რასაც კრედიტორი მიიღებდა ბრუნვაუნარიანი ობიექტის – ფულის შეგროვებად ანაბარზე განთავსების შედეგად. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხისათვის 13 850 აშშ დოლარის წლიური 10%-ის გადახდის

დაკისრების შესახებ, 2012 წლის სექტემბრის თვიდან, დათქმულ დროში ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მოსარჩელი-სათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით.

37. რაც შეეხება, მოსარჩელის მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების სახით 2012 წლის სექტემბრიდან ყოველთვიურად 200 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების შესახებ, სწორად არ იქნა დაკმაყოფილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, ვინაიდან დადგენილია, რომ აღნიშნული მოთხოვნა გამომდინარეობდა მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 14 000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ მოთხოვნიდან, რაც მოცემულ შემთხვევაში არ იქნა დაკმაყოფილებული მისი უსაფუძვლობის გამო.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

38. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

39. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად ვერ განსაზღვრა მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გაცემული თანხის ოდენობა და დანიშნულება, ჩათვალა, რომ ყველა გაცემული თანხა უკან დაბრუნებას ექვემდებარებოდა. ფაქტობრივად, მოსარჩელის ჩანაწერებს ერთდროს დანიშნულების დამდგენი წარწერები, რითაც გაცემული თანხების მიზნობრიობის დადგენა შესაძლებელია. დანიშნულებიდან, მიზნობრიობიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა, რა სახის სამართლებრივი ურთიერთობა ჰქონდათ მხარეებს. ასევე, როცა თანხის გაცემის დანიშნულებაში მითითებულია „ავანსის თანხა“, „ო-ს მივეცი“ „სახარჯი“, „ქირა“ და ა.შ. თითოეულმა ამ გარემოებამ უნდა ჰპოვოს სათანადო სამართლებრივი დასაბუთება გადაწყვეტილებაში, რადგანაც ავანსი სამომავლო გადასახდელის წინასწარ გადახდას გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა, ავანსის სახით გადახდილი თანხა ექვემდებარება თუ არა დაბრუნებას. იგივე სახის სამართლებრივი დასაბუთების პრობლემაა დანიშნულებაში – „ო-ს მივეცი“. აქაც არ არის დასაბუთებული, რატომ უნდა დააბრუნოს მოპასუხემ „ო-სათვის“ მიცემული თანხა. შესაბამისად, ამ თანხის ნაწილში სასამართლოს მიერ მოპასუხეთა წრე არ არის სწორად განსაზღვრული.

40. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა თანხის დაბრუნების ვადა (მოთხოვნის ვადამოსულობა), რასაც მოსარჩელემ დაუკავშირა მეორე მოთ-

ხოვანა ზიანის ანაზღაურების ნაწილში თანხის დაუბრუნებლობის გამო. მოსარჩელემ საქმის განხილვისას განაცხადა, რომ მოპასუხეს თანხა უნდა დაებრუნებინა მაშინ, როცა მას ექნებოდა. მან სარჩელი სასამართლოში აღძრა 2014 წელს, ხოლო მანამდე თანხის დაბრუნების პრეტენზია არ განუცხადებია. სააპელაციო სასამართლომ ზიანის ანაზღაურება მოპასუხეს 2012 წლის სექტემბრიდან დააკისრა. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიერ არ არის ნამსჯელი მოსარჩელის მეორე მოთხოვნის ვადამოსულობაზე სსკ-ის 366-ე მუხლის შესაბამისად, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მყარად ჩამოყალიბებულ პრაქტიკას.

41. კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ გამოიყენა უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმები, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლომ ეს ურთიერთობა ჩათვალა სესხად და გამოიყენა სესხის მომწესრიგებელი ნორმები. სააპელაციო სასამართლომ შეცვალა დასაბუთება, გამოიყენა უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმები, მაგრამ არ იმსჯელა, რა სამართლებრივ ურთიერთობა არსებობდა თანხის გადაცემის დროს. ამ კუთხით, გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების შეცვლის ნაწილში დასაბუთება არასრულია.

42. ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენასა და არასწორ სამართლებრივ შეფასებას შედეგად მოჰყვა სსკ-ის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევა, ანუ როდესაც სამართლის ნორმა დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის დასაბუთებული, რაც ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, მისი გაუქმების საფუძველია.

43. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2017 წლის 29 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატის დასკვნები:

44. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები,

გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

45. სარჩელი 13 850 აშშ დოლარისა და მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის – 13 850 აშშ დოლარის 1.5%-ის 2012 წლის სექტემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე დაკისრების, აგრეთვე, 15 000 აშშ დოლარის და მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის – ყოველთვიურად 200 აშშ დოლარის 2012 წლის სექტემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე დაკისრების შესახებ დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად დაკისრებული აქვს 13 850 აშშ დოლარის და მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანი – 13 850 აშშ დოლარის წლიური 10% 2012 წლის სექტემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. გადაწყვეტილება უცვლელადაა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 25 აპრილის განჩინებით.

46. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მოპასუხე მოითხოვს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას და თანხის დაკისრების ნაწილში სარჩელის უარყოფას.

47. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან სარჩელი უარყოფილია 15 000 აშშ დოლარის და მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის – ყოველთვიურად 200 აშშ დოლარის 2012 წლის სექტემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე დაკისრების ნაწილში, საკასაციო საჩივრის საფუძვლების (კასაციის მიზეზების) შემოწმების მიზნით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი სწორედ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც შეეხება მხოლოდ სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის განმაპირობებელ ფაქტობრივ გარემოებებსა და მათ მიმართ კასატორის მიერ წარდგენილ საკასაციო პრეტენზიებს.

48. აღსანიშნავია, რომ სარჩელი 13 850 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში ეფუძნება წერილობით დოკუმენტს, რომლის შინაარსით ირკვევა, რომ მოპასუხემ 2012 წლის 2 მაისიდან 2012 წლის 9 ივლისის ჩათვლით სხვადასხვა დროს მიიღო შემდეგი ოდენობის თანხა: 2012 წლის 2 მაისს – 350 აშშ დოლარი, 2012 წლის 7 მაისს – 4000 აშშ დოლარი, 2012 წლის 12 მაისს – 2000 აშშ

დოლარი, 2012 წლის 29 მაისს – 100 აშშ დოლარი, 2012 წლის 1 ივნისს – 300 აშშ დოლარი, 6000 აშშ დოლარი, 2012 წლის 23 ივნისს – 400 აშშ დოლარი, 2012 წლის 5 ივლისს – 500 აშშ დოლარი და 2012 წლის 9 ივლისს – 200 აშშ დოლარი. მითითებული თანხის ჯამი შეადგენს 13 850 აშშ დოლარს.

49. საკასაციო საჩივრით კი, სადავოა ხელწერილში მითითებული თანხის (13,850 აშშ დოლარი) მოპასუხისათვის გადაცემის მიზნობრიობა, რაც კასატორის მოსაზრებით, ხელწერილის, როგორც მტკიცებულების შეფასებისათვის (სსსკ-ის 105-ე მუხლი) იყო მეტად მნიშვნელოვანი.

50. იმავდროულად, კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად ვერ განსაზღვრა მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გაცემული თანხის ოდენობა და დანიშნულება, ჩათვალა, რომ ყველა გაცემული თანხა უკან დაბრუნებას ექვემდებარებოდა.

51. მოსარჩელის ჩანაწერებს ერთვის თანხის გადაცემის დანიშნულების დამდგენი ინფორმაცია, რითაც გაცემული თანხების მიზნობრიობის დადგენა იყო შესაძლებელი. სახელდობრ, თანხის გაცემის დანიშნულებაში მითითებულია: „ავანსის თანხა“, „ო-ს მივეცი“ „სახარჯი“, „ქირა“ და ა.შ. (იხ., კასაციის საფუძვლები).

52. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, კასატორის მიერ წარმოდგენილი არაა დასაბუთებული საკასაციო შედეგება (პრეტენზია).

53. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს სსიპ „ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2015 წლის 27 ივლისის დასკვნას, რომლის მიხედვით 2012 წლის 2 მაისის პერიოდიდან შედგენილი ხელწერილის სახით მხარეზე განთავსებულ თანხის ოდენობის აღმნიშვნელ ყოველ ციფრობრივ ჩანაწერში (ჩანაწერები „350“, „4000“, „2000“, „100“, „300“, „6000“, „100“, „100“, „400“, „500“, „200“), ყველა ციფრი შესრულებულია ერთი და იმავე საწერი საშუალებით. 2012 წლის 2 მაისის ხელწერილის სახით მხარის ზედა ნაწილში განთავსებული თანხის ოდენობის აღმნიშვნელ ციფრობრივ ჩანაწერებში „4000“, „2000“, „100“, „300“ და ქვედა ნაწილში რიგითი ნომრის 5 გასწვრივ პირველ და მეორე სტრიქონზე განთავსებულ თანხის ოდენობის აღმნიშვნელ ციფრობრივ ჩანაწერებში „100“, „100“ რიგითი ნომრის 5 გასწვრივ პირველ, მეორე და მესამე სტრიქონზე განთავსებულ თანხის ოდენობის აღმნიშვნელ ციფრობრივ ჩანაწერებში „400“, „500“, „200“ ცალკეული ციფრების მიწერა არ მომხდარა. 2012 წლის 2 მაისის ხელწერილის

სახით მხარის ზედა ნაწილში განთავსებულ თანხის ოდენობის აღმნიშვნელ ციფრობრივ ჩანაწერში 350 აღნიშნება, თუ არა რომელიმე ციფრის მინერა დადგენა შეუძლებელია. დადგენა იმისა, რომ 2012 წლის 2 მაისის ხელწერილის მხარის ზედა ნაწილში რიგითი ნომრის 4 გასწვრივ განთავსებულ თანხის ოდენობის აღმნიშვნელ ციფრობრივ ჩანაწერში 6000 ბოლო ციფრი „0“ მიწერილია თუ არა შემდგომში, შეუძლებელია.

54. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. სწორედ ამიტომ სამართალწარმოების პროცესში სასამართლო შებოჭილია არამართო მხარეთა სასარჩელო მოთხოვნებისა თუ შესაგებლის ფარგლებით, არამედ მხარეთა მითითებებით, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით და ექსპერტთა დასკვნებით. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ექსპერტის დასკვნაც, ამ კოდექსის 162-ე მუხლით გათვალისწინებულ მტკიცებულებას განეკუთვნება და წარმოადგენს სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის მიერ მოკვლეული საკითხის ირგვლივ განხორციელებულ შეფასებას. ექსპერტის დასკვნის შეფასებისას (იმდენად რამდენადაც დასკვნა სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის კომპეტენციას ეფუძნება) ყურადღება უნდა მიექცეს რამდენიმე გარემოებას, მათ შორის: გამოსაკვლევად მიწოდებულ მასალას, მის კვლევით ნაწილს, რადგან სწორედ კვლევითი ნაწილის შედეგი აისახება საბოლოო დასკვნაში, რომელსაც მართალია არ აქვს სხვა მტკიცებულებებზე აღმატებული იურიდიული ძალა, თუმცა,

მის იურიდიულ ძალასა და შინაარსს აფასებს სასამართლო მისივე დასაშვებობის, გამოყენებული კვლევის მეთოდების, საკვლევე მასალისა და ა.შ. მიხედვით.

55. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს შეფასება ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის შესახებ არ არის განხორციელებული საპროცესო ნორმების დარღვევით (სსკ-ის 393.2 მუხლი). გასაზიარებელია ის გარემოებაც, რომ ექსპერტიზის დასკვნით არ დასტურდება 2012 წლის 2 მაისის პერიოდიდან შედგენილ ხელწერილზე ისეთი სახის ჩასწორებების ან რაიმე ჩამატებების ფაქტი, რაც დაადასტურებდა მოპასუხის (კასატორის) პოზიციას მის იურიდიულ ძალასა და შესაბამისად, უტყუარობასთან დაკავშირებითაც.

56. საგულისხმოა ისიც, რომ სააპელაციო პალატის შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება, რომ ხელწერილში მითითებული თანხები, რომლის გასწვრივაც დაფიქსირებულია მოპასუხის ხელმოწერა, წარმოადგენს საერთო სამენარმეო საქმიანობიდან მიღებულ მოგებას.

57. აღსანიშნავია ისიც, რომ მოპასუხე არცერთ ეტაპზე სადავოდ არ ხდიდა ხელწერილში მითითებული იმ თანხების მიღებას, რომლის გასწვრივაც დაფიქსირებულია მისი ხელმოწერა, თუმცა არ ეთანხმებოდა თანხის მიღების მიზნობრიობას. მოპასუხე (კასატორი) საკასაციო საჩივარშიც აღნიშნავს, რომ „მოსარჩელემ თანხები გასცა სარგებლის გარეშე და განუსაზღვრელი ვადით და მას ამ თანხიდან სარგებლის მიღების მოლოდინი არც გააჩნდა“.

58. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ 2011 წლიდან მხარეები იცნობენ ერთმანეთს, ერთობლივად აწარმოებდნენ საერთო სამენარმეო საქმიანობას და ამ საქმიანობიდან ინაწილებდნენ მიღებულ მოგებას, სააპელაციო სასამართლოს შეფასება და დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ 2012 წლის 2 მაისიდან 2012 წლის 9 ივლისის ჩათვლით მოპასუხემ მოსარჩელისაგან მიიღო სულ – 13 850 აშშ დოლარი, გასაზიარებელია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნია.

59. საგულისხმოა, რომ ამ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი შეფასების მიზნით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის

თანხის გადაცემის ფაქტი ვალდებულებით-სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ექცეოდა სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის რეგულირების რეჟიმში და, შესაბამისად, მიღებული შესრულება ექვემდებარებოდა დაბრუნებას.

60. დასკვნის სახით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 13 850 აშშ დოლარის მოსარჩელისათვის დაბრუნების ვალდებულების წარმოშობის ნაწილში, საკასაციო საჩივარი უარყოფილი უნდა იქნეს, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

61. კასატორის შემდგომი პრეტენზია შეეხება მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის არასწორ გაანგარიშებას. ამასთან დაკავშირებით კასატორს უმართებულოდ მიაჩნია მოსარჩელის მოთხოვნის ვადამოსულობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს შეფასება, სახელდობრ, კასატორის მოსაზრებით, მოსარჩელემ საქმის განხილვისას განაცხადა, რომ მოპასუხეს თანხა უნდა დაებრუნებინა, როდესაც ექნებოდა, ხოლო სარჩელი სასამართლოში თანხის დაბრუნების შესახებ აღიძრა 2014 წელს. უფრო ადრე კი, თანხის დაბრუნების შესახებ პრეტენზია მოპასუხის მისამართით არც გამოუთქვამს (იხ., კასაციის საფუძვლები).

62. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, კასატორის მიერ წარმოდგენილია დასაბუთებული და დასაშვები საკასაციო შედავება (პრეტენზია), რამდენადაც კასატორის მიერ სადავოდ გამხდარ ნაწილში, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად დაკისრებული აქვს მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანი – 13 850 აშშ დოლარის წლიური 10% 2012 წლის სექტემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

63. გადაწყვეტილება უცვლელადაა დატოვებული გასაჩივრებული განჩინებით. გამომდინარე იქიდან, რომ სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება და შესაბამისად, ამ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილება ეფუძნება სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის, 411-ე და 412-ე მუხლების სამართლებრივ დანაწესს, რომლის მიხედვითაც ფულადი ვალდებულების შესრულების წარმოშობის დროდან კრედიტორს შესაძლებლობა ჰქონდა მიეღო სარგებელი, კონკრეტულ შემთხვევაში კი, დათქმულ დროში ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მოსარჩელეს მიადგა ზიანი.

64. ფულადი ვალდებულების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის გამო, მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის ოდენობის მართლზომიერი დაანგარიშების მნიშვნელო-

ბის თვალსაზრისით საკასაციო პალატა მოიხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში გაკეთებულ განმარტებებს, რომლებიც შეეხება კრედიტორის სასარგებლოდ ზიანის დაკისრების წარმოშობის საფუძვლებს და მიუღებელი შემოსავლის დაანგარიშების პერიოდს. საქმეზე №ას-459-438-2015, 07 ოქტომბერი, 2015 წელი, საკასაციო პალატამ განმარტა შემდეგი: „ზიანი არის კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სხვაობა „უნდა-ყოფილიყო“ და „არის მდგომარეობას“ შორის (სხვაობის ჰიპოთეზა). სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა, ანუ მდგომარეობა რომელიც იარსებებდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა (Totalreparation-ის პრინციპი). სსკ-ის 411-ე მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს 408-ე მუხლში მოცემულ ზიანის სრულად ანაზღაურების პრინციპს. სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება. შდრ: სუსგ-ის 2012 წლის 11 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-630-593-2012.

65. ამდენად, კრედიტორს გააჩნია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ხელშეკრულების დარღვევისათვის, თუმცა, ზიანის ოდენობის დაანგარიშების მიზნისათვის მთავარია ვალდებულების დარღვევის პერიოდი.

66. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოპასუხისათვის გადაცემული თანხის დაბრუნების ვადა მხარეთა წინასწარი შეთანხმებით გათვალისწინებული არ ყოფილა; არც ის გარემოება დგინდება, რომ წინამდებარე სარჩელის აღძვრამდე კრედიტორმა მოსთხოვა მოვალეს გადაცემული თანხის უკან დაბრუნება. შესაბამისად, ფულადი ვალდებულების შესრულების დროდ მიჩნეული უნდა იქნეს მოსარჩელის მიერ მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელის სასამართლოში წარდგენის დრო.

67. დადგენილია, რომ წინამდებარე სარჩელი მოპასუხის წი-

ნალმდეგ სასამართლოს წარედგინა 2014 წლის 24 აპრილს.

68. მაშასადამე, მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც დროის დასახელებულ პერიოდს უკავშირდება, რამდენადაც ივარაუდება, რომ ამ დროიდან კრედიტორის მიმართ ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, არ დადგებოდა ზიანი.

69. საკასაციო პალატის აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განჩინება ამ ნაწილში, იურიდიულად დაუსაბუთებელია (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

70. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

71. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე.

72. სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. საგულისხმოა, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ზიანის, როგორც მიუღებელი შემოსავლის სსკ-ის 411-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა წანამძღვრის მტკიცების მოვალეობა მოსარჩელეს ეკისრება და სარჩელის პერსპექტივა გარკვეულ ასპექტში დამოკიდებულია სწორედ მტკიცების ტექნიკაზე.

73. ნიშანდობლივია რომ მიდგომა განსხვავებულია ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებულ ზიანთან, რაც განპირობებულია ფულის განსაკუთრებული თვისებებით, კერძოდ, სყიდვითი უნარიანობის მაღალი ხარისხით, რაც ყველა შემთხვევაში, ანიჭებს ფულს სარგებლის მოტანის უნარს. ფული ყოველთვის შემოსავლის წყაროა, ვინაიდან შეუძლია, შესძინოს მესაკუთრეს არა მხოლოდ მისთვის სასურველი ქონება, არამედ გარკვეული პერიოდული შემოსავალი საბანკო პროცენტის

სახით.

74. ამგვარად, ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა კრედიტორს ყოველთვის აყენებს ზიანს და სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისგან განსხვავებით, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება არც ზიანის მიყენების ფაქტისა და არც მისი ოდენობის დადგენას. იხ. სუსგ №ას-992-950-2013, 4 მარტი, 2014 წელი.

75. მოცემულ შემთხვევაში, ზიანის არსებობის ფაქტის დასადასტურებლად ის გარემოებაა მხედველობაში მისაღები, რომ 13850 აშშ დოლარის დადგენილ ვადაში დაბრუნების შემთხვევაში, მოსარჩელე (კრედიტორი) ამ თანხის სხვაგვარად გამოყენებას შეძლებდა.

76. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის, 411-ე, 412-ე მუხლების ამოსავალი დებულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი, ანუ ანაცდური მოგება (*lucrum cessans*).

77. სსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით, მიუღებლად მიიჩნევა შემოსავალი, რომელიც კრედიტორს არ მიუღია და რომელსაც იგი მიიღებდა მოვალეს რომ ვალდებულება ჯეროვნად შესერიული იქნებინა. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდოდ შემოსავალია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (*pure economic loss*), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება (მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის სამართლებრივი საკითხებისათვის შდრ: სუსგ №ას-459-438-2015, 07 ოქტომბერი, 2015 წელი, სუსგ-ის 2011 წლის 24 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-307-291-2011).

78. მოცემული საქმის მასალებით დგინდება, რომ მოვალეს

მიღებული თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება წარმოემ-
ვა 2014 წლის 24 აპრილს (იხ., ამ განჩინების პპ – 65-66). სახელ-
დობრ, დადგენილია, რომ მოპასუხისათვის გადაცემული თან-
ხის დაბრუნების ვადა მხარეთა წინასწარი შეთანხმებით გათ-
ვალისწინებული არ ყოფილა; არც ის გარემოება დგინდება, რომ
წინამდებარე სარჩელის აღძვრამდე კრდიტორმა მოსთხოვა მო-
ვალეს გადაცემული თანხის უკან დაბრუნება. შესაბამისად, ფუ-
ლადი ვალდებულების შესრულების დროდ მიჩნეული უნდა იქ-
ნეს მოსარჩელის მიერ მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელის სასა-
მართლოში წარდგენის დრო.

79. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუღებელი შემო-
სავლის სახით ზიანის – 13850 აშშ დოლარის წლიური 10%-ის
გადახდის დაკისრების ნაწილში სარჩელი წარმატებულია 2014
წლის 24 აპრილიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრუ-
ლებამდე დაკისრების ნაწილში.

საპროცესო ხარჯები:

80. მართალია, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო საჩივარი
დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შესაბამისად, ამავე ნაწილშია
შეცვლილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტი-
ლებები. თუმცა, აღნიშნული გავლენას ვერ იქონიებს მხარეთა
შორის სსსკ-ის 53-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფო ბაჟის
სახით გადახდილი თანხების გადანაწილებაზე, შემდეგი მოსაზ-
რების გამო:

81. სარჩელი უარყოფილია ზიანის დაკისრების მხოლოდ გარ-
კვეული პერიოდის ნაწილში კი, ზიანის გადახდა მოპასუხეს და-
კისრებული აქვს 2014 წლის 24 აპრილიდან გადაწყვეტილების
აღსრულებამდე და მაშასადამე, სარჩელის ფასის განსაზღვრა
ამ ნაწილში წარმოებს სსსკ-ის 41-ე მუხლის „დ“ პუნქტის სა-
ფუძველზე (სამი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების
ერთობლიობით).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწი-
ლით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. თ. მ-ვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწი-
ლობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის 2017 წლის 25 აპრილის განჩინებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.2 პუნქტის შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. თ. მ-ვილს ზ. ჯ-ვილის სასარგებლოდ დაეკისროს მიუღებელი შემოსავლისათვის ზიანის ანაზღაურების სახით 13850 აშშ დოლარის წლიური 10%-ის გადახდა 2014 წლის 24 აპრილიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე;

4. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 25 აპრილის განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-660-660-2018

20 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ე. გასიტაშვილი,

ბ. ალავეიძე

დავის საგანი: მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება, სარჩოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ლ. ს-ამ (შემდეგში: მოსარჩელე ან კასატორი) სარჩელი აღძრა მოპასუხეების: შპს „ყ-ისა“ (შემდეგში: პირველი მოპასუხე ან მეორე აპელანტი ან მონინალმდეგე მხარე) და შპს „ბ-ის“ (შემდეგში მეორე მოპასუხე) მიმართ და მოითხოვა:

2. უძრავი ქონებისთვის მიყენებული ზიანის – 5026 ლარის ანაზღაურების სოლიდარულად დაკისრება;

3. ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის – 2000 ლარის სოლიდარულად დაკისრება;

4. შრომისუუნარობით გამოწვეული ზიანის – 500 ლარის ანაზღაურება ყოველთვიური სარჩოს დაწესებით.

5. მორალური ზიანის – 100000 ლარის სოლიდარულად დაკისრება;

6. ყურის აპარატის შეძენისთვის გაღებული ხარჯის – 500 ლარის სოლიდარულად დაკისრება.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 09.02.2017წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: პირველ მოპასუხეს გადასახდელად დაეკისრა 5026 ლარი მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, 4000 ლარი მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით. მოთხოვნის დანარჩენ ნაწილში, სარჩელი უარყოფილ იქნა.

8. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით ორივე მხარემ წარადგინა სააპელაციო საჩივრები. მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო პირველმა მოპასუხემ – გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით მეორე აპელანტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო პირველი აპელანტის სააპელაციო დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 09.02.2017წ. გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით სარჩოს დაკისრების და ყურსასმენი აპარატის შეძენისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურებაზე უარის ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. პირველ მოპასუხეს (მეორე აპელანტი) ყოველთვიური სარჩოს სახით გადასახდელად დაეკისრა 250 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. მასვე დაეკისრა ყურსასმენი აპარატის შეძენისათვის გაწეული ხარჯი – 500 ლარი.

10. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისში, ნ-ის ქ. №54-ში მოპასუხეები ახორციელებდნენ გაზის მრიცხველების გარეთ გატანის სამუშაოებს. 2014 წლის 6 მაისს აღნიშნული სამუშაოები ხორციელდებოდა მოსარჩელის ბინაში, რა დროსაც, მოხდა გამოყოფილი და დაგროვებული ბუნებრივი აირის აფეთქება. ბუნებრივი აირის შედეგად დაზიანდა მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი, ხოლო

ზიანის ღირებულებამ შეადგინა 5026 ლარი. მოსარჩელე არის პიანისტი. იგი მუშაობს ხელოვნების სკოლაში, არის პედაგოგი. აგრეთვე, ამზადებდა კერძო მოსწავლეებს. აფეთქების შედეგად მოსარჩელემ მიიღო დამწვრობა. მას დაუქვეითდა სმენა, რის გამოც, იგი იყენებს სმენის აპარატს.

11. პირველი ინსტანციის სასამართლომ მოსარჩელისათვის მიყენებულ ზიანში ბრალეულ პირად მიიჩნია პირველი მოპასუხე. თუმცა, საკმარისი მტკიცებულების არარსებობის გამო, არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სმენის დაქვეითების გამო იგი ველარ ახერხებს დაკვრას და მოსწავლეების მომზადებას, დაკარგა პროფესია და შრომისუნარიანობა. უარყოფილი იქნა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებითაც, რომ დამწვრობის შედეგად მისი ჯანმრთელობისთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 2000 ლარი, ხოლო ყურის სპეციალური სასმენი აპარატის შეძენისთვის გაღებულ იქნა ხარჯი 500 ლარის ოდენობით.

12. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების 3-10-მი მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მეორე აპელანტის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით მიუერთა შემდეგი:

13. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ი) 316-ე და 317-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილე, რომელიც არღვევს ვალდებულებას პასუხს აგებს დაზარალებული პირის წინაშე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობებს შორის უმნიშვნელოვანესია ერთ-ერთი მხარის მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა ხელშეკრულების დებულების დარღვევის გზით. ამასთან, სახეზე უნდა იყოს ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, მიზეზობრივი კავშირი დამდგარ ზიანსა და დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის. როგორც წესი, ვალდებულების დარღვევა უნდა იყოს ბრალეული. აღნიშნული წინაპირობების არსებობა განაპირობებს დამრღვევი მხარის მიმართ პირველადი და მეორადი მოთხოვნების წარმოშობას, კერძოდ, ვალდებულების შესრულების, როგორც პირველადი მოთხოვნის, ასევე იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, რაც წარმოიშვა დამრღვევი მხარის ქმედების შედეგად (მეორადი მოთხოვნა).

14. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზიანის ანაზღაურება ყოველთვის გულისხმობს სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ერთი მონაწილის პასუხისმგებლობას მეორე

მონაწილის წინაშე. ზიანის ანაზღაურებაში განმსაზღვრელია აღიარებული პრინციპი, რომლის შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნა (ზიანის ანაზღაურება) (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვალდებულების დარღვევის ყველა შემთხვევისათვის (სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საერთო ფორმა).

15. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო სამართალში იურიდიული თანასწორობის აღიარების მიუხედავად მენარმეთა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა სამოქალაქო ბრუნვის სხვა მონაწილეთა პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო აღმატებულია. აღნიშნული განსაკუთრებით შეეხება მომხმარებელთან დადებულ სტანდარტული დებულებების შემცველ ხელშეკრულებებს.

16. სამოქალაქო კოდექსი მხარეებისაგან მოითხოვს ურთიერთპატივისცემასა და გულისხმიერებას კონტრაჰენტთან მიმართებით. ამ თვალსაზრისით, ორივე მხარეს შეთანხმებულზე მეტ ვალდებულებას აკისრებს (316-ე მუხლის მე-2 ნაწ.) (იხ. საქმე ას-992-1245-05. 2006 წლის 14 თებერვალი).

17. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მხარეები იმყოფებიან ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში, კერძოდ, მოსარჩელე წარმოადგენს პირველი მოპასუხის აბონენტს ბუნებრივი აირის მიწოდებისა და შესაბამისი საფასურის გადახდის სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე.

18. დადგენილია, რომ მეორე მოპასუხე ახორციელებდა მრიცხველების გარეთ გატანის სამუშაოებს პირველი მოპასუხის დავალებისა და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

19. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მრიცხველების გარეთ გატანის სამუშაოების სათანადოდ, უსაფრთხოდ შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულება (რაც ასევე გულისხმობს ტექნიკური სამუშაოების უშუალო შემსრულებლის სათანადოდ შერჩევას) აბონენტის, მოსარჩელის წინაშე ეკისრებოდა სწორედ, პირველ მოპასუხეს, როგორც აბონენტთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ მენარმე სუბიექტს.

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატამ არ გაიზიარა პირველი მოპასუხის პოზიცია ქვეკონტრაქტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მესამე პირების მიმართ მათი ქონების დაზიანების შემთხვევაში ქვეკონტრაქტორის პასუხისმგებლობის თაობაზე და მიიჩნია, რომ აბონენტის (კონტრაჰენტის) მიმართ გულისხმიერების ვალდებულება, რაც შეთანხმებულ-

ზე მეტ ვალდებულებებს აკისრებს მხარეს, არ შეიძლება გამოირიცხოს, ამ შემთხვევაში, ქვეკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გადაკისრებაზე შეთანხმებით.

21. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი მოპასუხის პოზიცია არც შერეული ბრალის არსებობასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ საქმის მასალებით მოსარჩელის ბრალეულობა ზიანის დადგომაში არ იყო დადგენილი.

22. მოსარჩელის „დაყინებული თხოვნა“ არასამუშაო საათებში სამუშაოების ჩატარების თაობაზე, ასეთის დადგენის შემთხვევაშიც, ზიანის ნარმოშობაში მოსარჩელის ბრალეულ ქმედებად ვერ შეფასდება.

23. მოსარჩელის/პირველი აპელანტის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

24. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილი იქნა ის გარემოება, რომ აფეთქების შედეგად დაზიანდა მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი და თავად მოსარჩელემაც მიიღო ფიზიკური დაზიანება – მიიღო დამწვრობა და დაკარგა სმენა. შესაბამისად, ზიანი, რომელიც დასტურდებოდა საქმის მასალებით უნდა დაკისრებოდა პირველ მოპასუხეს.

25. სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ყურის სპეციალური სასმენი აპარატის შექენისთვის გაღებულ იქნა ხარჯი 500 ლარის ოდენობით. აღნიშნულის საპირისპირო მტკიცებულება საქმის მასალებში წარმოდგენილი არ იყო [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომი: სსკ-ის) მე-4 და 102-ე მუხლები]. ამასთან, ყურსასმენი აპარატის გამოყენების აუცილებლობა საქმის მასალებით დადგენილი იყო. შესაბამისად, ყურსასმენი აპარატის შექენის ხარჯის 500 ლარის ნაწილში, სარჩელი დასაბუთებულად იქნა მიჩნეული.

26. რაც შეეხება ყოველთვიური სარჩოს დაკისრებას 500 ლარის ოდენობით, პალატამ მიუთითა შემდეგზე:

27. მოწმეთა ჩვენებებით დასტურდებოდა, რომ მოსარჩელე მოცემული მდგომარეობით კვლავ მოღვაწეობდა ხელოვნების სკოლაში, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, ღონისძიებებისათვის ამზადებდა მოსწავლეებს, თუმცა, აღნიშნულ საქმიანობას იგი ახორციელებდა სმენის სპეციალური აპარატის მემ-

ვეობით.

28. სსკ-ის 408-ე მუხლის მეორე და მეოთხე ნაწილების თანახმად თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუძცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის მიღება, თუ არსებობს საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურების არსი სწორედ დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის კომპენსირებაში მდგომარეობს, რისთვისაც მხედველობაშია მისაღები ის შემოსავალი, რომელიც დაზარალებულს გააჩნდა ზიანის დადგომამდე მუშაობისას და ზიანის დადგომის შემდგომი პერიოდი, როდესაც შრომის უნარის შეზღუდვის გამო დაზარალებული ვეღარ ახერხებს მუშაობას, რის გამოც, მას არ აქვს უნარი, მიიღოს შემოსავალი ხელფასის სახით, რომელსაც იგი მიიღებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულელებელი გარემოება.

29. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველთვიური სარჩოს სახით ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმს სწორედ ხელფასის ის ოდენობა წარმოადგენდა, რასაც დაზარალებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გამო ჯანმრთელობის დაზიანებამდე იღებდა და რასაც იგი მიიღებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულელებელი გარემოება (სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი).

30. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმის თაობაზე, რომ აფეთქების შედეგად მას ისე დაუზიანდა სმენადობა, რომ ვეღარ ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას.

31. სააპელაციო პალატამ მიუთითა მონმეთა ჩვენებებით დადასტურებულ ფაქტზე, რომ მოსარჩელე მოცემული მდგომარეობით კვლავ მოღვაწეობდა ხელოვნების სკოლაში, ენეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, ღონისძიებებზე გაჰყავდა მოსწავლეები, თუმცა აღნიშნულ საქმიანობას იგი ახორციელებდა სმენის სპეციალური აპარატის მეშვეობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ დადგენილად მიიჩნია მოსარჩელის შრომის უნარის შემცირების გარემოებები, რაც საფუძველს წარმოადგენდა ყოველთვიური სარჩოს თაობაზე მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისათვის. კერძოდ, პალატამ მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე სარჩოს ოდენობად უნდა განსაზღვრულიყო ყოველთვიურად 250

ლარი, რაც შეადგენს მოსარჩელის მიერ მითითებულ ყოველთვიური შემოსავლის 500 ლარის 50%-ს.

32. რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობას, ამ ნაწილში, სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას [სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი] და მორალური ზიანის სახით 4000 ლარის განსაზღვრა გონივრულ და სამართლიან ოდენობად მიიჩნია.

33. მოთხოვნა მოპასუხე მხარის მიერ ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 2000 ლარის ანაზღაურების თაობაზე, უარყოფილი იქნა დაუსაბუთებლობის გამო [სსსკ-ის 102-ე მუხლი]. მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი არ იყო მტკიცებულება

34. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება, თავისთავად გამორიცხავდა მოპასუხის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებას.

35. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. კასატორის (მოსარჩელის) მოთხოვნას წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

36. პირველი საკასაციო პრეტენზია შეეხება მოპასუხეებისათვის პასუხისმგებლობის სოლიდარულად დაკისრებას და ამ ნაწილში, კასატორი მიიჩნევს, რომ მოპასუხეებს ზიანი სოლიდარულად უნდა აენაზღაურებინათ სსკ-ის 464-ე, 992-ე და 998-ე მუხლების შესაბამისად. ამ თვალსაზრისით, კასატორი აღნიშნავს, რომ პირველი მოპასუხის თანამშრომლებს ეკისრებოდათ ვალდებულება გაეტარებინათ ტექნიკური სამუშაოები ბუნებრივი აირის მრიცხველის გარეთ გატანასთან დაკავშირებით, თუმცა, მათ მიერ განხორციელებული ქმედების შედეგად, გაჟონა ბუნებრივმა აირმა, დაგროვდა და გამოიწვია აფეთქება, აქედან გამომდინარე ჩანს, რომ მათ არ დაიცვეს უსაფრთხოების ნორმები, რასაც მოჰყვა აფეთქება. მოცემულ შემთხვევაში, პირველი მოპასუხე იყო უშუალო სუბიექტი, რომელსაც ევალებოდა მიღების ტექნიკური გამართულობა და ვის დაიქირავებდა იგი თავისი მოვალეობების შესასრულებლად, ეს მისი გადასაწყვეტი იყო და ამის გამო იგი არანაირად არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ორივე მოპასუხის მიმართ უნდა დამდგარიყო.

37. კასატორის მეორე პრეტენზია შეეხება მორალური ზიანის ოდენობის არაგონივრულ განსაზღვრას. ამ ნაწილში, საკა-

საციო საჩივარში აღნიშნულია, რომ მოწმეთა ჩვენებებით მართალია დადასტურებულ იქნა ის ფაქტი, რომ მოსარჩელე მოცემული მდგომარეობით კვლავ მოღვაწეობს ხელოვნების სკოლაში, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, ღონისძიებებზე გაყავს მოსწავლეები, თუმცა, სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ იგი ამას აკეთებს სმენის სპეციალური ხელსაწყოთი. შესაბამისად, უდავოა, რომ მოსარჩელე პროფესიულ საქმიანობას სმენის აპარატის გარეშე ვერ ახორციელებს და უდავოა, რომ ამგვარ ვითარებაში, იგი განიცდის სულიერ ტანჯვას. მოსარჩელე ხანშიშესული ქალბატონია და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საჭიროებს სისტემატიურ კონტროლს და შემთხვევის შედეგად მიღებული დამატებითი დაზიანებები მის მდგომარეობას აუარესებს. მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ მუსიკალური პროფესიის დაუფლება არის ერთ-ერთი ყველაზე რთული საქმიანობა, რასაც ჭირდება საშუალოდ დღეში 10-11 საათის ვარჯიში და როდესაც დაუდევარი ქმედებით სმენას გიქვეითებენ და შემდგომში, სასამართლოში განხილვის ეტაპზე გასაუხობენ, რომ პროფესიულ საქმიანობას მაინც ახორციელებს სმენის აპარატით, ეს არის უაღრესად ცინიკური და არაადამიანური მიდგომა. მოსარჩელისათვის სმენის დაქვეითება მისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე უაღრესად დიდი ტკივილის შემცველია, რაც მისთვის დაკავშირებულია მუდმივ დეპრესიასთან.

სამოტივაციო ნაწილი:

38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 მაისის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 10 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მოპასუხეებისათვის სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში, დაუშვებლად იქნა ცნობილი, ხოლო საკასაციო საჩივარი მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში, მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად. შესაბამისად, საკასაციო პალატა იმსჯელებს კასატორის მხოლოდ იმ პრეტენზიაზე, რომელიც სააპელაციო სასამართლოს მიერ მორალური ზიანის ოდენობის არაგონივრულ განსაზღვრას შეეხება.

40. მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში,

კასატორის მოთხოვნა იმ მოსაზრებას ემყარება, რომ 2014 წლის 6 მაისს მის ბინაში მოპასუხეები ახორციელებდნენ გაზის მრიცხველების გარეთ გატანის სამუშაოებს, რა დროსაც, მოხდა გამოყოფილი და დაგროვებული ბუნებრივი აირის აფეთქება. ბუნებრივი აირის აფეთქების შედეგად დაზიანდა მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი, თავად მოსარჩელემ კი მიიღო სხეულის დამწვრობა. აფეთქების შედეგად მას ასევე დაუქვეითდა სმენა, რის გამოც, მუდმივად იყენებს სმენის აპარატს. მით უფრო, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოსარჩელე არის პინანსტი, მუშაობს ხელოვნების სკოლაში. მართალია, იგი კვლავ განაგრძობს მოსწავლეებთან მუშაობას, თუმცა, ამას ახერხებს მხოლოდ სმენის აპარატის დახმარებით. ეს ყოველივე, მორალური ზიანის განსაზღვრის თვალსაზრისით ყურადსაღებები გარემოებები იყო, თუმცა, საქმის განმხილველმა სასამართლომ მხედველობაში მხოლოდ ის გარემოება მიიღო, რომ მოსარჩელე კვლავ ახერხებდა თავისი პროფესიით საქმიანობას და ამდენად მიიჩნია რომ, მორალური ზიანის სახით პირველი მოპასუხისათვის 4000 ლარის დაკისრება გონივრულ შესაბამისობაში იყო მოსარჩელის მუდმივ სულიერ და ფიზიკურ ტანჯვასთან, რისი ატანაც მას მთელი სიცოცხლე მოუწევდა.

41. საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებებს, რომელთა მიმართ კასატორს შედავება არ წარმოუდგენია და მაშასადამე, მათ საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ [სსსკ-ის 407-ე მუხლი], კერძოდ:

42. ქალაქ თბილისში, ნ-ის ქ. №54-ში მოპასუხეები ახორციელებდნენ გაზის მრიცხველების გარეთ გატანის სამუშაოებს.

43. 2014 წლის 6 მაისს აღნიშნული სამუშაოები ხორციელდებოდა მოსარჩელის ბინაში, რა დროსაც, მოხდა გამოყოფილი და დაგროვებული ბუნებრივი აირის აფეთქება.

44. ბუნებრივი აირის აფეთქების შედეგად დაზიანდა მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი, ხოლო თავად მოსარჩელემ მიიღო სხეულის დამწვრობა.

45. აფეთქების შედეგად მოსარჩელეს ასევე დაუქვეითდა სმენა, რის გამოც, იგი მუდმივად იყენებს სმენის აპარატს.

46. მოსარჩელე არის პროფესიით პინანსტი.

47. მოსარჩელე მოცემული მდგომარეობით კვლავ მოღვაწეობს ხელოვნების სკოლაში, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, ღონისძიებებზე გაყავს მოსწავლეები, თუმცა, იგი ამას აკეთებს სმენის სპეციალური ხელსაწყო დახმარებით.

48. უდავოა, რომ მოსარჩელე პროფესიულ საქმიანობას სმენის აპარატის გარეშე ვერ ახორციელებს და ამგვარ ვითარება-

ში, იგი განიცდის სულიერ ტანჯვას.

49. მოსარჩელე ხანშიშესული ქალბატონია და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საჭიროებს სისტემატიურ კონტროლს და შემთხვევის შედეგად მიღებული დამატებითი დაზიანებები მის მდგომარეობას აუარესებს.

50. სააპელაციო პალატამ ზემოთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ მორალური ზიანის სახით 4000 ლარის განსაზღვრა გონივრულ და სამართლიან ოდენობას წარმოადგენდა [სსკ-ის 413-ე მუხლი].

51. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში, კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება). შესაბამისად, იურიდიულად ნაწილობრივ დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილება (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

52. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

53. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

54. დავის სამართლებრივი მოწესრიგების თვალსაზრისით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს, მორალური ზიანის ანაზღაურების კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმატიულ აღწერილობაზე, კერძოდ, სსკ-ის 413-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

55. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 413-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირო-

ბებელ ყველა სამართლებრივ წანამძღვართან შემომნების მიზნით, რომ სსკ-ის მიხედვით მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება, როდესაც ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასანევია.

56. ადამიანის ჯანმრთელობა წარმოადგენს სამართლის მიერ დაცულ ერთ-ერთ იმ სიკეთეს, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ანაზღაურება. სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ, მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორცაა უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), თუმცა, ასეთ დროს, სავალდებულოა, დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია (იხ., სუსგ №ას-979-940-2014, 10 სექტემბერი, 2015 წელი).

57. შესაბამისად, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, როგორც ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგად არსებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმი, გამოიყენება როდესაც დადასტურებულია ჯანმრთელობის დაზიანების ანდა მისთვის ვნების მიყენების ფაქტობრივი გარემოება. ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმომშობი ფაქტობრივი გარემოებები წარმოადგენს.

58. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანისათვის დადგება ზიანის, მართლწინააღმდეგობის, მიზეზობრივი კავშირისა და როგორც წესი, ზიანის მიმყენებლის ბრალის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში (სსკ-ის 394-ე და 992-ე მუხლები აღნიშნული წინაპირობების მომცველია).

59. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დელიქტურ სამართალში გამოიყენება ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი, რომლის თანახმად, ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად, თუ ის თავისი ბრალეულობის არარსებობას ვერ დაამტკიცებს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცების ტვირთმა მოიცვა მხოლოდ ზიანის არსებობის ფაქ-

ტის, მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და მათ შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის დასაბუთება.

60. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მტკიცების ტვირთის საპროცესო ვალდებულება შესრულებულად მიიჩნევა მისი მხრიდან მოპასუხის ბრალეულობის დასაბუთების გარეშე. ეს კი ნიშნავს სწორედ იმას, რომ დაზარალებული, რომელიც მიმართავს სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ვალდებულია, დაამტკიცოს მისთვის ზიანის არსებობის ფაქტი, ასევე მიზეზობრივი კავშირის და ზიანის მიმყენების ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. ზიანის მიმყენებელმა, თავის მხრივ, უნდა დაამტკიცოს მის ქმედებაში ბრალის არარსებობა, რადგან ზიანის განმაპირობებელი ქმედება გამომდინარეობს ზიანის მიმყენების კონტროლისა და განკარგულების სფეროდან. ამ შემთხვევაში დამდგარი ზიანი მისი რისკის სფეროში მოიაზრება. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის რისკის საკითხი უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, ჰქონდა თუ არა სუბიექტს იმ გარემოების კონტროლის უნარი, რამაც ზიანის მიყენება განაპირობა. ზიანის მიყენების შემთხვევაში პირის პასუხისმგებლობის მასშტაბი განისაზღვრება იმდენად არა მისი ქცევით, არამედ იმ სფეროთი, სადაც ხორციელდება დამაბრკოლებელი ზემოქმედება.

61. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის დადგომაში თავისი ბრალის არარსებობის თვალსაზრისით იმ გარემოებაზე მითითებით შემოიფარგლა, რომ იგი არ წარმოადგენს მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს და მისთვის გაუგებარია, რატომ არ დადგინდა მოცემულ საქმეზე მეორე მოპასუხის სოლიდარული ვალდებულების არსებობა (იხ., პირველი მოპასუხის საკასაციო საჩივარი). მონინაალმდევე მხარის აღნიშნული მოსაზრება, როგორც ზიანის დადგომაში მისი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი, უარყოფილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ივლისის განჩინებით, რომლითაც პირველი მოპასუხის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი (იხ., სუსგ №ას-660-660-2018, 11.07.2018, პ – 46). შესაბამისად, პირველი მოპასუხის (მონინაალმდევე მხარე) მითითებული მოსაზრება მოსარჩელისათვის მიყენებული პრეზუმირებული ზიანის გამომრიცხავ გარემოებად ვერ იქნება მიჩნეული.

62. ამდენად, საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის სმენის დაქვეითება განაპირობა მის საცხოვრებელ სახლში სამუშაოების განხორციელებისას ბუნებრივი აი-

რის აფეთქებამ. მართალია ამ გარემოებას არ ეთანხმება პირველი მოპასუხე და აღნიშნავს, რომ მოსარჩელე ვერ ადასტურებს, რომ სწორედ აფეთქების შედეგად დაუქვეითდა სმენა, თუმცა, მოპასუხის შედაგებას ამ შემთხვევაში, არ გააჩნია ვარგისი საფუძველი, რამდენადაც როგორც საქმეში არსებული მტკიცებულებებითაა დადგენილი, მოსარჩელე მის სახლში მომხდარი ბუნებრივი აირის აფეთქების შემდეგ მხოლოდ სპეციალური სასმენი აპარატის დახმარებით ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოთხოვნის საფუძველს ამ შემთხვევაში, სსკ-ის 413-ე მუხლთან ერთად სსკ-ის 992-ე მუხლი [დელიქტით მიყენებული ზიანი] წარმოადგენს.

63. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის ხასიათი უნდა შეფასდეს ზიანის მიყენების ფაქტობრივი გარემოებების, ასევე დაზარალებულის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით (მაგ. ასაკი, ფიზიკური მდგომარეობა, პროფესია), აგრეთვე სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებიც ადასტურებს, თუ რა სიმძიმის ტანჯვა განიცადა დაზარალებულმა.

64. სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის მახასიათებელი თვისება არის ადამიანის ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში. შესაბამისად, მორალური ზიანი სახეზეა, როდესაც სახეზეა ადამიანის ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილების არსებობა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში. ზიანის ანაზღაურებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანის სიმძიმე. მსუბუქი სულიერი განცდები, მსგავსად მსუბუქი ფიზიკური ტკივილისა, მხედველობაში არ მიიღება, ხოლო როდესაც ადგილი აქვს ისეთ ზიანს, რომლის დროსაც, როგორც ნესი, მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა, და ა. შ. მოქმედებს ე.წ. მორალური ზიანის პრეზუმფცია და ზიანის მიმყენებლის მიერ საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ დაზარალებულმა პირმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა.

65. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: პირველი – დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე – ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; მესამე – თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მიზნად არ ისახავს მიყენებული ზიანის სრულ

რესტიტუციას, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობა უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი.

66. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მორალური ზიანი-სათვის ფულადი კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უზომოდ გაზრდილი და არ უნდა მონყდეს რეალობას, მისი მიზანი არ უნდა იყოს მოპასუხის დასჯა. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხელყოფის ხასიათი, მისი გავლენა პირის არამატერიალურ სიკეთეზე. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს პირის დარღვეული უფლებების ხასიათს, ამ დარღვევის ნეგატიურ როლს პიროვნებაზე, ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხზე და ა.შ. იმ ვითარებაში, როდესაც მოსარჩელეს, მისი ასაკის გათვალისწინებით, მუდმივად მოუწევს სმენადობის აპარატის დახმარებით ცხოვრება და მოღვაწეობა, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს დაუშვას პრეზუმფცია, რომ მოსარჩელის ჯანმრთელობას მიაღვა გამოუსწორებელი, მუდმივად ასატანი ზიანი, რასაც შედეგად მისი ბუნებრივად მოსალოდნელი სულიერი ტანჯვა და ძლიერი ემოციური სტრესი მოჰყვა.

67. საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ მოპასუხეს პრეზუმირებული ზიანის ფაქტი, არ გაუქარწყლებია (შდრ: სუსგ №ას-979-940-2014, 10 სექტემბერი, 2015 წელი). ამ ნაწილში, პირველი მოპასუხის შედავება მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ მოსარჩელე კვლავ ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას, რაც საკასაციო პალატის მოსაზრებით, მორალური ზიანის სახით ადეკვატული ფულადი თანხის დაკისრების გამომრიცხველი გარემოება ვერ იქნება, რადგან, როგორც აღინიშნა, მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების შემდგომი მდგომარეობა არის გამოუსწორებელი მისი ასაკის მხედველობაში მიღებით, ანუ კასატორის სმენის დაქვეითების პრობლემა ვეღარ გამოსწორდება გონიერი მოსალოდნელობის (სპეციალური ოპერაციული ჩარევა თუ სხვ) გამოყენების საშუალებებითაც. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, იმ გარემოებას, რომ მისი პროფესიისათვის განმსაზღვრელი არის სწორედ სმენადობა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს კასატორის სულიერი ტანჯვის ხარისხს, იგი მოღვაწეობს სახელოვნებო სკოლაში, შესაბამისად, კოლეგებთან და მოსწავლეებთან ურთიერთობაში მას მუდმივად გააჩნია მომხდართით გამოწვეული ნეგატიული შეგრძნება.

68. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურების ზოგადი წინაპირობების შემონიშნებასთან ერთად, მორალუ-

რი ზიანის ანაზღაურებისას გასათვალისწინებელია გარკვეული თავისებურებები, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია განხორციელდეს მისი სრული კომპენსაცია. შესაბამისად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მიზნად არ ისახავს მიყენებული ზიანის სრულ რესტიტუციას. მორალური ზიანის ანაზღაურებისას შეუძლებელია იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც ზიანის წარმომშობი გარემოების (შედეგის) დარღვევამდე არსებულ პირობებში ჩააყენებდა პირს. ამ ტიპის ზიანის ანაზღაურება მხოლოდ დაზარალებულის სულიერი ტანჯვის შემსუბუქების და ემოციური ბალანსის აღდგენის მიზანს ემსახურება.

69. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის სრულფასოვანი ანაზღაურებისთვის შესაფერისი კომპენსაცია არ არსებობს. ფულადი ანაზღაურება მხოლოდ სუროგატია და არა პირდაპირი სარეპარაციო საშუალება. უკეთესი სანქციის უქონლობის გამო, სამართალი ფულადი თანხის გადახდევინებით იცავს იმ უფლებებს, რომელთა შელახვასაც მოსდევს მორალური ზიანი. ამდენად, მორალურ ზიანის ანაზღაურებას არ აქვს ტრადიციული საკომპენსაციო ხასიათი, პასუხისმგებლობის ზომა ამ შემთხვევაში ვერ იქნება ზიანის პროპორციული.

70. აღსანიშნავია ისიც, რომ ზიანის ოდენობაზე პრეზუმფიცია არ ვრცელდება. შესაბამისად, ზიანის ოდენობა და ასევე ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის ქონებრივი მდგომარეობა დაზარალებულის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა. სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ მორალური ზიანი ანაზღაურდება სამართლიანი და გონივრული ანაზღაურების სახით, თუმცა კონკრეტულად არ არის განსაზღვრული ის კრიტერიუმები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას.

71. მორალური ზიანის ოდენობა დამოკიდებულია პირის ფსიქიკურ სფეროში ნეგატიური შედეგების ხარისხსა და ხასიათზე, რასაც თავის მხრივ კონკრეტული პირის სუბიექტური თავისებურებები განაპირობებს. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი გარემოებები, როგორცაა: დამდგარი ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, შელახული უფლების მნიშვნელობა, მოპასუხის მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურება, ბრალის ხარისხი, დაზარალებულის ცხოვრებისეული პირობები (საოჯახ-

ხო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ქონებრივი მდგომარეობა, მკურნალობის ხანგრძლივობა, შრომის უნარის დაკარგვა და სხვა. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ შეადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ფიზიკური და მორალური ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება. მორალური ზიანის ანაზღაურება სასამართლოს მიერ ფულადი ფორმით განისაზღვრება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად. უფრო მეტიც, მორალური ზიანის ანაზღაურება შესაძლოა მოხდეს ზიანის მიყენებლის ბრალის მიუხედავად, როგორცაა მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ ზიანის მიყენებისას.

72. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა გააჩნია სსკ-ის 413-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნის სწორად დადგენას. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს ჩვეულებრივ, შესაძლოა, თან ახლდეს მორალური, სულიერი განცდები, მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ე.ი კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეუძლია დაზარალებულს, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. განსახილველი ნორმის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი. სამართლის მიერ დაცულ ერთ-ერთ სიკეთეს, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ანაზღაურება, წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობა. სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ადამიანის სიცოცხლის იმგვარი ხელყოფაა, რომელიც დაზარალებულს არასრულფასოვნად და ზოგ შემთხვევაში, არაშრომისუნარიანად აქცევს, სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამოდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორცაა უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს

არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), თუმცა, ასეთ დროს, სავალდებულოა, დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია.

73. საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, უდავოა დადგენილი მონინალმდეგე მხარის (მის მიერ საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად გამოყენებული პირის სსკ-ის 396-ე, 326-ე, 992-ე მუხლები) მიერ მოსარჩელისათვის არაქონებრივი ზიანის მიყენების ფაქტი.

74. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით კასატორის მიერ მითითებულ გარემოებაზე, რომ იგი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სმენის მხოლოდ სპეციალური ხელსაწყოთი. უდავოა, რომ ამგვარ ვითარებაში, მოსარჩელე პროფესიულ საქმიანობას (არის პიანისტი) სმენის აპარატის გარეშე ვერ ახორციელებს და ამით იგი განიცდის სულიერ ტანჯვას, ამასთან ერთად მოსარჩელე ხანშიშესული ქალბატონია და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საჭიროებს სისტემატიურ კონტროლს, ხოლო ბუნებრივი აირის აფეთქების შემთხვევის შედეგად მიღებული დამატებითი დაზიანებები, მის ჯანმრთელობის მდგომარეობას აუარესებს. შესაბამისად, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ დაზიანებულ სიკეთის (სმენა) მიმართ კასატორს მისი პროფესიიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ინტერესი გააჩნდა.

75. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სსკ-ის 413-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წანამძღვარის არსებობის საფუძველზე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში, ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და პირველ მოპასუხეს (მონინალმდეგე მხარე) კასატორის (მოსარჩელე) სასარგებლოდ გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით უნდა დაეკისროს მორალური ზიანის ანაზღაურება 15000 ლარის ოდენობით.

76. სსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. შესაბამისად, მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაე-

კისროს 550 ლარის გადახდა საკასაციო სასამართლოში სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის 3-ე ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ლ-ს-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 09 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ნაწილობრივი შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ყ-ს“ დაეკისროს ლ. ს-ას სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 15 000 ლარის ანაზღაურება;
4. დანარჩენ ნაწილში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
5. შპს „ყ-ს“ დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 550 ლარი (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...);
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი

პირგასამტახლო

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-164-160-2016

28 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოსა“ (შემდეგში სა-
აგენტო, შემკვეთი, მოსარჩელე ან პირველი კასატორი) და შპს
„ზ-ს“ (შემდეგში საწარმო, მოპასუხე, მენარდე ან მეორე კასა-
ტორი) შორის, 2012 წლის 24 ივლისს, გაფორმდა სახელმწიფო
შესყიდვების შესახებ №ეგ 2 ხელშეკრულება (იხ. საქმეზე №
ას-933-883-2015 ტ.1, ს.ფ. 17-25; საქართველოს სამოქალაქო კო-
დექსის, შემდეგში სსკ, 629-ე მუხლი).

2. ხელშეკრულების 3.1. პუნქტით, მის საგანს წარმოადგენს
ოკაცეს კანიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის სამშენებ-
ლო სამუშაოების შესყიდვა, საპროექტო დოკუმენტაციის მი-
ხედვით, ხოლო 3.2. პუნქტით, ხელშეკრულების ღირებულება 4
850 000 (ოთხი მილიონ რვაას ორმოცდაათი ათასი) ლარია.

3. ხელშეკრულების 8.2. პუნქტის თანახმად, სამუშაოები უნ-
და განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013
წლის 19 ივნისამდე, წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამი-
სად. ხელშეკრულების 4.6, 5.1, 5.2 პუნქტებით განისაზღვრა შეს-
რულებულ სამუშაოთა მოცულობისა და ღირებულების დადგე-
ნა შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალის (ფორმა №2) და შე-
საბამისი ექსპერტიზის დასკვნის (სპეციალისტის ცნობის) სა-
ფუძველზე. სამუშაოს შესრულება განხორციელდებოდა „მიმ-
წოდების“ (მენარდის) მიერ წარმოდგენილი, მხარეთა შეთან-
ხმებით დამტკიცებული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრა-
ფიკის შესაბამისად (დანართი №3 – სამუშაოების შესრულების

გრაფიკი). სამუშაოს შესრულების გრაფიკში ცვლილების შეტანა შესაძლებელი იქნებოდა ურთიერთშეთანხმებით, წერილობითი ფორმით, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მოტივირებული წერილობითი ინიციატივის საფუძველზე.

4. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემათა შემსწავლელი სამთავრობო კომისიის (შემდგენი სამთავრობო კომისია) 2013 წლის 2 სექტემბრის სხდომის №3 ოქმის მიხედვით, კომისიამ სააგენტოს მისცა რეკომენდაცია, უზრუნველყო მენარდესთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების მიხედვით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელება 2014 წლის 1 ივნისამდე (იხ. საქმეზე № ას-933-883-2015).

5. სამთავრობო კომისიამ, 2013 წლის 18 დეკემბრის №5 ოქმის მიხედვით, გასცა რეკომენდაცია მენარდის გათავისუფლების შესახებ, ყველა იმ პირგასამტეხლოს გადახდისაგან, რომელიც მას დაუგროვდა 2013 წლის 18 დეკემბრამდე, 2012 წლის 24 ივლისის ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის, მხოლოდ იმ პირობით, თუკი ობიექტის მშენებლობას დაასრულა 2014 წლის 1 ივნისამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას სრულად უნდა გადაეხადა პირგასამტეხლო. იმავე კომისიამ გასცა რეკომენდაცია, ხონის მუნიციპალიტეტის კამეგობისათვის, მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების თხოვნით მიმართვის შესახებ. პროექტში ცვლილებების შეტანა მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ხოლო სამშენებლო პროცესების პარალელურად, დამატებით ყველა საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენა, მშენებლობის დასრულების შემდეგ კი – საბოლოო პროექტის წარდგენა მოხდებოდა. კომისიამ მშენებლობის დასრულება 2013 წლის 19 ივნისისათვის მიიჩნია შეუძლებლად და გასცა რეკომენდაცია, სამუშაოთა შესრულების ვადა განსაზღვრულიყო 2014 წლის 1 ივნისამდე (იხ. საქმეზე №ას-933-883-2015).

6. სამთავრობო კომისიის რეკომენდაცია გაითვალისწინა შემკვეთმა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 1 ივნისი.

7. სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის ვალდებულება, 2012 წლის 31 ოქტომბრის ხელშეკრულებით, იკისრა შპს „გ-მა“ (შემდგენი ზედამხედველი კომპანია – იხ. საქმეზე №ას-933-883-2015).

8. ზედამხედველი კომპანიის 2014 წლის 29 სექტემბრის წერილში მითითებულია: „მშენებლობის პროცესში თავი იჩინა რიგ-

მა გაუთვალისწინებელმა გარემოებებმა, რამაც მშენებლობის მიმდინარეობა საპროექტო დოკუმენტაციაში მითითებული მოცულობების მიხედვით გახადა შეუძლებელი“ (იხ. საქმეზე № ას-933-883-2015).

9. მხარეთა შორის 2014 წლის 21 მაისს გაფორმდა შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო იმავე წლის 2 ივნისს მენარდემ აცნობა შემკვეთს, რომ 1 ივნისს დამთავრებული იყო სამშენებლო სამუშაოები, მოითხოვა წარმომადგენლების მივლენა შესრულებულ სამუშაოთა ჩასაბარებლად (იხ. საქმეზე №ას-933-883-2015).

10. იმავე წლის 7 ივნისს შეკრებილმა სამთავრობო კომისიამ დააფიქსირა გარკვეული ხარვეზები და შეუსრულებელი სამუშაოები, რომელთაგან ნაწილს, პროექტი არ ითვალისწინებდა. ზედამხედველ კომპანიას დაევალა, მენარდისათვის განესაზღვრა გონივრული ვადა სამუშაოების საბოლოოდ დამთავრებისთვის, რაც დადგინდა კიდევ და 40 კალენდარული დღე მიეცა მენარდეს (იხ. საქმეზე №ას-933-883-2015).

11. მენარდემ ხარვეზები აღმოფხვრა და სამუშაოები საბოლოოდ დაასრულა 2014 წლის 31 ივლისს.

12. შემკვეთმა, 2014 წლის 29 დეკემბერს, სარჩელი აღძრა მენარდის წინააღმდეგ და მოითხოვა, ამ უკანასკნელისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს – 887 180 (რვაას ოთხმოცდაშვიდი ათას ასოთხმოცი) ლარის დაკისრება, სსკ-ის 417-ე მუხლის საფუძველზე, ასევე, გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 5000 (ხუთი ათასი) ლარის ანაზღაურება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგენი სსსკ) 53-ე მუხლის შესაბამისად (იხ. საქმეზე №ას-933-883-2015).

13. მენარდემ არ ცნო სარჩელი და შესაგებელში აღნიშნა, რომ ობიექტის სრული საპროექტო დოკუმენტაცია არ გადაუცია მისთვის შემკვეთს, ხოლო პროექტის გარეშე საწარმო ვერ იწყებდა საქმიანობას, რაც, თავის მხრივ, საავანსო გარანტიის დაგვიანებით წარდგენის მიზეზი გახდა. მენარდე თვითონ ათანხმებდა პროექტს საპროექტო ორგანიზაციასთან. ამ ფაქტებს ადასტურებს მენარდის არაერთი წერილი, მშენებლობაზე ზედამხედველი კომპანიის წერილი, სამთავრობო კომისიის ოქმი. რეალურად, სამუშაოები მენარდემ დათქმულ ვადაში, ანუ 2014 წლის 1 ივნისს დაასრულა, რასაც ადასტურებს მისივე 2 ივნისის წერილი შემკვეთისადმი. დასრულებული სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაციის აქტიდან ირკვევა, რომ სამუშაოები დასრულებულია, ხოლო რიგი გამოვლენილი ხარვე-

ზების აღმოსაფხვრელად, განისაზღვრა 40 დღე. სამუშაოების დასრულების ვადად 2014 წლის 31 ივლისის მიჩნევის შემთხვევაშიც, პირგასამტეხლოს დაანაგარიშება უნდა მოხდეს არა პირვანდელი ვადის (2013 წლის 19 ივნისი), არამედ საბოლოოდ განსაზღვრული 2014 წლის 1 ივნისიდან, სამუშაოთა დასრულების ვადის გათვალისწინებით.

14. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით, შემკვეთის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და, მის სასარგებლოდ, მენარდეს დაეკისრა 116 400 (ასთექვსმეტი ათას ოთხასი) ლარის გადახდა, ასევე, მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 3 492 (სამი ათას ოთხას ოთხმოცდათორმეტი) ლარი.

15. რაიონულმა სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად იხელმძღვანელა სსკ-ის 398-ე, 417-ე, 418-ე, 420-ე მუხლებით, სსსკ-ის 53-ე მუხლით.

16. სასამართლოს მსჯელობა შეეხო იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მართალია, შეუსრულებელ სამუშაოთა ნაწილს არ ითვალისწინებდა პროექტი და ამ სამუშაოთა შესრულება აუცილებელი გახდა მშენებლობის მსვლელობისას, თუმცა, 2014 წლის 1 ივნისისათვის შესრულებული სამუშაოების ჩაუბარებლობა სახეზე იყო. მენარდემ სამუშაოები საბოლოოდ დაასრულა 2014 წლის 31 ივლისს.

17. სასამართლომ, სსკ-ის 417-ე და 418-ე მუხლებზე მითითებით, დაასკვნა, რომ მხარეები ხელშეკრულებით შეთანხმდნენ ვალდებულების შესრულებისათვის დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.04%-ის პირგასამტეხლოს გადახდაზე. პირგასამტეხლოს ფუნქცია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაა, ხოლო მისი მიზანი – კრედიტორის დარღვეული უფლებების აღდგენა. მოსარჩელემ მიზანშეწონილად ჩათვალა ვალდებულების შესრულების ვადა გაეზარდა მოპასუხისათვის და შეუთანხმდა მოპასუხეს სამუშაოთა შესრულების ახალ ვადაზე. აღნიშნული ვადის განსაზღვრას წინ უძღოდა სამთავრობო კომისიის რეკომენდაცია და სხვა წანამძღვრები, რაც გამომდინარეობდა სამუშაოების შესრულებისას გამოვლენილი სირთულეებიდან. ამდენად, პირგასამტეხლოს განსაზღვრა და ვადაგადაცილებული დღეების ათვლა სამუშაოების შესრულების პირვანდელი თარიღიდან არაგონივრული იყო და პირგასამტეხლო, 2014 წლის 1 ივნისიდან იმავე წლის 31 ივლისამდე დაანგარიშებით უნდა განსაზღვრულიყო.

18. სასამართლომ, ასევე იმსჯელა, გეგმა-გრაფიკის დარ-

ღვევის გამო, პირგასამტეხლოს დაკისრებაზეც და აღნიშნა, რომ მშენებლობაზე ზედამხედველი კომპანიის წერილი (იხ. ამ განჩინების მე-8 პუნქტი) შეიცავდა მითითებას სამუშაოების შესრულების შემაფერხებელი გარემოებების შესახებ, რაც უკავშირდებოდა გაუთვალისწინებელ გარემოებებს, რამაც, თავის მხრივ, საპროექტო დოკუმენტაციაში მითითებული მოცულობების მიხედვით, მშენებლობის მიმდინარეობა შეუძლებელი გახადა.

19. სსკ-ის 398-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ, შეიძლება მოთხოვილი იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.

20. სასამართლომ მიიჩნია, რომ გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო, პირგასამტეხლოს დაკისრება მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს, ვინაიდან გეგმა-გრაფიკზე ჩამორჩენა განპირობებული იყო მშენებლობის პროცესში გამოვლენილი ახალი საჭიროებებით და არ არსებობდა ხელშეკრულების 14.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველი.

21. წინასწარ გადასახდელი თანხის საბანკო გარანტიის დაგვიანებით წარდგენის გამო დასაკისრებელ პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შეთანხმებით, ვალდებულების შესრულებისათვის დადგენილი ვადის (2014 წლის 1 ივნისი) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.04%-ის დაკისრება სრულიად უზრუნველყოფდა პირგასამტეხლოს მიზანსა და ფუნქციას. ამდენად, გარანტიის წარდგენის დაგვიანების ნაწილში, პირგასამტეხლოს დამოუკიდებლად დაანგარიშება არ უნდა მომხდარიყო და ამ თვალსაზრისით პირგასამტეხლო უნდა შემცირებულიყო.

22. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

23. შემკვეთმა შემდეგ სააპელაციო პრეტენზიებზე მიუთითა:

23.1. ხელშეკრულების 11.4. პუნქტით, მენარდე, წინასწარი

ანგარიშსწორების განსახორციელებლად, ვალდებული იყო, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, წარედგინა წინასწარ გადასახდელი თანხის საბანკო გარანტია, რაც მან 35 კალენდარული დღის დაგვიანებით შეასრულა, რითაც დაარღვია ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

23.2. შესაბამისად, ხელშეკრულების 14.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,04%, რაც 35 დღეზე გაანგარიშებით (35 X 1940 ლარი) შეადგენს 67 900 (სამოცდაშვიდი ათას ცხრაასი) ლარს;

23.3. ხელშეკრულების თანახმად, სამშენებლო სამუშაოები მენარდეს 2013 წლის 19 ივნისამდე უნდა დაესრულებინა, რაც არ მოხდა. მან 2014 წლის 31 ივლისს დაასრულა მშენებლობა, რის გამოც, სამუშაოების დასრულების ვადის გადაცილებამ შეადგინა 407 დღე, ხოლო ხელშეკრულების 14.1 პუნქტის თანახმად, პირგასამტეხლომ – 789 580 (შვიდას ოთხმოცდაცხრა ათას ხუთას ოთხმოცი) ლარი.

23.4. მოპასუხემ, ასევე, დაარღვია ხელშეკრულების 5.1 პუნქტით განსაზღვრული გეგმა-გრაფიკი, რაც დასტურდება მშენებლობაზე ზედამხედველი კომპანიის 2014 წლის 29 სექტემბრის წერილით (იხ. ამ განჩინების მე-8 პუნქტი).

23.5. საბოლოოდ, მოპასუხის მიერ გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის პირგასამტეხლომ 594 დღეზე (594 X 50 ლარი) შეადგინა 29 700 (ოცდაცხრა ათას შვიდასი) ლარი. ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, მენარდეს გადასახდელი აქვს 887 180 (რვაას ოთხმოცდაშვიდი ათას ასოთხმოცი) ლარი, საიდანაც დაკმაყოფილებული 116 400 (ასთექვსმეტი ათას ოთხასი) ლარის გათვალისწინებით, სააპელაციო საჩივრის მოთხოვნამ 770 780 (შვიდას სამოცდაათი ათას შვიდას ოთხმოცი) ლარი შეადგინა (იხ. შემკვეთის სააპელაციო საჩივარი საქმეზე №ას-933-883-2015).

24. მენარდის სააპელაციო პრეტენზიები შემდეგ გარემოებებს ეხება:

24.1. სასამართლომ არასწორად ცნო დადგენილად ის ფაქტი, რომ მენარდეს 2014 წლის 1 ივნისისათვის სამშენებლო სამუშაოები არ შეუსრულებია. ეს მსჯელობა დაუსაბუთებელია, ვინაიდან, გაურკვეველია, თუ რა სამუშაო შეასრულა მენარდემ და კონკრეტულად რა სამუშაო დარჩა შესასრულებელი;

24.2. შემკვეთის პოზიცია, თითქოს მენარდეს შეუსრულებელი დარჩა კიდული ბილიკების ვიდეო კონტროლისა და საზო-

გადოებრივი ტუალეტის ბიოტალის გამწმენდი ნაგებობა, გააქარწყლა დაკითხული ექსპერტის ჩვენებამ. 2014 წლის 3 სექტემბერს გაფორმდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი, რითაც შემკვეთმა ჩაიბარა შესრულებული სამუშაოები. თუკი, 2014 წლის 3 სექტემბერს შესრულებული სამშენებლო სამუშაოები არ მოიცავდა ბიოტალის გამწმენდ ნაგებობას და ბილიკების ვიდეო კონტროლს, მაშინ 2014 წლის 1 ივნისს, ეს სამუშაოები იყო არა შეუსრულებელი სამუშაო, არამედ პროექტიდან ამოღებული სამუშაოები, რომელიც არ უნდა შესრულებულიყო. მშენებლობის განმავლობაში მრავლად იყო პროექტის ზეპირსიტყვიერი ცვლილებები, რასაც ადასტურებს მშენებლობაზე ზედამხედველი კომპანიის 2013 წლის 3 ივლისის წერილი;

24.3. სასამართლო, ერთი მხრივ, იზიარებს მშენებლობაზე ზედამხედველი კომპანიის წერილს, რომლის მიხედვითაც დაფიქსირებულია გარკვეული შეუსრულებელი სამუშაოები, რომელსაც პროექტი არ ითვალისწინებდა, თუმცა, საერთოდ არ მსჯელობს ობიექტის ტურისტული ინფრასტრუქტურის დასრულებული სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური დათვალიერების 2014 წლის 8 ივნისის აქტზე, ასევე, სასამართლო სხდომაზე დაკითხული ექსპერტის განმარტებაზე, სადაც მან აღნიშნა, რომ შეუსრულებელი სამუშაოები საერთოდ არ იყო და სახეზე იყო მხოლოდ მცირე ხარვეზები;

24.4. სამუშაოებს, რომელსაც პროექტი არ ითვალისწინებდა, რა თქმა უნდა, სჭირდებოდა დამატებითი დრო. სასამართლო არასწორად განმარტავს 2014 წლის 31 ივლისის მენარდის მიერ სამუშაოების დამთავრების თარიღად, როდესაც მენარდემ დაასრულა არა სამუშაოები, არამედ დაასრულა ხარვეზების აღმოფხვრა, ხოლო სამუშაოების დაუსრულებლობა და ხარვეზიანი სამუშაოს შესრულება, ხელშეკრულების თანახმად, განსხვავდება ერთმანეთისგან, აღნიშნულ ვადაში მენარდეს არ უნდა დაჰკისრებოდა პირგასამტეხლო;

24.5. სასამართლო ვერ ასაბუთებს, თუ რა სამუშაოს შესრულების ვადა დაირღვა, ასევე, არასწორად განმარტავს და ერთმანეთში ურევს ხარვეზების აღმოფხვრის ვადასა და სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილებას; ერთი მხრივ, იგი იყენებს მშენებლობაზე ზედამხედველი სანარმოს წერილს და ადასტურებს, რომ შემკვეთმა განუსაზღვრა მენარდეს ხარვეზების აღმოფხვრისათვის დრო, მეორე მხრივ, აღნიშნულ ვადაში მაინც აკისრებს პირგასამტეხლოს ვადაგადაცილებისათვის, მაშინ, როდესაც ხელშეკრულების 9.5. პუნქტის თანახმად, „მიმწოდებელს ხარვეზების ან ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის

შემსყიდველის მიერ განესაზღვრა გონივრული ვადა. გონივრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს 14.3. პუნქტით დაეკისრება პირგასამტეხლო ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილ თითოეულ დღეზე 50 ლარის ოდენობით“. აღნიშნული პუნქტები მიუთითებს იმაზე, რომ მხარეებმა ხელშეკრულებით განსაზღვრეს და განმარტეს, რომ ერთმანეთისაგან განსხვავდება სამუშაოს შეუსრულებლობა და ხარვეზიანი შესრულება. სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და ხელშეკრულება. მენარდემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, შემკვეთის ნაწილობრივ დაკმაყოფილებული სარჩელის უარყოფა (იხ. მენარდის სააპელაციო საჩივარი საქმეზე №ას-933-883-2015).

25. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით, მენარდის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება, სანარმოსათვის, სააგენტოს სასარგებლოდ, 116 400 ლარის დაკისრების ნაწილში უცვლელად დარჩა. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა შემკვეთის სააპელაციო განაცხადი და ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, მენარდეს დამატებით დაეკისრა პირგასამტეხლოს სახით – 420 980 ლარის ანაზღაურება. იმავე გადაწყვეტილებით, სასამართლომ გაანაწილა მხარეთა მიერ ასანაზღაურებელი სახელმწიფო ბაჟი.

26. სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა ნარდობის სამართლებრივი ნორმებით შეაფასა (სსკ-ის 629-ე მუხლი) და, სსკ-ის 639-ე, 641.1, 642.1, 649-ე, 652-ე მუხლებზე მითითებით, იმსჯელა, რომ თუ მომსახურება მოიცავს რაიმე ნაკეთობის დამზადებას, მაშინ მენარდემ შემკვეთს უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა; ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს; თუ ნაკეთობა ნაკლის მქონეა, შემკვეთს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი შესრულება. მენარდეს შეუძლია თავისი არჩევანით ან აღმოფხვრას ნაკლი, ან დამზადოს ახალი ნაკეთობა. თუ ხელშეკრულების თანახმად ან შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროა მისი გადაცემა, მაშინ შემკვეთი მოვალეა, მიიღოს შესრულებული სამუშაო. თუ შემკვეთისათვის ნაკეთობის ნაკლი ცნობილია და იგი მაინც მიიღებს მას პრეტენზიის განუცხადებლად, მაშინ შემკვეთს არ წარმოეშობა მოთხოვნის უფლებები ამ ნაკ-

ლის გამო. სასამართლომ საქმეში განთავსებული მტკიცებულებების საფუძველზე, კერძოდ, ობიექტის ტურისტული ინფრასტრუქტურის დასრულებული სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური დათვალიერების აქტის (იხ. საქმეზე №ას-933-883-2015), სააგენტოს თავმჯდომარისადმი მშენებლობაზე საზედამხედველო კომპანიის 2014 წლის 10 ივნისის წერილით (იხ. საქმეზე №ას-933-883-2015), სააგენტოს თავმჯდომარისადმი მენარდის 2014 წლის 30 ივლისის მიმართვით (იხ. საქმეზე №ას-933-883-2015) დაადგინა, რომ 2014 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოები იყო ხარვეზიანი, რაც მთლიანად აღმოიფხვრა მხოლოდ 2014 წლის 30 ივლისისათვის (კერძოდ, შესრულდა 17 ერთეული სამუშაო). სასამართლომ დაასკვნა, რომ მენარდემ ვერ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება – 2014 წლის 1 ივნისს შემკვეთისათვის წარედგინა ნივთობრივად უნაკლო შესრულება (ობიექტის ტურისტული ინფრასტრუქტურის დასრულებული მშენებლობა).

27. სააპელაციო სასამართლომ საპროექტო ჯგუფის – შპს „ლ.დ.ი-ს“ დასკვნებითა და შეთანხმების აქტებით იმსჯელა, რომ ობიექტის ტურისტული ინფრასტრუქტურის საპროექტო დოკუმენტაციასა და ხარჯთაღრიცხვაში, 2012 წლის დეკემბრიდან 2013 წლის მარტის პერიოდში შევიდა კორექტირება. მათ შორის, კიდული გადასახედი პლატფორმის მშენებლობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების ღონისძიებების გასატარებლად, ნაცვლად სამონტაჟო ვერტმფრენის გამოყენებისა, დადგინდა დროებითი გზის მოწყობა სამშენებლო მოედნამდე დიდგაბარიტიანი ფოლადის კონსტრუქციების ტრანსპორტირებისათვის. დროებითი გზის ხარჯთაღრიცხვა და საპროექტო ორგანიზაციის დასკვნა თან ახლდა შეთანხმების №5 აქტს (იხ. საქმეზე №ას-933-883-2015)

28. შემკვეთისადმი მენარდის 2013 წლის 15 მარტის წერილში დაფიქსირებულია, რომ ვერ ხერხდება ობიექტებამდე მისვლა უგზოობის გამო, ასევე, არ მიუღიათ ვიზიტორთა ცენტრის დეტალური პროექტი, რის გამოც, უწევთ მშენებლობის წყვეტილად წარმოება და, ხშირ შემთხვევაში, გაკეთებულის შეცვლა. გარდა ამისა, ზედამხედველი კომპანიისაგან მიიღეს მკაცრი გაფრთხილება, რომ იმუშაონ მხოლოდ დამტკიცებული პროექტის მიხედვით, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამუშაოს მიღება არ მოხდება (იხ. საქმეზე №ას-933-883-2015). აღნიშნულ წერილზე სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 2 მაისის პასუხში დაფიქსირებულია, რომ შემკვეთი არ იზიარებს მენარდის პრეტენზი-

ებს იმ მიზეზით, რომ საპროექტო ორგანიზაციამ არაერთხელ გადაუგზავნა მას სრული პროექტის ელ. ვერსიები, მათ შორის, პროექტის ცალკეული ნაწილები, მოთხოვნისამებრ. რაც შეეხება, დროებითი გზის მოწყობას, 2013 წლის 22 მარტის №5 შეთანხმების აქტის თანახმად, გზის გაყვანა მენარდის ვალდებულებას წარმოადგენდა. მშენებლობის საერთო ხანგრძლივობას ეფექტურად განსაზღვრავდა მისი ორი ობიექტის (პანორამული გადასახედი და კიდული ბილიკები კანიონში) მშენებლობის ხანგრძლივობა. ამ ორი ობიექტის მშენებლობა უნდა წარიმართოს პარალელური მეთოდით ისე, როგორც იყო დაგეგმილი. რაც შეეხება დანარჩენ ობიექტებს, როგორცაა საფეხმავლო ბილიკი და საკონტროლო გამშვები პუნქტი, მათი მშენებლობის ვადები ვერ იმოქმედებს მთლიანი სამუშაოების განხორციელების ვადებზე მათი მცირე მასშტაბების გამო (იხ. საქმეზე №ას-933-883-2015).

29. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, დასავლეთ საქართველოს რეგიონული დეპარტამენტის №002237814 დასკვნით (შემდგომი საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა) ირკვევა, რომ 2014 წლის 14 თებერვლის მდგომარეობით, ჩატარდა მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოების შუალედური შეფასება და დადგინდა, რომ სამუშაოების მოცულობების მიხედვით, საერთო ღირებულებამ შეადგინა 2 534 829.05 ლარი. (იხ. საქმეზე №ას-933-883-2015).

30. სასამართლომ დაადგინა, რომ ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, 2014 წლის 21 მაისს, შემკვეთსა და მენარდეს შორის, გაფორმდა 2 534 829.05 ლარის სამუშაოთა შესრულებაზე შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი (იხ. საქმეზე №ას-933-883-2015).

31. სასამართლომ დაადგინა, რომ 2014 წლის 2 ივნისს, სააგენტოს თავმჯდომარეს წერილობით მიმართა მენარდე საწარმოს დირექტორმა და აცნობა, რომ 2014 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, დამთავრებულია ობიექტის ინფრასტრუქტურის სამუშაოები და, შესრულებული სამუშაოების ჩაბარების მიზნით, წარმომადგენელთა მივლინება მოითხოვა. გარდა ამისა, მენარდემ აღნიშნა, რომ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების დეტალურ მოცულობებს და ღირებულებებს, შემკვეთს დასამტკიცებლად წარუდგენდა ორი კვირის ვადაში, რის შემდეგაც გააფორმებდნენ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტებს (იხ. საქმეზე №ას-933-883-2015).

32. ობიექტის ტურისტული ინფრასტრუქტურის დასრულებული სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაციის

აქტი დაფიქსირებულია, რომ 2014 წლის 8 ივნისს, შემომნების მომენტისათვის ძირითადი სამუშაოები დამთავრებულია, რომელიც მოიცავდა: ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობას, მასზე დამაგრებული ეზოს კეთილმოწყობით; საკონტროლო გამშვები პუნქტის მშენებლობას, ასევე, მის გარშემო არსებული ტერიტორიის პროექტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანით; საზოგადოებრივი ტუალეტის აგებას, მასთან დაკავშირებული ყველა კომუნიკაციის შესრულებით; მდინარე ოკაცეს ხეობაში დაღმავალი და აღმავალი ლითონის კიბეების მოწყობას; კანიონის გასწვრივ კიდული კონსოლური ბილიკებისა და ლითონის ელემენტებისაგან შედგენილი ჰორიზონტალური ბაქნების მონტაჟს; ასანყობი კონსტრუქციის ლითონის 36 მ-იანი გადასახედი პლატფორმის აგებას (დღეის მდგომარეობით სრულდება სამღებრო სამუშაოები); ზემოხსენებული ობიექტების ერთმანეთთან დამაკავშირებელი ბუნებრივი თლილი ქვებისაგან შედგენილი 3000 მ-მდე სიგრძის საფეხმავლო ბილიკების მოწყობას. შესრულებული სამუშაოები აკმაყოფილებს პროექტით მოცემულ მოთხოვნებს, თუმცა, 7 ივნისს დაფიქსირდა მცირე ხარვეზები, რომლებიც საჭიროებს დროულ აღმოფხვრას (იხ. საქმეზე №ას-933-2015).

33. სააგენტოს თავმჯდომარისადმი ზედამხედველი კომპანიის 2014 წლის 10 ივნისის წერილში მითითებულია, რომ ამ უკანასკნელმა ჩაატარა ობიექტის ტურისტული ინფრასტრუქტურის მიმდინარე მშენებლობის ტექნიკური დათვალიერება. შესრულებული სამუშაოები აკმაყოფილებს პროექტით მოცემულ მოთხოვნებს, თუმცა, დაფიქსირდა გარკვეული ხარვეზები და შეუსრულებელი სამუშაოები საჭიროებს დროულ აღმოფხვრას. წერილში დაფიქსირებულ სამუშაოთა (40 ერთეული სამუშაო) შესასრულებლად, მისი მოცულობიდან და სირთულიდან გამომდინარე, მენარდეს უნდა მიეცეს გონივრული ვადა, რაც უნდა განისაზღვროს 40 კალენდარული დღით (იხ. საქმეზე №ას-933-883-2015).

34. სააგენტოს თავმჯდომარისადმი მენარდის 2014 წლის 30 ივლისის მიმართვაში დაფიქსირებულია, რომ შესრულებულ სამუშაოებში აღმოჩენილი ხარვეზები, დღეის მდგომარეობით, მენარდის მიერ მთლიანად აღმოფხვრილია (შესრულდა 17 ერთეული სამუშაო). რაც შეეხება შეუსრულებელ სამუშაოებს: ავტოსადგომის გაფართოება, გამშვები პუნქტის ტერიტორიის შემოღობვა, კიდულ ბილიკებზე და გადასახედზე ვიდეო კამერების და ხმოვანი სიგნალის მოწყობა, რეინჯერთა თავშესაფარის მოწყობა წყაროსთან, ვიზიტორთა ცენტრის სახურავზე წყალშემ-

კრებ ძაბრში ელექტროსპირალების მოწყობა, კიდულ ბილიკებზე უჟანგავი ლითონის ბადეების მოწყობა, ბაქნის გადახურვა კარბოლუქსის ფილებით, ეს სამუშაოები არის სრულიად ახალი (არ ითვალისწინებს პროექტი), მათი საჭიროება გამოიკვეთა პროექტის დასრულების შემდეგ და მათი განხორციელება მოითხოვს როგორც პროექტირებას, ასევე დამატებით დაფინანსებას. (იხ. საქმეზე №ას-933-883-2015).

35. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №5004054414 დასკვნით დადგენილია, რომ 2014 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, ჩატარდა ობიექტზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში, მენარდის მიერ დასრულებულ სამუშაოებზე, მეორე ეტაპის შეფასება და დადგინდა, რომ სამუშაოების მოცულობების მიხედვით, საერთო ღირებულებამ შეადგინა 2 371 814,44 ლარი (იხ. საქმეზე №ას-933-883-2015). დადგენილია, რომ 2014 წლის 3 სექტემბერს, შემკვეთსა და მენარდეს შორის, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, გაფორმდა 4 850 000 ლარის სამუშაოთა შესრულებაზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი (იხ. საქმეზე № ას-933-883-2015).

36. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა და შეაფასა პირველი ინსტანციის სასამართლოში, 2015 წლის 5 მარტის სხდომაზე დაკითხული სპეციალისტის – ა. ნ-ს განმარტება, რომ არსებობდა ძირითადი პროექტი მშენებლობის წარმოებისათვის. ვინაიდან თავიდან შეუძლებელი იყო ვანტური ბილიკების მოწყობის ადგილების დეტალური ნახვა და ბილიკების მიმაგრების ზუსტი ადგილების დაფიქსირება, თავდაპირველ პროექტში ცვლილება სწორედ ამ სახით შევიდა, დაზუსტდა მიმაგრების ადგილები. რაც შეეხება სხვა ობიექტებს, მათთან მიმართებაში შევიდა უმნიშვნელო ცვლილებები, ძირითადად, მასალის ხარისხთან დაკავშირებით. ამ ცვლილებებმა და დაზუსტებებმა განაპირობა ხელშეკრულების შესრულების ვადის ერთი წლით გადანევა, რაც გონივრული და საკმარისი იყო სამუშაოს დასრულებისათვის. დამატებითი ვადის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა სეზონური შეზღუდვები ამინდის თვალსაზრისით.

37. სსკ-ის 417-ე-418-ე მუხლებზე მითითებით, სასამართლომ იმსჯელა, ხელშეკრულების 14.1 პუნქტისა და ამავე ხელშეკრულებაზე, 2014 წლის 06 სექტემბრის დამატებითი შეთანხმების შესახებ, რომლითაც ხელშეკრულების შესრულების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2014 წლის 1 ივნისი და დაასკვნა, რომ მენარდემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დაასრულა 2014 წლის 31 ივლისისათვის, რითაც ვალდებულების საბოლოო შესრულებას გადააცილა 60 კალენდარული დღით

(2014 წლის 1 ივნისიდან იმავე წლის 31 ივლისამდე). ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 60 დღის პირგასამტეხლო შეადგენს 116 400 ლარს ($60 \times 1940 = 116400$), რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკისრა კიდევ მენარდეს, შესაბამისად, ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დასაბუთებული იყო და არ არსებობდა მისი გაუქმების თაობაზე მენარდის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

38. სასამართლომ აღნიშნა, რომ 2014 წლის 30 იანვრის შეთანხმების აქტით (იხ. საქმეზე №933-883-2015), მენარდემ იკისრა ვალდებულება, 2014 წლის 1 ივნისამდე ობიექტის მშენებლობის დაუსრულებლობის შემთხვევაში, სრულად გადაეხადა 2012 წლის 24 ივლისიდან – 2013 წლის 18 დეკემბრამდე არსებული ყველა პირგასამტეხლო, მათ შორის, პირგასამტეხლო საბანკო გარანტიის წარმოდგენა-დაგვიანებისათვის და სხვადასხვა სამუშაოებზე გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის. მხარეთა შორის სადავო არაა საბანკო გარანტიის 35 კალენდარული დღის დაგვიანებით წარდგენის ფაქტი. სასამართლოს დასკვნით, სსკ-ის 417-ე-418-ე მუხლებისა და 2012 წლის 24 ივლისის ხელშეკრულების 14.1 პუნქტის შესაბამისად, შემკვეთის მოთხოვნა ამ პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე საფუძვლიანია, რაც უნდა დაკმაყოფილდეს და, მის სასარგებლოდ, მენარდეს უნდა დაეკისროს საბანკო გარანტიის წარდგენის ვადაგადაცილების გამო, 35 დღის პირგასამტეხლოს – 67 900 ლარის ($35 \times 1940 = 67\,900$) გადახდა.

39. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობა და მიიჩნია, რომ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამტეხლო – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების – 4 850 000 ლარის – 0,04% გონივრული იყო, საბანკო გარანტიის წარდგენის ვადაგადაცილების გამო, პირგასამტეხლოს დაკისრებაზე უარი, მისი შემცირების მოტივით, არ გამომდინარეობდა სსკ-ის 420-ე მუხლის მოთხოვნებიდან.

40. სასამართლო, აღნიშნულ დასკვნამდე, მივიდა შემდეგი ფაქტების გაანალიზებით: დადგენილია, რომ თავდაპირველად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების საბოლოო ვადა განისაზღვრა 2013 წლის 19 ივნისი. სასამართლოს მსჯელობით, ამ დროის შემდეგ, ყოველი დღე, სამუშაოს სრულად დასრულებამდე, ვადაგადაცილებულად ჩაითვლებოდა, თუკი მხარეები სხვა ვადაზე და პირობებზე არ შეთანხმდებოდნენ.

41. დადგენილია, რომ 2014 წლის 30 იანვრის წერილობითი შეთანხმებით მხარეებმა განსაზღვრეს ახალი პირობა, რომლის მიხედვითაც 2014 წლის 1 ივნისამდე, მენარდის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ობიექტის მშენებლობის დაუსრულებლობის შემთხვევაში, მენარდე გადაიხდიდა 2012 წლის 24 ივლისიდან – 2013 წლის 18 დეკემბრამდე პერიოდისათვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა პირგასამტეხლოს. ვინაიდან, მენარდემ, 2014 წლის 1 ივნისამდე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები სრულად ვერ შეასრულა, იმავე წლის 30 იანვრის წერილობითი შეთანხმებით განსაზღვრული პირობისა და სსკ-ის 417-ე-418-ე მუხლების საფუძველზე, მას, შემკვეთის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს 2013 წლის 19 ივნისიდან – 2013 წლის 18 დეკემბრამდე პერიოდის – 182 დღის – ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლო – 353 080 ლარი (182 X 1940 ლარი).

42. სასამართლომ არ გაიზიარა შემკვეთის (მოსარჩელის) მოთხოვნა სამუშაოს დასრულების ვადის გადაცილებისათვის 2013 წლის 19 ივნისიდან – 2014 წლის 1 ივნისამდე პერიოდისათვის 407 დღის პირგასამტეხლოს მენარდისათვის დაკისრების თაობაზე, ვინაიდან 2014 წლის 30 იანვრის წერილობითი შეთანხმებით მხარეებმა განსაზღვრეს კონკრეტული, საბოლოო თარიღი – 2013 წლის 18 დეკემბერი, რა დრომდეც უნდა მომხდარიყო ძველი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება, რაც სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა კიდევც.

43. სასამართლომ 2013 წლის 18 დეკემბრიდან – 2014 წლის 1 ივნისამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა დაუსაბუთებლად მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

44. სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, მე-4, მე-5, 103-ე, 105-ე მუხლებზე მითითებით, სასამართლომ არ გაიზიარა შემკვეთის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა ხელშეკრულებით განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. შემკვეთის ამ მოთხოვნაზე მსჯელობისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების შინაარსით ირკვევა, მხარეები შეთანხმდნენ, რომ შესრულებული სამუშაოს ცალკეული ეტაპის მიღება-ჩაბარება განხორციელდებოდა ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი მასალებისა და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შედეგად. გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მიმნოდებელი (მენარდე) ვალდებული

იყო, სამი კვირის ვადაში გაესწორებინა არსებული ჩამორჩენა გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვადებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმწოდებელი, დარღვეულ პერიოდზე (სამი კვირა) სრულად გადაიხდიდა პირგასამტეხლოს ყოველ გაცდენილ დღეზე 50 ლარს. მოსარჩელეს არ წარუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული კონკრეტული (ცალკეული) სამუშაოს შესრულების ჩამორჩენას, რის გამოც შემკვეთის მოთხოვნა, მენარდისათვის დამატებით 594 დღის პირგასამტეხლოს – 297 000 (ორას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარის დაკისრების თაობაზე დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ.

45. სასამართლომ არ გაიზიარა მენარდის (მოპასუხის) მტკიცება, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები ვადაში დასრულდა და ცალკეული ხარვეზების არსებობა და შემსყიდველის მიერ მათ აღმოსაფხვრელად ვადის განსაზღვრა არ წარმოადგენდა პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველს. სასამართლომ, სსკ-ის 361.2, 639-ე და 642-ე მუხლების შესაბამისად, დაასკვნა, რომ მენარდის მიერ ვალდებულება შესრულებულად რომ ჩაითვალოს 2014 წლის 1 ივნისამდე, შემკვეთისათვის წარდგენილი უნდა ჰქონდეს ნივთობრივად უნაკლო ნივთი, ანუ მის მიერ შესრულებული სამუშაო უნდა იყოს ხარვეზების გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვალდებულების არსიდან გამომდინარე, მის მიერ განხორციელებული შესრულება ვერ მიიჩნევა ჯეროვნად. ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გულისხმობს მოვალის მიერ იმ მოთხოვნათა (მოქმედებათა) განუხრელ დაცვას, რომელიც დაკავშირებულია თვით შესრულების საგანთან. ნარდობის ხელშეკრულებისას, სწორედ შესაბამისი ხარისხის ნივთის გადაცემა ჩაითვლება ჯეროვან შესრულებად, რაც მენარდის მიერ არ მომხდარა.

46. სასამართლომ დაასკვნა, რომ კანიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა დასრულებულად უნდა ჩაითვალოს 2014 წლის 31 ივლისს, რაც დასტურია იმისა, რომ მენარდემ ვალდებულება ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ადგილას არ შეასრულა, რაც პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველია.

47. სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. სასამართლომ არ გაიზიარა მენარდის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების დადასტურების შემთხვევაში, პირგასამტეხლო უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების 14.3 მუხლის საფუძველზე, ყოველ ვადაგადა-

ცილებულ დღეზე 50 ლარი და არა ხელშეკრულების ღირებულების, 4 850 000 ლარის 0,04%, რაც დღეში 1940 ლარს შეადგენს. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ნების გამოვლენის შემონმების საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ყოველ გაცდენილ დღეზე – 50 ლარის პირგასამტეხლო გათვალისწინებული იყო გეგმა-გრაფიკის დარღვევის, ანუ სამუშაოს ცალკეული ნაწილის (ერთული სამუშაოს) შესრულების ჩამორჩენის შემთხვევაზე, თუკი სამი კვირის ვადაში არ გამოსწორდებოდა არსებული ჩამორჩენა და არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი სამუშაოს (ხელშეკრულების საგანი) დადგენილ ვადაში შეუსრულებლობისათვის.

48. სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 401-ე მუხლის მიხედვით, ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. დადგენილია, რომ მენარდემ ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობის მიზეზად დაასახელა ის ფაქტი, რომ ობიექტებამდე მისვლას ვერ ახერხებდნენ უგზობობისა და ამინდის გაუარესების გამო, ასევე არაერთხელ შეიცვალა მშენებლობის პროექტი, ხოლო ვიზიტორთა ცენტრის დეტალური პროექტი მათთვის წარდგენილი არ ყოფილა, რის გამოც, უწევდათ მშენებლობის წყვეტილად წარმოება და, ხშირ შემთხვევაში, უკვე გაკეთებულის შეცვლა. ამ ფაქტის დასადასტურებლად, მენარდე შემოიფარგლა შემკვეთისათვის მიწერილი წერილებით, ასევე სასამართლო სხდომაზე დაკითხული სპეციალისტის განმარტებით. სადავო გარემოებასთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. ამგვარი სტანდარტი მტკიცების ტვირთს ვალდებულებით სამართალში შემდეგნაირად ანაწილებს: მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ხელშეკრულების დადება; მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ვალდებულების შესრულების ვადა ანუ ვადამოსული ვალდებულების არსებობა; მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ვალდებულების შესრულების ფაქტი; მოპასუხემ უნდა ამტკიცოს გარემოებები, რომლებიც გამორიცხავდა მის მიერ ვალდებულების შესრულებას.

49. სასამართლომ არ გაიზიარა მენარდის მითითება იმის თაობაზე, რომ ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობა გამოწ-

ვეული იყო უამინდობით, ვინაიდან, რაიმე სახის მტკიცებულება უამინდობისა და ამ მიზეზით მშენებლობის შეფერხების დასადასტურებლად, მას არ წარუდგენია.

50. ასევე არ იქნა გაზიარებული, მენარდის მითითება ვანტური ბილიკების მშენებლობისათვის მისასვლელი გზის მონყობის დაყოვნებაში შემკვეთის ბრალეულობის შესახებ, ვინაიდან, მოპასუხეს არც ამ გარემოების დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულება არ წარუდგენია სასამართლოსათვის და მხოლოდ მითითება, ასევე, მენარდის მიერ გაგზავნილი წერილები, სადაც დაფიქსირებულია ამის თაობაზე, არ იყო საკმარისი.

51. სასამართლომ საქმეზე დართული, 2012 წლით დათარიღებული ობიექტის ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროექტზე მიუთითა (არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილი) იმის დასტურად, რომ პროექტი, მათ შორის, ვიზიტორთა ცენტრის პროექტი, არსებობდა და მენარდე ვალდებული იყო, ამ პროექტის ფარგლებში ემუშავა. გარდა ამისა, სასამართლომ რაიონულ სასამართლოში სხდომაზე დაკითხული სპეციალისტის განმარტებაზეც გაამახვილა ყურადღება (იხ. 36-ე პუნქტი).

52. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ ვერ დაადასტურა 2013 წლის 19 ივნისიდან – 2014 წლის 1 ივნისამდე, დამატებით განსაზღვრულ პერიოდში, სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილებაში მისი ბრალეულობის გამომრიცხველი გარემოებები, რაც დაუსაბუთებელს ხდიდა მენარდის სააპელაციო საჩივარს და გამორიცხავდა მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ხოლო შემკვეთის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებით, მის სასარგებლოდ მენარდეს დაეკისრა პირგასამტეხლო – 420 980 ლარი.

53. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საკასაციო წესით გაასაჩივრა როგორც შემკვეთმა, ისე მენარდემ (იხ. საქმეზე №933-883-2015);

54. შემკვეთი ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, პირგასამტეხლოს დარჩენილი ნაწილის – 349 800 (სამას ორმოცდაცხრა ათას რვაასი) ლარის დაკისრებას მენარდისათვის, შესაბამისად, სააპელაციო წარმოებაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 7000 (შვიდი ათას) ლარის ანაზღაურებას.

55. მენარდე გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ასაჩივრებს ნაწილობრივ, კერძოდ, მისი სარეზოლუციო ნაწილის 1-8 პუნქტებს, მენარდისათვის როგორც 116 400 (ასთექვსმეტი ათას

ოთხასი) ლარის დაკისრების ნაწილში ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებას, ისე სააპელაციო სასამართლოს მიერ დამატებით დაკისრებული 420 980 (ოთხასოცი ათას ცხრაას ოთხმოცი) ლარის ნაწილშიც.

56. საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 23 სექტემბრის განჩინებებით წარმოებაშია მიღებული ორივე საკასაციო განაცხადი, ამასთან, დასახელებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს წარმოებაშია საქმე №ას-164-160-2016, სადაც მოსარჩელეა მენარდე, რომლის სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მის სასარგებლოდ მოპასუხეს (სააგენტოს) სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაეკისრა 42 680 (ორმოცდაორი ათას ექვსას ოთხმოცი) ლარი, რაც უცვლელად დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2015 წლის 18 დეკემბრის განჩინებით. ამ საქმეზე კასატორია – სააგენტო, რომელიც ითხოვს მასზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და სარჩელის უარყოფას. სააგენტო, ასევე, ასაჩივრებს მისთვის მენარდის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – პირველ ინსტანციაში 1280.40 და სააპელაციო სასამართლოში – 1758.45 ლარის დაკისრებასაც.

57. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის განჩინებით სააგენტოს საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული, ხოლო იმავე წლის 6 მაისის განჩინებით, საქმე №ას-933-833-2015 გაერთიანდა საქმესთან №ას-164-160-2016 ერთ წარმოებად, სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე და ამ უკანასკნელი რეგისტრაციის ნომრით მიმდინარეობს წარმოება; ამასთან, გაერთიანებულ საქმეზე საკასაციო საჩივრები ცნობილია დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ხოლო 14 ივნისის განჩინებით განისაზღვრა საქმის ზეპირი მოსმენა, მხარეთა მონვევით (სსსკ-ის 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები).

58. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მონვეულმა მხარეებმა, წარმოდგენილი საკასაციო განაცხადების მოთხოვნების დასასაბუთებლად, შემდეგნაირად წარმოაჩინეს საკუთარი პოზიციები:

58.1. პირველი კასატორის (შემკვეთის) წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა ხელშეკრულების 14.1. პუნქტზე, რომლითაც ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან – 4 850 000 ლარიდან გამოითვლება პირგასამტეხლო, რაც ყოველ ვადაგა-

დაცილებულ დღეზე 0,04%-ით განისაზღვრა. მენარდის მიერ საბანკო გარანტიის ვადის დარღვევით წარდგენასთან დაკავშირებით, პირველმა კასატორმა განმარტა: მიუხედავად იმისა, რომ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებაში ცალკე პირგასამტეხლო, ის მაინც არის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილი, რომელიც დარღვევით შეასრულა მენარდემ, ანუ ვადაგადაცილებით წარადგინა საბანკო გარანტია და ამიტომ სამუშაოების დასრულების შემდეგ, საბოლოოდ დაიანგარიშა შემკვეთმა (იხ. საკასაციო სასამართლოს 01.07.2016წ. სხდომის ოქმი – 15:24:19 – 15:46:00). საკასაციო საჩივრის ფასია 349 800 ლარი, საიდანაც გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის, ხელშეკრულების 14.2. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო – ყოველ გაცდენილ დღეზე 50 ლარი, ჯამში შეადგენს 29 700 ლარს. რაც შეეხება შემკვეთისათვის, მენარდის სასარგებლოდ დაკისრებულ პირგასამტეხლოს, გასაჩივრებულთა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემბრის განჩინება. შემკვეთმა მენარდეს 22 დღის დაგვიანებით ჩაურიცხა დარჩენილი თანხა – 230 000 (ორას ოცდაათი ათასი) ლარი, რისთვისაც, ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან გამომდინარე დაეკისრა პირგასამტეხლო – 42 680 ლარი (22 დღე X 1940 ლარზე).

58.2. მეორე კასატორის (მენარდის) წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ მთლიანად გაასაჩივრეს როგორც რაიონული, ისე სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები, რადგან მენარდეს არ დაურღვევია ვალდებულება და დადგინილ ვადაში დაასრულა სამუშაოები ობიექტზე. მეორე კასატორმა ყურადღება გაამახვილა ხელშეკრულების 9.2. პუნქტზე, რომელიც ეხება შესყიდვის მიღება-ჩაბარების წესს და დასახელებული პუნქტი ადგენს, რომ სამუშაოთა ეტაპობრივი და საბოლოო დასრულება დასტურდება მიმწოდებლის (მენარდის) წერილით. 2014 წლის 2 ივნისს (რადგან 1 ივნისი კვირა დღე იყო), მენარდემ წერილობით აცნობა შემკვეთს სამუშაოთა დასრულების თაობაზე, სთხოვა კომისიის წარმოდგენა და 8 ივნისს შედგა სამუშაოთა ტექნიკური დათვალიერების აქტი (იხ. ამ გადაწყვეტილების 9-13 პუნქტებში მითითებული გარემოებები). კასატორმა დასახელებული აქტის შინაარსზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ძირითადი სამუშაოები დამთავრებული იყო, მხოლოდ გარკვეულ ხარვეზებზე მიუთითა კომისიამ, თუმცა, ქვემდგომმა სასამართლოებმა სათანადოდ არ შეაფასეს ეს აქტი, არც ის დაადგინეს, თუ რა სამუშაოები არ ჰქონდა შესრულებული მენარდეს, ისევე, როგორც შემკვეთს არაფერი მიუ-

თითები არც სარჩელში და არც სააპელაციო საჩივარში. მეორე კასატორი ყურადღებას ამახვილებს, რომ დამატებით განსაზღვრულ ვადაში მან აღმოფხვრა ხარვეზები, თუმცა, მაინც დაეკისრა პირგასამტეხლო, რაც დაუსაბუთებელია. ხარვეზები რომ უმნიშვნელო იყო, არაერთი მტკიცებულებით, მათ შორის, სპეციალისტის – ნ-ს განმარტებითაც (იხ. 36-ე პუნქტი) დასტურდება. შემკვეთმა აამოქმედა წესი, რომელიც გათვალისწინებული იყო იმისთვის, თუკი დამატებით ვადაში, ანუ – 2014 წლის 31 ივლისს ვერ აღმოფხვრიდა ხარვეზებს მენარდე. ამ უკანასკნელმა მიუთითა ხელშეკრულების 9.5 და 14.3 პუნქტების შინაარსზე, ხოლო სამართლებრივი დასაბუთების თვალსაზრისით, ყურადღება გაამახვილა ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ 642-644 მუხლებზე (იხ. საკასაციო სასამართლოს 01.07.2016წ. ოქმი – 15:48:33-16:06:44-მდე).

58.3. მენარდემ მის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული პირგასამტეხლოს – 42 680 ლარის შემკვეთისათვის დაკისრების თაობაზე ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო წესით გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს განჩინების შესახებ განმარტა, რომ 22-დღიანი ვადაგადაცილებისათვის შემკვეთისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო გამომდინარეობს ხელშეკრულების 14.1 პუნქტიდან, რაც ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან გამოიანგარიშება თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,04%-ით და შემკვეთის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, მხარეთა მონაწილეობით, ზეპირი მოსმენით ჩატარებულ სხდომაზე წარმოდგენილი განმარტებების, საქმის მასალების შესწავლის, მტკიცებულებების ერთობლიობით გაანალიზებით, ახალი გადანყვეტილება მიიღო, რომლითაც პირველი კასატორის პრეტენზია ნაწილობრივ, ხოლო მეორე კასატორის საკასაციო მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა, შემდეგი არგუმენტაციით:

59. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის

მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); სსსკ-ის 409-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ, ხოლო 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამავე კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

60. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას გაამახვილებს, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სავსებით იძლევა მათი სამართლებრივი კვალიფიკაციის შესაძლებლობას და არ არსებობს სსსკ-ის 412-ე მუხლის გამოყენების წინაპირობები, ამასთან, სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა ნარდობის სამართლებრივი ნორმები. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორთაგან შემკვეთის პრეტენზია ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მენარდის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა – სრულად, შესაბამისად, სასამართლო მიუთითებს თითოეული კასატორის საჩივრის დაკმაყოფილების მოტივაციას.

61. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეზე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მენარდის მიერ სამუშაოების დასრულების ფაქტის სამართლებრივი შეფასება, რადგან ამას უკავშირდება მოპასუხისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს მართლზომიერების დადგენა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვეტილების მსჯელობასა და დასკვნებს, რომლებიც წინამდებარე გადანყვეტილების 26-51 პუნქტებშია ასახული და მენარდის მიერ შესასრულებულ სამუშაოთა დასრულების თარიღთან დაკავშირებით განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენისას, ცხადია, ნარდობის ურთიერთობაში ფაქტობრივად მისაღწევი შედეგია ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობის წარდგენა შემკვეთისათვის (იხ. სსკ-ის 639-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში, მენარდეს ეკისრებოდა ნივთობრივად უნაკლო ნაკეთობის წარდგენის ვალდებულება. სსკ-ის 641-ე მუხლი კი ადგენს, თუ რა მიიჩნევა ნივთობრივად უნაკლო ნაკეთობად, კერ-

ძოდ: „1. ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს; ხოლო, თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოდ მიიჩნევა, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. 2. ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ მენარდე დაამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებულ ან უფრო ნაკლები რაოდენობის ნაკეთობას“. ნივთობრივად უნაკლო ნაკეთობა სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში განმარტებულია, როგორც ხარისხიანი ნაკეთობის დამზადება, რაც ნარდობის ხელშეკრულების საგნის თავისებურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია განსაზღვრული იქნეს ხელშეკრულებით (თანდართული დოკუმენტაციით) ან გარკვეულ ტექნიკურ ნორმატივზე მითითებით. განსახილველ შემთხვევაში, წინამდებარე გადაწყვეტილების 1-11 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სამართლებრივად უნდა შეფასდეს, ნივთობრივად უნაკლო ნაკეთობის დამზადება უზრუნველყო თუ არა მენარდე ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში, რისთვისაც მნიშვნელოვანია ობიექტის ტექნიკური დათვალეიერების აქტის შინაარსის შეფასება. მენარდე 2014 წლის 2 ივნისს წერილობით აცნობა შემკვეთს, რომ სამუშაოები დასრულებული იყო, ხოლო 7 ივნისს, მშენებლობაზე ზედამხედველი კომპანიის წარმომადგენელმა და მენარდის სამუშაოთა მნარმოებელმა შეადგინეს დასრულებული სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური დათვალეიერების აქტი, რომლის შესახებ მითითებულია წინამდებარე გადაწყვეტილების 32-34 პუნქტებში.

62. მენარდის კუთვნილი მტკიცების საგანს განეკუთვნებოდა სამუშაოთა 2014 წლის 1 ივნისს დასრულების დამტკიცება, აღნიშნული კი, გარდა მისი განმარტებისა, დადასტურებულია 32-34 პუნქტებში მოხმობილი გარემოებებითა და მტკიცებულებებით (იხ. საქმეზე № 933-883-2015). სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ ვერ უზრუნველყო სამუშაოთა 2014 წლის 1 ივნისს დასრულების დამტკიცება (იხ. 48-51 პუნქტები), თუმცა, ამ დასკვნას არ იზიარებს საკასაციო სასამართლო, რადგან შესრულებული სამუშაოების თაობაზე მენარდის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გარდა, თავად სააპელაციო სასამართლოს მსჯელობაშია ასახული, რომ 2014 წლის 7 ივნისს შეკრებილი კომისიის მიერ დაფიქსირდა გარკვეული ხარვეზები და შეუსრულებელი სამუშაოები, რომელთაგან ნაწილს პროექტი არ ითვალისწინებდა, მშენებლობაზე ზედამხედველ კომპანიას განესაზღვრა გონივრული ვადა სამუშაოების საბო-

ლოოდ დასამთავრებლად, რამაც მათი მოცულობიდან და სირთულიდან გამომდინარე, დამატებით 40 დღე შეადგინა, ხოლო საქალაქო სასამართლოში 2015 წლის 5 მარტის სხდომაზე დაკითხულმა სპეციალისტმა განმარტა, რომ არსებობდა ძირითადი პროექტი მშენებლობის წარმოებისათვის და კონკრეტული სამუშაოები თავიდანვე არ განსაზღვრულა, რის გამოც პროექტში შევიდა ცვლილებები, ხოლო მენარდისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა სეზონური შეზღუდვები ამინდის თვალსაზრისით (იხ. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილების 4.18-4.19 პუნქტები – საქმეზე № 933-883-2015; ასევე, ამ გადაწყვეტილების 36-37 პუნქტები). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასებისათვის, სსკ-ის 642-ე მუხლის დეფინიციის (იხ. 61-ე პუნქტი) გათვალისწინებით, 2014 წლის 1 ივნისის მდგომარეობით დასრულებული სამუშაოები უნდა ჩაითვალოს შესრულებულად, რადგან სპეციალისტის შეფასებით, ძირითადი სამუშაოები დასრულებული იყო, ხოლო მცირე ხარვეზებისათვის 40-დღიანი დამატებითი ვადის განსაზღვრა სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ არსებითი (ძირითადი) სამუშაოები განხორციელებული იყო (ამასვე ადასტურებს სამუშაოთა წარმოების განმავლობაში შედგენილი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტებიც, იხ. 30-31 პუნქტები), ხოლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად დამატებით განსაზღვრული ვადა საკმარისი იყო. დამატებითი ვადის დადგენისას, გათვალისწინებული იქნა სეზონური შეზღუდვებიც, რაც აბათილებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომელიც ამ გადაწყვეტილების 50-ე პუნქტშია მითითებული. მხარეთა შორის სადავო არაა, რომ დამატებით ვადაში მენარდემ უზრუნველყო მცირე ხარვეზების აღმოფხვრა.

63. ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები, ამ ტიპის ხელშეკრულების სპეციფიკურობის გამო, იმის გათვალისწინებით, რომ პრეზუმირებულია გარკვეული ნაკლისა თუ ხარვეზის აღმოჩენა/გამოვლენა, შემკვეთის მიერ დამატებითი შესრულების მოთხოვნის შესაძლებლობასაც ადგენს სსკ-ის 642-ე მუხლით, თუმცა, ეს არაა ერთადერთი რეგულაცია, რადგან დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის უშუალოდ გასვლის შემთხვევაში, კანონმდებელი ადგენს შესაძლებლობას, შემკვეთმა თვითონ აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს განეული ხარჯების ანაზღაურება (სსკ-ის 643-ე მუხლი), ასევე, ნაკეთობის ნაკლის გამო, შემკვეთს

სსკ-ის 405-ე მუხლის მიხედვით, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე (სსკ-ის 644-ე მუხლი), ხოლო, თუკი შემკვეთი არც ხელშეკრულების დამატებით შესრულებას მიიღებს საამისოდ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ და არც უარს განაცხადებს ხელშეკრულებაზე, შეუძლია შეამციროს საზღაური იმ თანხით, რა თანხითაც ნაკლი ამცირებს ნაკეთობის ღირებულებას (სსკ-ის 645-ე მუხლი). დასახელებულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და მის მონაწილეთა კეთილსინდისიერების ნაგულგები პრეზუმფციის (სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი) გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში, შემკვეთის მიერ კანონით განსაზღვრულ შესაძლებლობათაგან დამატებითი შესრულების მოთხოვნის არჩევა, კანონითაა დადგენილი და ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის შემადგენელი ელემენტია. სსკ-ის 642-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მენარდეს შეუძლია, უარი თქვას დამატებით შესრულებაზე, თუ იგი მოითხოვს არათანაზომიერ ხარჯებს. განსახილველ შემთხვევაში, აღნიშნული უფლება მენარდეს არ გამოუყენებია. ამდენად, კანონით გათვალისწინებული ალტერნატიული მოწესრიგებიდან შემკვეთმა თვითონ აირჩია და დამატებითი ვადა განუსაზღვრა მენარდეს, ხოლო ამ უკანასკნელმა დამატებით ვადაში სრულად აღმოფხვრა ნაკლოვანებები, რაც მხარეთა შორის სადავო არაა. მეორე კასატორის პრეტენზია (იხ. ამ გადაწყვეტილების 58.2 ქვეპუნქტი) დასაბუთებულია, რადგან შემკვეთის მიერ მენარდისათვის დამატებით განსაზღვრულ ვადაში სამუშაოების დასრულების მიუხედავად, ამ უკანასკნელს მაინც დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა, რაც დაუსაბუთებელია ზემოხსენებული მსჯელობისა და დასკვნების გათვალისწინებით.

64. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მენარდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების მართლზომიერების საკითხი შესაფასებელი იქნებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ დამატებითი ვადის გადაცილებით დაასრულებდა მოპასუხე ხარვეზების აღმოფხვრას, რადგან გამოსაკვლევი იქნებოდა, რა ჩაითვლებოდა საშუაოს შესრულებად, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, შემკვეთმა, კანონით დადგენილი წესით, აირჩია დამატებითი შესრულების მოთხოვნის შესაძლებლობა, მენარდე კი დაეთანხმა მას. საბოლოოდ, მენარდემ დამატებით ვადაში უზრუნველყო ნაკლის გამოსწორება, რაც მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრებას, ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით, გამორიცხავს. ასევე, დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილე-

ბა მენარდისათვის, ამ უკანასკნელის მიერ საბანკო გარანტიის 35-დღიანი ვადაგადაცილებისათვის, პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილი. საბანკო გარანტიის დაგვიანებით წარდგენის გამო, პირგასამტეხლო მხარეთა შორის არ ყოფილა შეთანხმებული ხელშეკრულებით, ხოლო მისი 14.1. პუნქტის შინაარსიდან (იხ. საქმეზე №ას-933-883-2015) არ გამომდინარეობს, რომ ვალდებულების ყოველგვარი შეუსრულებლობის გამო იყო დადგენილი პირგასამტეხლოს დაკისრება მხარისათვის, რადგან საბანკო გარანტიის არსია, შემკვეთის ინტერესების ერთგვარი უზრუნველყოფა, ხოლო ხელშეკრულებით მენარდის მიერ ნაკისრი ვალდებულება მოიცავდა ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობას კონკრეტულ ობიექტზე.

65. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მენარდის საკასაციო პრეტენზია დასაბუთებულია და სრულად უნდა დაკმაყოფილდეს, შედეგად სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებით, შემკვეთის სარჩელი უარყოფილია, შესაბამისად, როგორც ფაქტობრივ-სამართლებრივად დაუსაბუთებელი, არ კმაყოფილდება შემკვეთის საკასაციო პრეტენზია, რომლითაც მოთხოვნილია, სააპელაციო სასამართლოს ამ პუნქტში დასახელებული გადაწყვეტილებით, შემკვეთის სარჩელის უარყოფილი ნაწილის დაკმაყოფილება – 349 800 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

66. შემკვეთის საკასაციო პრეტენზია, რომელიც ეხება სამუშაოების ღირებულების დარჩენილი ნაწილის, 230 000 ლარის, მენარდისათვის 22 დღის ვადაგადაცილებით გადახდის გამო, შემკვეთისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებას ნაწილობრივ დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს.

67. განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან – 4 850 000 ლარი – დაანგარიშებით, მხარეებს შორის შეთანხმდა პირგასამტეხლო ერთ ვადაგადაცილებულ დღეზე – 0,04%, რაც შეადგენს 1940 ლარს. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემბრის განჩინებით, უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე, მენარდის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ შესრულებული სამუშაოების დარჩენილი ნაწილის ღირებულების – 230 000 ლარის 22 დღის ვადაგადაცილებით, გადახდისათვის შემკვეთს დაეკისრა პირგასამტეხლო 42 680 ლარი (22 X 1940 ლარი), სწორედ ეს არის სააგენტოს საკასაციო პრეტენზიის საგანი.

68. საკასაციო სასამართლო, სსკ-ის 417-ე-418-ე მუხლებით დადგენილი პირგასამტეხლოს ფუნქციისა და მიზნიდან გამომ-

დინარე, განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი გადაწყვეტილება/განჩინება არსებობს პირგასამტეხლოს ოდენობის თაობაზე, „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის საფუძვლების სამართლებრივი დასაბუთების შემომწმება სასამართლოს კომპეტენციაა“ (იხ. სუსგ №ას-654-620-2015, 17.12.2015წ.). განსახილველ საქმეზე და ანალოგიურ სხვა შემთხვევებში, პირგასამტეხლოს, როგორც მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში (სსკ-ის 319-ე მუხლი) დათქმული პირობის მიუხედავად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს გათვალისწინება, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და კეთილსინდისიერების მინიმალურ სტანდარტს, რადგან რამდენიმე დღის ვადაგადაცილებისათვის, ხელშეკრულების საერთო თანხის გათვალისწინებით, პირგასამტეხლოს დაკისრება, როგორც კრედიტორის დარღვეული უფლებების და ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთგვარი სანქცია, თავის ნორმატიულ დანიშნულებას ვერ შეასრულებს. საკასაციო სასამართლო მხარე უჭერს მიდგომას, რომ პირგასამტეხლო დაანგარიშებული იქნეს არა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, არამედ მხარის მიერ ფაქტობრივად შეუსრულებელი ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულებიდან. განსახილველ შემთხვევაში, შემკვეთი ვალდებული იყო, 230 000 ლარი გადაეხადა მენარდისათვის, თუმცა, მან 22 დღის ვადაგადაცილებით შეასრულა ვალდებულება, მიუხედავად ამისა, ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან პირგასამტეხლოს დაანგარიშება არაგონივრული და შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, იხელმძღვანელოს სსკ-ის 420-ე მუხლით დადგენილი დისკრეციით და, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში კი, 22 დღის დაგვიანებით სამუშაოების ღირებულების ჩარიცხვისათვის ქვემდგომი სასამართლოების მიერ განსაზღვრული პირგასამტეხლო, როგორც შეუსაბამოდ მაღალი, შეამციროს.

69. საკასაციო სასამართლო მენარდისათვის ფაქტობრივად გადასახდელი თანხიდან – 230 000 ლარიდან გამოიანგარიშებს პირგასამტეხლოს 0,04%-ს, რაც ერთ ვადაგადაცილებულ დღეზე შეადგენს 92 ლარს, ეს კი 22 დღის ვადაგადაცილებისათვის 2024 ლარია და სწორედ ამ გონივრული ოდენობით დააკისრებს პირგასამტეხლოს შემკვეთს მენარდის სასარგებლოდ. „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლოს მიხედულებით, პირგასამტეხლოს

შემცირებისას, გასათვალისწინებელია მხარეთა შორის სახელ-შეკრულებო თავისუფლების ფარგლებში, დათქმული პირგასამტეხლო, როგორც ერთგვარი „სანქცია“, რომელიც უნდა ესადაგებოდეს კრედიტორისა და მოვალის ინტერესებს, პირგასამტეხლოს დანიშნულებასა და ფუნქციას“ (იხ. სუსგ №ას-654-620-2015, 17.12.2015წ.). აღნიშნული სრულად უზრუნველყოფს შესასრულებელი ვალდებულების დარღვევისათვის გონივრული, პროპორციული და სამართლიანი პირგასამტეხლოს ფუნქციის შესრულებას და შეესაბამება შემკვეთის მიერ დაგვიანებით შესრულებული ვალდებულებისათვის, პასუხისმგებლობის სახით, დაწესებულ საზღაურს.

70. საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება განაპირობებს, მხარეთა შორის სახელმწიფო ბაჟის გადანაწილებას, თითოეულის დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად, რაც ასახულია წინამდებარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში (სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 372-ე, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 დეკემბრის განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება;

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 დეკემბრის განჩინების შეცვლით, მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება და სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ შპს „ზ-ს“ სასარგებლოდ, პირგასამტეხლოს სახით, დაეკისროს 2024 ლარის გადახდა;

4. შპს „ზ-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს სრულად;

5. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ საკასაციო საჩივარი არ დაკ-

მაყოფილდეს;

6. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

7. შპს „ზ-ს“ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის 3719.76 ლარის ანაზღაურება.

8. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ შპს „ზ-ს“ სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის 141.68 ლარის გადახდა.

9. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ (ს/კ 2) დაუბრუნდეს მის მიერ სააპელაციო სასამართლოში ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 51.25 ლარი (საგადახდო მოთხოვნა ..., გადახდის თარიღი – 2015 წლის 27 ოქტომბერი), შემდეგი ანგარიშიდან ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, მიმღები ბანკის კოდი – TRESGE 22, სახაზინო კოდი – ...;

10. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ შპს „ზ-ს“ სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის 12 795.68 ლარის გადახდა.

11. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირგასამტეხლო
გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო

№ას-848-814-2016

28 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: **ზ. ძლიერიშვილი** (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაძე,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: პირგასამტეხლოს ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ინდივიდუალური მენარმე „მ. შ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ პირგასამტეხლოს – 31 038,40 ლარის ანაზღაურების შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2015 წლის 15 ივლისს მხარეთა შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №102 ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ამბროლაურის სატყეო უბნის სხვაგვარ სატყეოს მე-9, მე-10, 23-ე და 30-ე კვარტალში, საორიენტაციოდ, 1021 მ³ მერქნული რესურსის დამზადებას, სამანქანო გზამდე გამოტანასა და სოფელ ხოტევის მიმდებარედ დასაწყობებას. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 81680 ლარს.

3. მხარის მითითებით, მოპასუხემ ხელშეკრულება შეასრულა ნაწილობრივ და 1021 მ³ მერქნული რესურსის ნაცვლად, დაამზადა 343.59 მ³.

4. ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, მოპასუხეს სამუშაოები უნდა დაესრულებინა 2015 წლის 4 სექტემბრამდე, რაც მან დაარღვია.

5. ხელშეკრულების 10.1 პუნქტი ითვალისწინებდა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრებას. ვადაგადაცილებამ შეადგინა 23 დღე, შესაბამისად, მოპასუხის მიერ

გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობამ შეადგინა 18786.40 ლარი. ასევე, ხელშეკრულების 10.2 პუნქტი ითვალისწინებდა არაჯეროვანი შესრულებისათვის საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრებას, რამაც შეადგინა 4084.00 ლარი, ხოლო ხელშეკრულების 10.3 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრებას, რამაც შეადგინა 8168.00 ლარი. სულ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ მიაღწია 31038.40 ლარს. აღნიშნულის შესახებ, მოპასუხეს შეტყობინება გაეგზავნა 2015 წლის 15 ოქტომბერს, თუმცა მას დავალიანება დღემდე არ გადაუხდია.

მოპასუხის პოზიცია:

6. მოპასუხემ მარტივი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2015 წლის 15 ივლისის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №102 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა მისგან დამოუკიდებელი, ობიექტური მიზეზების გამო, კერძოდ, ივლისი-აგვისტოში მაღალი ტემპერატურის გამო, ხეტყის დამამზადებელ ბრიგადაში არსებულ ცოცხალ გამწვევ ძალას – (ხარებს) შეექმნა სიცოცხლისათვის საშიში პირობები, რამაც გამოიწვია მათი პიროპლაზმოზით დაავადება. აღნიშნულის თაობაზე მოპასუხემ აცნობა მოსარჩელეს წერილობით და დაელოდა პასუხს. ამ მოლოდინში სამუშაოების შესრულება, რამდენიმე დღით შეჩერებული იყო. სამუშაოს შესრულება ასევე ვერ მოხდა იქედან გამომდინარე, მოსარჩელეს არ ჰქონდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება, რათა ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ მინის ფართზე განეხორციელებინა სამუშაოები. აღნიშნული ბრძანება, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, გაიცა 2015 წლის 8 სექტემბერს და მოპასუხეს ეცნობა 23 სექტემბერს. 24 სექტემბერს მან წერილობით აცნობა მოსარჩელეს, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე შეუძლებელი იყო სამუშაოების შესრულება, რაზედაც მან მოსარჩელისაგან პასუხი ვერ მიიღო, ხოლო 2015 წლის 1 ოქტომბერს მიიღო წერილი, რომლის საფუძველზეც ეცნობა, რომ მოსარჩელე წყვეტდა ხელშეკრულებას.

7. ამდენად, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით და მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, უსაფუძვლოა. გარდა ამისა, შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაშიც კი, მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია და არსებობს მისი შემცირების საფუძველი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების

სარეზოლუციო ნაწილი:

8. ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა, 2015 წლის 15 ივლისის №102 ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, პირგასამტეხლოს სახით 18786.40 ლარის გადახდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს სახით 1879 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

10. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2015 წლის 15 ივლისს მხარეებს შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №102 ხელშეკრულება, რომლის საგანსა და ობიექტს წარმოადგენდა ამბროლაურის სატყეო უბნის სხვაგვას სატყეოს მე-9, მე-10, 23-ე და 30-ე კვარტალში, საორიენტაციოდ, 1021 მ³ მერქნული რესურსის დამზადება, სამანქანე გზამდე გამოტანა და სოფელ ხოტევის მიმდებარედ დასაწყობება.

11. ამავე ხელშეკრულებით დადგენილია, რომ ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 81680 ლარს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა კი განისაზღვრა 2015 წლის 15 ივლისიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. ხელშეკრულებაში 4.1 და 4.2 პუნქტების თანახმად, კონკრეტულად განისაზღვრა მომსახურების განხორციელების პირობები – ვადები და ადგილი, კერძოდ, სამუშაოს დასრულების სპეციალური ვადა განისაზღვრა 2015 წლის 4 სექტემბრამდე.

13. მხარეთა შორის დადებული 2015 წლის 15 ივლისის №102 ხელშეკრულების მე-4 მუხლის (მომსახურების განხორციელების ვადები და ადგილი) 4.6 პუნქტის თანახმად, ხე-ტყის დამამზადებელი ჯგუფები დაკომპლექტებული უნდა იყოს მაღალი გამავლობის მანქანებით, გამწვევი ცოცხალი ძალებით (ხარები), ბენზოხერხებით და სხვა საჭირო ინვენტარით. აღნიშნული სახელშეკრულებო ნორმის თანახმად, სააპელაციო პალატამ, მსგავსად პირველი ინსტანციის სასამართლოსი, ობიექტურ მიზეზად ხელშეკრულების ვადის დარღვევისათვის, არ მიიჩნია მოპასუხის პოზიცია, რომ დაუავადა ცოცხალი გამწვევი ძალა

(ხარები), რადგან თავად მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ხე-ტყის დამამზადებელი ჯგუფის ვალდებულებას, ჰქონოდა სხვა არაერთი ალტერნატიული საშუალება, გარდა ცოცხალი გამწევი ძალისა (ხარებისა).

14. სააპელაციო პალატამ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, არ გაიზიარა მოპასუხე მხარის (აპელანტის) პოზიცია, რომ სამუშაოს შეუსრულებლობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ შესრულების ადგილი იყო ციცაბო, დამრეცი და აღმოჩნდა მოსახლეობის წყალმომარაგების ქსელის გაყვანის ტერიტორიაზე.

15. აპელანტის აღნიშნულ პოზიციასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ხელშეკრულების ობიექტის, მისი ადგილმდებარეობისა და საზღვრების თაობაზე ცნობილი იყო მოპასუხე მხარისათვის ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის, შესაბამისად, მას აღნიშნული მოტივი, რისკები ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა გაეთვალისწინებინა, რაც ამჟამად ხელშეკრულების პირობების დარღვევის ობიექტურ მიზეზად ვერ გამოდგება.

16. ხელშეკრულების დადებისას მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში პირგასამტეხლოს დაკისრებასა და მის ოდენობაზე, კერძოდ, ხელშეკრულების მე-10 მუხლის თანახმად, პირგასამტეხლოს ოდენობა ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის განისაზღვრა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით. ასევე, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით – 4084.00 ლარით, ხოლო ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეს სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით – 8168.00 ლარით.

17. სააპელაციო პალატამ უდავოდ დადგინდა ფაქტობრივ გარემოებად ჩათვალა ის ფაქტი, რომ მოპასუხემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები ვერ შეასრულა 2015 წლის 4 სექტემბრამდე და მოსარჩელე მხარის მიერ ხელშეკრულება შეწყდა ცალმხრივად 2015 წლის 1 ოქტომბერს. ვადაგადაცილებულ დღეთა რაოდენობამ შეადგინა 23 დღე.

18. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით, მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა ნარდობის ხელშეკრულებაა.

19. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 629-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალა-

ტამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ არის შესრულებული, რაც ანიჭებს კრედიტორს პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლებას.

20. სსკ-ის 417-ე, 418-ე და 420-ე მუხლების საფუძველზე სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ხელშეკრულების დადებისას მხარეებს უფლება აქვთ, შეთანხმდნენ გარკვეული თანხის – პირგასამტეხლოს გადახდაზე იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.

21. მითითებული თანხის ოდენობის განსაზღვრას კანონმდებელი მხარეთა შეთანხმებას მიანდობს, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს დაკისრებით კრედიტორმა არა-თანაზომიერად დიდი სარგებელი მიიღოს.

22. ამდენად, პირგასამტეხლოს ოდენობა შეუზღუდავი არ არის. სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს იგი დავის კონკრეტული გარემოებების შესაბამისად. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება. შესაბამისად, პირგასამტეხლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული ანუ პირგასამტეხლოს ოდენობის შესაბამისობის გათვალისწინებისას, სასამართლო მხედველობაში იღებს ვალდებულების დარღვევის ხასიათს, აღნიშნულით გამონკვეულ ზიანს, მის თანაფარდობას, მხარეთა ფინანსურ მდგომარეობას, მოსარჩელის ეკონომიკურ ინტერესს, აგრეთვე, სხვა ობიექტურ გარემოებებს. მაგ: პროცენტის ოდენობას და ა. შ.

23. კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვილი პირგასამტეხლო პირველი ინსტანციის სასამართლომ შეამცირა 1 პროცენტამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და მისი ოდენობა განისაზღვრა 18786.40 ლარით, თუმცა სააპელაციო პალატამ მითითებული პირგასამტეხლოც შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად მიიჩნია. სსკ-ის 420-ე მუხლით გათვალისწინებული დისკრეციის ფარგლებში იმსჯელა პირგასამტეხლოს ოდენობის სამართლიანობაზე, მიიღო მხედველობაში ხელშეკრულების დარღვევის ხასიათი და ჩათვალა, რომ გონივრული იქნება, პირგასამტეხლო შემცირდეს 10-ჯერ და განისაზღვროს 0.1%-ით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. საბოლოოდ მოპასუხისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა უნდა განისაზღვროს 1879 ლარით.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

24. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მოსარჩელემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით 16907 ლარის ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით:

25. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ გაურკვეველი მიზეზით მიუთითა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, რომ მხარეთა შორის არსებობდა სსკ-ის 629-ე მუხლით გათვალისწინებული ნარდობის ხელშეკრულება და მოიყვანა აღნიშნულის დეფინიცია, რასაც ლოგიკური განვითარება არ მოჰყოლია.

26. მხარემ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი, თუმცა არ უმსჯელია, რატომ არის მოთხოვნილი პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი. ხელშეკრულების დადების დროს მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოს ოდენობაზე, შესაბამისად, იგი შეუსაბამოდ არ მიუჩნევიან.

27. კასატორმა დაუსაბუთებლად ჩათვალა სასამართლოს არგუმენტი, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა განსაზღვრა ხელშეკრულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, რადგან სააპელაციო პალატას არ მიუთითებია, რა იგულისხმებოდა დარღვევის ხასიათში მაშინ, როცა უდავოდ დადგენილია ვალდებულების დარღვევის ფაქტი.

28. მხარემ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღება მკაცრად განსაზღვრულ კონკრეტულ ვადასთან იყო დაკავშირებული, პირგასამტეხლოს ოდენობაც სწორედ ამ გარემოებას ასახავს.

29. სააპელაციო პალატის მიერ განსაზღვრული პირგასამტეხლოს სადავო ოდენობა არ შეესაბამება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის 29 ივნისს გამოქვეყნებულ რეკომენდაციებს.

30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასა-

მართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. ამავე განჩინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, გადაწყდა საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

31. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

32. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

33. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და მხარეთა მიერ დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოდგენილა საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ:

34. 2015 წლის 15 ივლისს მხარეებს შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №102 ხელშეკრულება, რომლის საგანსა და ობიექტს წარმოადგენდა ამბროლაურის სატყეო უბნის სხვაგვარ სატყეოს მე-9, მე-10, 23-ე და 30-ე კვარტალში, საორიენტაციოდ, 1021 მ³ მერქნული რესურსის დამზადება, სამანქანე გზამდე გამოტანა და სოფელ ხოტევის მიმდებარედ დასაწყობება.

35. ამავე ხელშეკრულებით დადგენილია, რომ ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 81680 ლარს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა კი განისაზღვრა 2015 წლის 15 ივლისიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

36. ხელშეკრულებაში 4.1 და 4.2 პუნქტების თანახმად, კონკრეტულად განისაზღვრა მომსახურების განხორციელების პირობები – ვადები და ადგილი, კერძოდ, სამუშაოს დასრულების სპეციალური ვადა განისაზღვრა 2015 წლის 4 სექტემბრამდე.

37. მხარეთა შორის დადებული 2015 წლის 15 ივლისის №102 ხელშეკრულების მე-4 მუხლის (მომსახურების განხორციელების ვადები და ადგილი) 4.6 პუნქტის თანახმად, ხე-ტყის დამამზადებელი ჯგუფები დაკომპლექტებული უნდა იყოს მაღალი

გამავლობის მანქანებით, გამწევი ცოცხალი ძალებით (ხარები), ბენზოხერხებით და სხვა საჭირო ინვენტარით.

38. ხელშეკრულების დადებისას მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში პირგასამტეხლოს დაკისრებასა და მის ოდენობაზე, კერძოდ, ხელშეკრულების მე-10 მუხლის თანახმად, პირგასამტეხლოს ოდენობა ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის განისაზღვრა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით. ასევე, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით – 4084.00 ლარით, ხოლო ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით – 8168.00 ლარით.

39. სააპელაციო პალატამ უდავოდ დადგინო ფაქტობრივ გარემოებად ჩათვალა ის ფაქტი, რომ მოპასუხემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები 2015 წლის 4 სექტემბრამდე ვერ შეასრულა და 2015 წლის 1 ოქტომბერს მოსარჩელე მხარის მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა. საბოლოოდ ვალდებულება შესრულდა მხოლოდ 1/3-ის ოდენობით, ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობამ კი შეადგინა 23 დღე.

40. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს.

41. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის განხილ-

ველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია რა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზეა დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თავად იღებენ გადანყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სსსკ-ის მე-3-4-ე მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (ამავე კოდექსის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში.

42. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი, თუმცა გადანყვეტილებაში არ არის დასაბუთებული, რატომ არის მოთხოვნილი პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი. შესაბამისად, მხარე სადავოდ ხდის პირგასამტეხლოს ოდენობის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.1%-ით, სულ – 1879 ლარით განსაზღვრას.

43. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსი აღიარებს და ეფუძნება „pacta sunt servanda-ს“ (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპს, რომლის თანახმად ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით მისივე ნებით შეთანხმებული უფლება-მოვალეობები. შესრულების ვალდებულება პირველ რიგში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას გულისხმობს. ამავდროულად, პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობისას წარმოიშობა ნაწარმოები შესრულების (ზიანის ანაზღაურება, პირგასამტეხლოს გადახდა და ა.შ.) ვალდებულება. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურებიან და რომელთა შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული.

ასეთ საშუალებათა რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება პირგასამტეხლო (სუსგ 25.05.2010წ. საქმე №ას-1220-1480-09).

44. სსკ-ის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

45. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან ანუ, პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთი და იგივე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არიან მიმართული, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩებიან. (საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები, საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის, შესაბამისად იხ., Gottwald, in MuKo BGB, 6. Aufl. Band II §340,Rn.15; Rieble in Staudinger BGB Komm, Buch 2, Neubearbeitung 2009, §340,Rn.71; BGH NJW 1975, S. 164f. Walchner in Dauner-Lieb/Langen BGB Komm. 2.Aufl.,Rn.6; BGH NJW 1963, S.1197).

46. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხ-

ლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.

47. პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული.

48. ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება.

49. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მართივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (სუსგ 6.05.2015წ. საქმე №ას-1158-1104-2014).

50. საურავი, ისევე როგორც ჯარიმა, წარმოადგენს პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს. იგი უმეტესად იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ვალდებულ პირი არ ასრულებს ვალდებულებას დადგენილ დროში. ჯარიმისაგან განსხვავებით, შესრულების ვადის გადაცილებისათვის საურავის სახით დადგენილი პირგასამტეხლოს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა ვალდებულების შესრულებისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის კუმულაციის შესაძლებლობას. საურავი იცავს კრედიტორის იმ ინტერესს, რომელიც მას ვალდებულების დროული შესრულების მიმართ გააჩნია. საურავის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კონკრეტულ ოდენობაში ან პროცენტებში დადგენილი საურავი ერიცხება მოვალეს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და ამით აიძულებს, შეასრულოს ვალდებულება. ჯარიმისაგან განსხვავებით, საურავის დროს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფი ფუნქცია უფრო ნათლად ჩანს, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი განაგრძობს დარიცხვას ვალდებულების დარღვევის შემდეგაც.

51. მოცემულ შემთხვევაში უდავოდ დადგენილია, რომ მოპასუხემ მოსარჩელის წინაშე ხელშეკრულებით გათვალისწინე-

ბული ვალდებულება სრულად არ შეასრულა და მას წარმოეშვა პირგასამტეხლოს გადახდის მოვალეობა.

52. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ გარემოებაზე, რომ მოპასუხეს მხარეთა შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე უნდა შეესრულებინა 81680 ლარის ღირებულების სამუშაო. რეალურად მის მიერ განხორციელდა სრული მოცულობის 1/3, ანუ დაახლოებით 27226,67 ლარის ღირებულების შესრულება და შეუსრულებელი სამუშაოს მოცულობა შეადგენს მიახლოებით 54 453,33 ლარს.

53. სააპელაციო პალატის მიერ ასევე უდავოდ დადგენილია, რომ ვალდებულების დარღვევის პერიოდი შემოიფარგლება 23 დღით.

54. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მოსარჩელის მიერ როგორც სარჩელით მოთხოვნილი პირგასამტეხლო 31 038,40 ლარი, აგრეთვე საკასაციო საჩივრით მოთხოვნილი 16907 ლარი, ვალდებულების დარღვევის სიმძიმისა და ხანგრძლივობის ადეკვატური არ არის და უნდა ჩაითვალოს შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად.

55. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის დადგენა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტული მაჩვენებლების ჯამით (ხელშეკრულების მე-10 პუნქტი) კანონით განსაზღვრულ პირგასამტეხლოს მიზნებს სცდება და მოვალის მიმართ გადაჭარბებული სანქციის დაწესებას გამოიწვევს, თუმცა სააპელაციო პალატის მიერ განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობაც არ შეესაბამება სადავო შემთხვევაში პირგასამტეხლოს ობიექტურ და სამართლიან მოცულობას.

56. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის ფაქტობრივ-სამართლებრივი წანამძღვრების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეუსრულებელი სამუშაოს მოცულობასთან – 54 453,33 ლართან მიმართებით (სააპელაციო სასამართლოს მიერ უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება-პ.9), პირგასამტეხლოს ობიექტურ და სამართლიან ოდენობად მოცემულ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს 10 000 ლარი. აღნიშნული თანხის დადგენისას მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ შესრულების ვადაგადაცილების შემდეგ მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულება შეწყდა, რაც ხაზს უსვამს მხარის ინტერესს სადავო სამუშაოების დროულად შესრულებასთან დაკავშირებით და მოპასუხის მიმართ პასუხისმგებლობის მეტისმეტად შემცირებას

გაუმართლებელს ხდის.

57. რაც შეეხება სასამართლო ხარჯებს, სსსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადანყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს.

58. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რადგან გასაჩივრებული გადანყვეტილება უნდა გაუქმდეს და სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, – პირგასამტეხლოს სახით მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 10 000 ლარის ანაზღაურების ნაწილში, შესაბამისად, მოპასუხეს უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით (პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელზე გადახდილი 931,15 ლარიდან და საკასაციო საჩივარზე გადახდილი 895,37 ლარიდან, (საიდანაც 50,37 ლარი კასატორმა გადაიხადა ზედმეტად) გადახდილი 1776,15 ლარიდან სარჩელის დაკმაყოფილების პროპორციულად 572 ლარის ანაზღაურება. ამავდროულად, კასატორს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ხაზინიდან მის მიერ საკასაციო საჩივარზე ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი — 50,37 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო

ლაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

4. მოპასუხე ინდივიდუალურ მენარმე „მ. შ-ს“ მოსარჩელე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს 10000 (ათი ათასი) ლარის პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

5. მოპასუხე ინდივიდუალურ მენარმე „მ. შ-ს“ მოსარჩელე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 572 ლარის ანაზღაურება.

6. კასატორ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2016 წლის 22 სექტემბერს №15277 საგადახდო დავალებით გადახდილი 50,37 ლარი.

7. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირბასამტეხლო
გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო

№ას-931-871-2017

24 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ს-ს მ-ის“ (შემდეგში: მოპასუხე, შემსყიდველი ან კა-სატორი) მიერ 2015 წლის 22 აპრილს გამოცხადებულ ელექტრო-ნულ ტენდერში (SPA 150011982) გაიმარჯვა შპს „მ-ი 80“-მა (შემ-დეგში: მოსარჩელე, მიმწოდებელი ან აპელანტი). შემსყიდველ-სა და მიმწოდებელს შორის 2015 წლის 24 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №58-ბ/15 (შემდეგში: ხელშეკრულება) დედოფლისწყაროს მუნიციპალი-ტეტის ტერიტორიაზე, სოფელ ფ-ის მექანიკური მორწყვის სის-ტემის რეაბილიტაციის (I ეტაპი) თაობაზე, ხელშეკრულების ღი-რებულება – 3 310 000 ლარით, ხოლო ვალდებულების შესრუ-ლების ვადა 2015 წლის 23 ნოემბრის ჩათვლით განისაზღვრა (იხ. ხელშეკრულება და შეთანხმების ოქმი).

2. ხელშეკრულებაში 2015 წლის 10 დეკემბერს განხორციე-ლებული ცვლილებების მიხედვით, შესასრულებელ სამუშაოთა სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 3 309 975,76 ლა-რით. თანხამ, მოპასუხის მოთხოვნით, მოიცვა დამატებით შეს-რულებული სამუშაოების ღირებულება 99 109.80 ლარი (იხ. შე-თანხმების ოქმი).

3. ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელს სამუშაოს ვა-დის დარღვევის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო სა-ხელშეკრულებო ღირებულების 0.07%, ხოლო შემსყიდველს – შეუსრულებელი ღირებულების 0.1%.

4. მოსარჩელემ სამშენებლო სამუშაოები 2015 წლის 20 დე-კემბერს დაასრულა, მან სამუშაოთა შესრულების ვადა 27 დღით დაარღვია, შესაბამისად მას დაეკისრა და ჩამოეჭრა პირგასამ-ტეხლო საერთო ჯამში 62 558 ლარი.

5. სარჩელის საფუძვლები

5.1. მოსარჩელემ 2016 წლის 15 აპრილს სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ მისთვის უკანონოდ დაკისრებული პირგასამტეხლოს 62 558 ლარის დაბრუნების მოთხოვნით.

5.2. მოსარჩელის განმარტებით, მას მშენებლობისათვის საჭირო ლითონის მიღების შექენასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა, კერძოდ, აღმოჩნდა, რომ აღნიშნული მიღების ქარხანა-დამამზადებლის მიერ მოწოდება 3 თვის განმავლობაში ვერ მოხერხდებოდა, რის შესახებაც 2015 წლის 23 ივლისის №207 წერილით მოპასუხეს ეცნობა, მასვე შესთავაზეს, რომ პროექტით გათვალისწინებული მიღები უფრო მაღალი ხარისხის და უკეთესი მონაცემების მქონე მიღებით ჩანაცვლებულიყო. ფასთან დაკავშირებულ სხვაობას კი მოსარჩელე კისრულობდა. აღნიშნული შინაარსის წერილი მოპასუხეს (შემსყიდველს) 2015 წლის 30 ივლისსაც გაეგზავნა, თუმცა, მას მიმწოდებლისათვის პასუხი არ გაუცია.

5.3. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ რადგან მოპასუხემ არ დააკმაყოფილა მათი თხოვნა, მან აღნიშნული მიღები შეიძინა რუსეთის ფედერაციის ქ. ჩელიაბინსკში, რომელთა მოწოდება უნდა დაწყებულიყო არაუგვიანეს 2015 წლის 15 სექტემბრისა, თუმცა, ვადამ 2015 წლის 31 ოქტომბრამდე გადაინია. გამომგზავნის ბრალით გამოგზავნა შეფერხდა 10 და 11 ნოემბრამდე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მიღების ტრანსპორტირება ხორციელდებოდა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში და, სტიქიური მოვლენის – ცინვის გამო, ტრანსპორტის მოძრაობა შეწყვეტილი იყო. საბოლოოდ კი მიღები მიმწოდებელს 2015 წლის 25 ნოემბერს ჩაბარდა.

5.4. მიმწოდებელმა განმარტა, რომ ადგილი ჰქონდა სხვა დამოუკიდებელ გარემოებებსაც, სამუშაოების პროექტმა განიცადა გარკვეული ცვლილებები და მიმდინარეობდა შეთანხმება საპროექტოსთან, აღნიშნულისა და დაუძლეველი გარემოებების შესახებ ეცნობა შემსყიდველს, ასევე მიმწოდებელმა მოითხოვა სამუშაოთა შესრულების ვადის გადანევა 2015 წლის 23 დეკემბრამდე, საბოლოოდ, მოპასუხემ აღნიშნული გარემოებები არ ჩათვალა ფორს-მაჟორულად, უარი განაცხადა ვადის გაგრძელებაზე და მოსარჩელეს პირგასამტეხლოს გადახდა დააკისრა.

5.5. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოპასუხის მიერ პირგასამტეხლოს თანხა გაანგარიშებული იქნა მიმწოდებლის მიერ დამატებით შესრულებული სამუშაოების ღირებულების თანხიდანაც. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო კი

დისკრიმინაციული და არასამართლიანია მიმწოდებლისათვის, რადგან მისთვის პირგასამტეხლო გათვალისწინებულია ხელშეკრულების მთლიანი თანხის 0.07%-ით, ხოლო შემსყიდველისათვის – შეუსრულებელი ვალდებულების 0.1%-ით.

6. მოპასუხის შესაგებელი

6.1. მოპასუხემ მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ მხარეებს შორის შედგა შეთანხმება მიღების შეცვლასთან დაკავშირებით, მაგრამ რადგან მიმწოდებელმა თავის თავზე აიღო დამატებით ხარჯის ანაზღაურება, შესაბამისად, ხელშეკრულებაში ცვლილება ამის თაობაზე არ შედგენილა. აღნიშნული კი ადასტურებს, რომ მოწინააღმდეგის მიერ შესყიდულია არა 8 მმ-იანი მილები, არამედ 10 მმ-იანი და 12 მმ-იანი საქონელი. მოპასუხემ ყურადღება გაამახვილა, რომ მოსარჩელემ 2015 წლის 8 ივლისს დაადასტურა, რომ მიღების შემოტანა ხდებოდა თურქეთიდან, თუმცა, ეს უკანასკნელი სარჩელში აღნიშნავდა, რომ მან მილები რუსეთის ფედერაციაში შეიძინა;

6.2. შემსყიდველმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 24 ივნისს და მიმწოდებელს შეეძლო გაეთვალისწინებინა გარემო პირობებით განპირობებული შესაძლო შემხვედრი გართულებები, რისი თავიდან აცილებისა და ხელშეკრულების პირობების ვადაში შესრულების მიზნით შეეძლო მიეღო სათანადო ზომები. აღსანიშნავია, რომ საბაჟოზე მოძრაობა ორი დღით იყო შეზღუდული – 2015 წლის 14-16 ნოემბერს და ეს გარემოება ვერ იქნება გათვალისწინებული, როგორც ფორს-მაჟორული სიტუაცია ობიექტისათვის საჭირო მასალების ტრანსპორტირებისათვის;

6.3. მოპასუხის განმარტებით, მან ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე უარი განაცხადა, არა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მხარემ არ შემოიტანა მილები, არამედ – იმ მიზეზითაც, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ მოხერხდა მხარის მიერ სადანეო მილსადენის რკინა-ბეტონის ხიმიწვევანი საყდრების მოწყობის სამუშაოების შესრულება;

6.4. მოპასუხის მტკიცებით, მოსარჩელემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არაჯეროვნად შეასრულა, რის გამოც მას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა დაეკისრა, რაც დაბრუნებას არ ექვემდებარებოდა.

7. სიღნაღის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

7.1. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 21 ივნის-

სის გადანყვეტილებით მიმწოდებლის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7.2. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგენი: სსკ) 317-ე, 319-ე, 397-ე, 417-ე, 418-ე, 420-ე, 629-ე მუხლებით და დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთათვის ცნობილი იყო ხელშეკრულების შინაარსი და პირობები, მოსარჩელემ მონაწილეობა მიიღო ტენდერში, რის გამოც სავარაუდოა, რომ იგი დეტალურად გაეცნო ტენდერის ყველა პირობას და იცოდა გამარჯვების შემთხვევაში რა ვალდებულებები დაეკისრებოდა ხელშეკრულების შესრულების დროს, ამიტომ მისი მტკიცება, რომ 2015 წლის 24 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება ბუნდოვან, კაბალურ და არასამართლიან პირობებს შეიცავს სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია.

7.3. სასამართლომ მიიჩნია, რომ ყაზბეგი-ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტის რამდენიმე დღით დახურვის გარდა, მოსარჩელის მიერ მითითებული არც ერთი გარემოება არ შეიძლება და მიჩნეულიყო ფორს-მაჟორულ გარემოებებად, რადგან როდესაც მოსარჩელემ ლითონის მილების ქ. ჩელიაბინსკიდან შემოტანა გადანყვიტა, მას უნდა ევარაუდა, რომ განსაკუთრებით ზამთრის თვეებში გაჩნდებოდა პრობლემები მილების დამზადებისა და მათი ტრანსპორტირების კუთხით. მიმწოდებელს მილების შემოტანის საკითხი წინასწარ უნდა შეესწავლა, სანამ ტენდერში მიიღებდა მონაწილეობას, ისევე, როგორც დროულად უნდა მოეგვარებინა გზის მშენებლობისათვის მდინარის ბალასტის მოპოვების საკითხი, ეს ყველაფერი კი დაკავშირებულია მიმწოდებლის არასწორ გათვლებთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რამაც საბოლოოდ სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილება გამოიწვია;

7.4. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხისა და მოწმის სახით დაკითხული ზედახედველის ჩვენება, რომ თუ სამუშაოები ზაფხულის თვეებში დროულად დაიწყებოდა და სამშენებლო გრაფიკის თანახმად წარიმართებოდა, ვადის გადაცილება აღარ მოხდებოდა და საჭირო არ გახდებოდა დამატებითი სამუშაოების შესრულება და მშენებლობის მოცულობის გაზრდა;

7.5. სასამართლომ დაადგინა, რომ მიმწოდებლის ყველა წერილზე შემსყიდველის მიერ პასუხის გაუცემლობა არ ნიშნავდა, რომ ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია მოსარჩელის მიერ შესასრულებელი სამუშაოს ვადის გადაცილებაზე, შესაბამისად, ამ უკანასკნელს მთლიანად ეკისრებოდა პასუხისმგებლობა და აღნიშნულის გამომრიცხველი გარემოებები არ არსებობდა, ამიტომ შემსყიდველი (მოპასუხე) უფლებამოსილი იყო, ვალდებუ-

ლების არაჯეროვნად შესრულების გამო მიმწოდებლისათვის დაერიცხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

8. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

8.1. სიღნაღის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მიმწოდებელმა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

8.2. აპელანტის განმარტებით სასამართლომ არასწორად მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის არმქონედ მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები და დაუსაბუთებლად დაასკვნა, რომ მშენებლობის მოცულობის გაზრდა მიმწოდებლის ბრალეულობით იყო გამოწვეული.

8.3. აპელანტმა სარჩელში მითითებული გარემოებები გაიმეორა (იხ. ამ გადაწყვეტილების 5.2-5.5 ქვეპუნქტები) და დამატებით განმარტა, რომ მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ შესრულების პროცესში წაანყდება ისეთ ხელისშემშლელ გარემოებებს, რომლებიც გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზით (იხ. სააპელაციო საჩივარი).

9. სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება

9.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მიმწოდებლის სარჩელი დაკმაყოფილდა.

9.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ამავე სასამართლოს 2016 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით მიმწოდებლის სააპელაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული და დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2017 წლის 11 იანვარს, 11:00 საათზე, რის თაობაზეც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 70-ე-78-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით ეცნობა მოპასუხეს. თუმცა, 2017 წლის 11 იანვრის სხდომაზე სააპელაციო სასამართლოში შემსყიდველი (მოპასუხე) არ გამოცხადდა და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების შესახებ უცნობებია სასამართლოსათვის.

9.3. სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 387.2, 387.3, 230.1, 233.1 მუხლებზე დაყრდნობით განმარტა, რომ აპელანტის (მიმწოდებლის) პოზიცია დასაბუთებულია, არ შეიძლება ხელშეკ-

რულებით ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შეუსრულებლობა მოსარჩელეს ბრალად შეერაცხოს იმ ობიექტურ გარემოებათა გამო, რასაც მიმნოდებელი უთითებდა და ასაბუთებდა.

9.4. სსკ-ის 361-ე, 394-ე, 401-ე მუხლების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები მიმნოდებლის სასარჩელო მოთხოვნას იურიდიულად ამართლებდა, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე აპელანტის შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი იყო.

10. მოპასუხის საჩივარი

10.1. მოპასუხემ სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

10.2. საჩივრის ავტორის მტკიცებით, სსკ-ის 230-ე მუხლის თანახმად სარჩელში მითითებული გარემოებები სასარჩელო მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებს. აქედან გამომდინარე, სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელი იყო.

11. სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ

11.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მაისის განჩინებით მოპასუხის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

11.2. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება იმ გარემოებაზე გაამახვილა, რომ საჩივრის ავტორი (მოპასუხე, შემსყიდველი) დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდა არა სხდომაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის, არამედ – იმაზე მითითებით, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელი იყო, რადგან სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას.

11.3. სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე გადაწყვეტილების 9.3-9.4 ქვეპუნქტებში დასახელებული გარემოებები გაიმეორა და დამატებით განმარტა, რომ დაუსწრებელი წარმოების არსი მდგომარეობს სასამართლოს მიერ გამოძახებული, არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებელი მხარის მიმართ გარკვეული სანქციის გამოყენებაში, რომელიც გამოიხატება სასამართლოს მიერ საქმის სრულყოფილი განხილვის გარეშე ისეთი გა-

დანყვეტილების მიღებაში, რომელიც არათუ ესადაგება, არამედ, ეწინააღმდეგება გამოუცხადებელი მხარის ინტერესებს. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის რეჟიმში სასამართლო მტკიცებულებებისა და საქმის არსებითი კვლევის სტადიაში არ შედის. იგი მხოლოდ არკვევს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ სამართლებრივად აფასებს.

12. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

12.1. სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებასა და განჩინებაზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, საკასაციო საჩივარი წარმოადგინა შემსყიდველმა (მოპასუხემ) მათი გაუქმებისა და საქმისწარმოების განახლების მოთხოვნით.

12.2. კასატორის განმარტებით სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასების გარეშე მიიჩნია დადგენილად მიმწოდებლის სარჩელში მითითებული ფაქტები. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის ფაქტი და არასწორად მიიჩნია, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები სასარჩელო მოთხოვნას იურიდიულად ამართლებდა.

12.3. კასატორი აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდეგში: სპეციალური კანონი) სპეციალური და უფრო ახალი კანონია სსკ-თან შედარებით. სპეციალური კანონის მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა. სპეციალურ კანონს ეფუძნება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულება შესაძლოა სსკ-ით დადგენილი წესებისგან განსხვავებულ დანაწესს ითვალისწინებდეს. განსახილველ შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილი და დამტკიცებული არ არის ის ფაქტები, თუ რა ვალდებულებებს ითვალისწინებდა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება, რაც შემსყიდველის იურიდიული ინტერესი იყო.

13. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

13.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ივლისის განჩინებით შემსყიდველის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

13.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით შემ-

სყიდველის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის [საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ გასაჩივრებულთა განჩინება დაუხსრნებელი გადანყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ] საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მოპასუხის საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის მასალების არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ საფუძვლიანია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

14. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამონებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის პრეტენზიათა ნაწილი დასაბუთებულია, რის გამოც არსებობს საკასაციო გაცხადის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

15. იმისათვის, რათა სასამართლომ დაუხსრნებელი გადანყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა მოიაზრებს სასამართლოს მხრიდან დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომლებიც დავის გადანყვეტის ფუნდამენტს წარმოადგენენ და იძლევიან ამა თუ იმ ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების აბსტრაქტულ შემადგენლობას. ნორმის მოძიების შემდეგ სასამართლო ადგენს, სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ აღწერილობას აკმაყოფილებენ თუ არა, რაც დაუხსრნებელი გადან-

ყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის წარმატების საფუძველია (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02.03.2017წ; პ.202).

16. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა, თავის მხრივ, მოიაზრებს მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურსამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრასა და იმის უტყუარად შემოწმებას, სარჩელში მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასება იძლევა თუ არა მოთხოვნის მომწესრიგებელი მატერიალური ნორმის შემადგენლობას. მითითებულ წინაპირობათაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა, იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმასა და საქმის არსებითად განხილვის აუცილებლობას, იმ განსხვავებით, რომ ასეთ დროს მოპასუხისაგან მტკიცებულებების მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს (სუსგ №ას-535-509-2013, 24.03.2014წ.).

17. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მიმწოდებლის სარჩელში მითითებული გარემოებები სასარჩელო მოთხოვნას იურიდიულად ამართლებენ ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

17.1. სარჩელის წარდგენის წინაპირობა გახდა ის გარემოება, რომ მიმწოდებელს შემსყიდველის სასარგებლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო პირგასამტეხლოს გადახდა დაეკისრა და ჩამოეჭრა კიდეც. პირგასამტეხლოს ოდენობამ 62 558 ლარი შეადგინა, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასრულებელი ვალდებულების მთლიანი ღირებულების – 3 310 000 ლარის 0.07 %-ისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარღვეული ვადის – 27 დღის ნამრავლია;

17.2. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მას პირგასამტეხლო არ უნდა გადაეხადა, რადგან ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება მიმწოდებლის ბრალით არ იყო გამოწვეული და ვალდებულების დარღვევა იმ ობიექტურმა გარემოებებმა გამოიწვიეს, რაც წინამდებარე გადაწყვეტილების 5.2-5.4 ქვეპუნქტებშია აღნიშნული. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მას უნდა დაუბრუნდეს მოპასუხისათვის გადახდილი პირგასამტეხლო;

17.3. მიმწოდებელი სარჩელში აღნიშნავს, რომ 2015 წლის 20 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება, რომ საან-

გარიშო პერიოდში მის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება – 477 995.41 ლარია. ამ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით მოპასუხეს მის მიერ წარდგენილ შესაგებელში მოსაზრება/პრეტენზია არ გამოუთქვამს, რაც საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს სარჩელში მითითებული ეს გარემოება, საქმის სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი განხილვის ეტაპზე სარჩელის იურიდიული გამართულობის შემოწმებისას, დადგენილად მიიჩნიოს და, ამ ნაწილში, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას საფუძვლად დაუდოს;

17.4. სსკ-ის 417-ე მუხლის თანახმად, მოვალემ პირგასამტეხლო უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. შესაბამისად, მოვალეს პირგასამტეხლოს გადახდა იმ ვალდებულებისათვის არ უნდა დაეკისროს, რაც შესრულებულია. ამგვარი სახელშეკრულებო დათქმა კანონის დანაწესს ეწინააღმდეგება და ვერც სსკ-ის 319.1 მუხლით დადგენილი ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპით გამართლდება, რადგან აღნიშნული პრინციპი კეთილსინდისიერების ფარგლებში მოქმედებს;

17.5. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს თავად მიმწოდებლის (მოსარჩელის) სააპელაციო საჩივარზე, სადაც ეს უკანასკნელი თვითონვე აღნიშნავს, თუ როგორ უნდა მომხდარიყო სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირება, კერძოდ, მისი გაანგარიშებით, 2015 წლის 23 ნოემბრის მდგომარეობით მიმწოდებლის მიერ შესასრულებული ვალდებულება 477 995.41 ლარს შეადგენდა, რის გამოც ამ თანხისათვის გათვალისწინებული პირგასამტეხლო – 477 995.41 ლ. * 0.07 % * 27 დღე = 9034.11 ლარი უნდა გამოაკლდეს შემსყიდველისათვის (მოპასუხისათვის) გადახდილ პირგასამტეხლოს და მოსარჩელეს (მიმწოდებელს) უნდა დაუბრუნდეს (იხ. სააპელაციო საჩივარი). საკასაციო სასამართლო აპელანტის ამ პოზიციის გათვალისწინებით, სადაც იგი ადასტურებს ხელშეკრულების დარღვევას და შესასრულებელი ვალდებულების მოცულობიდან გამოითვლის მხარეთა შორის შეთანხმებულ პირგასამტეხლოს, ნაწილობრივ დასაბუთებულად მიიჩნევს შემსყიდველის (მოპასუხის) საკასაციო პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინების გასაჩივრების კონტექსტში; შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მიმწოდებლის მიერ სარჩელით მოთხოვნილ 62 558 ლარს უნდა გამოკლდეს 9034.11 ლარი და ამ ოდენობის თანხის დაბრუნება უნდა დაეკისროს მოპასუხეს მოსარჩელის სასარ-

გებლოდ, ხოლო დარჩენილი 53 523.89 ლარის, როგორც შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის დასაბუთებულად [ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის] დაკისრებული პირგასამტეხლოს დაბრუნების ნაწილში, სარჩელი უარყოფილია. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული გამართულობის თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის საფუძვლები და პრეტენზიები ჯეროვნად არ შეუმონმებია სააპელაციო სასამართლოს.

17.6. შესრულების ვალდებულება, პირველ რიგში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას გულისხმობს. ამავდროულად, პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობისას წარმოიშობა ნაწარმოები შესრულების (ზიანის ანაზღაურება, პირგასამტეხლო) ვალდებულება. სსსკ-ის 361.2 მუხლის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურებიან და რომელთა შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. ასეთ საშუალებათა რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება პირგასამტეხლო (იხ. სუსგ №ას-1220-1480-09, 25.05.2010 წ.).

18. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან.

19. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – მის შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალ-

დებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.

20. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. რადგანაც არ იკვეთება საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობები, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს დავა სსსკ-ის 230.2 მუხლის წინაპირობების შემონიშნების საფუძველზე და ფარგლებში.

21. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული. აღნიშნული მუხლის დანაწესის შესაბამისად მოსარჩელეს, მოპასუხის სასარგებლოდ, და მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრება მათ მიერ დაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციული სახელმწიფო ბაჟის გადახდა (იხ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტები).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე და 53-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ს-ოს მ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. შპს „მ-ი 80“-ის სასარგებლოდ შპს „ს-ოს მ-ისათვის“ 53 523.89 ლარის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

2.1. შპს „მ-ი 80“-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს 53 523.89 ლარის (ორმოცდაცამეტი ათას ხუთას ოცდასამი ლარისა და ოთ-

- ხმოცდაცხრა თეთრის) შპს „მ-ისათვის“ დაკისრების ნაწილში;
- 2.2. შპს „მ-ი 80“-ის სარჩელი შპს „ს-ოს მ-ისათვის“ 9034.11 ლარის (ცხრა ათას ოცდათოთხმეტი და თერთმეტი თეთრის) დაკისრების ნაწილში დარჩეს უცვლელად.
3. შპს „მ-ი 80“-ს შპს „ს-ოს მ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს საკასაციო საჩივრისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 2 676.19 ლარის (ორი ათას ექვსას სამოცდათექვსმეტი ლარი და ცხრამეტი თეთრი) ანაზღაურება;
4. შპს „ს-ოს მ-ას“ შპს „მ-ი 80“-ის სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელზე და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 632.38 ლარის (ექვსას ოცდათორმეტი ლარი და ოცდათვრამეტი თეთრი) ანაზღაურება;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირგასამტახლო

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-688-688-2018

20 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ნ. ბაქაძური**

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

**აღწერილობითი ნაწილი:
სასარჩელო მოთხოვნა:**

1. შპს „მ.-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „G-ის“ (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ მხარეთა შორის არსებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, 65 054,11 ლარის, იურიდიული მომსახურების საფასურის – 3 500 ლარისა და ექსპერტიზის ჩატარების ხარჯის – 400 ლარის გადახდის შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2014 წლის 15 აპრილსა და 2014 წლის 3 ივლისს მხარეთა შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვე-

ბის შესახებ №.. და №.. ხელშეკრულებები ხულოს მუნიციპალიტეტში, გოდერძის უღელტეხილზე სამთო-სათხილამურო კურორტის საკანალიზაციო ქსელისა და სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის სამუშაოების განხორციელების თაობაზე და გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე სამთო-სათხილამურო კურორტის ქვედა დასახლებაში კურორტის მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით.

3. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მოსარჩელემ განახორციელა 1 000 000 ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოები. 2014 წლის 1 ნოემბრიდან გოდერძის უღელტეხილზე შექმნილი რთული კლიმატური პირობების გამო, სამუშაოები შეჩერდა, რის თაობაზეც ეცნობა მოპასუხეს. ამასთან, მოპასუხე მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, 20 დღეზე მეტი დროით გადაიკეტა სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი ერთადერთი გზა. აღნიშნული გარემოებების მიუხედავად, მოპასუხემ უსაფუძვლოდ დააკისრა მოსარჩელეს პირგასამტეხლოს სახით 21 531.6 ლარი.

4. ხელგაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა აღნიშნულ საკითხზე მოსარჩელის მიერ წარდგენილი სარჩელი, რა დროსაც სასამართლომ სრულად გაითვალისწინა მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით და მოპასუხე მხარე დაავალდებულა, აენაზღაურებინა უსაფუძვლოდ დაკავებული პირგასამტეხლო მოსარჩელისათვის. მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

5. აღნიშნულის მიუხედავად, მოპასუხე მაინც ცდილობს მისი მოსაზრებით წარმოშობილი პირგასამტეხლოების საშუალებით გამოუქვითოს მხარეს ასანაზღაურებელი თანხა, კერძოდ, 2015 წლის 24 დეკემბრის 206 კორესპოდენციით (ამ პერიოდისათვის მხარეთა შორის სასამართლო დავა მიმდინარეობდა) მან აცნობა მოსარჩელე მხარეს იმის თაობაზე, რომ მას, 2014 წლის №.. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, კიდევ წარმოემვა პირგასამტეხლოს დაკისრების ვალდებულება და მოახდინა 6 399 ლარის დაკავება, ხოლო 2014 წლის 3 ივლისის №.. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მან სრულიად უსაფუძვლოდ დააკავა პირგასამტეხლოს სახით 29 794 ლარი. მოპასუხემ უსაფუძვლოდ დააკავა სულ 36 193 ლარი იმ მოტივით, რომ მას გააჩნდა პირგასამტეხლოს დაკისრების ვალდებულება.

6. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებების ფარგლებ-

ში მოპასუხემ განცხადება წარადგინა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“, რითაც მოითხოვა მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში გაკეთებული სამუშაოების ფაქტობრივი მოცულობის რაოდენობისა და ღირებულების დადგენის უზრუნველყოფა, თუმცა ექსპერტიზას სრულყოფილად არ წარუდგინა ის დოკუმენტები, რომლითაც სრულად დადგინდებოდა მისი მარწმუნებლის მიერ განეული სამუშაოების ფაქტიური მოცულობა, რაოდენობა და ღირებულება.

7. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მოპასუხემ არ წარადგინა ის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და შეთანხმება, რომელიც ორივე მხარის მიერ მონონებული და ხელმოწერილი იყო. ამასთან, მხარეთა შორის არსებულ მიმონერებში ნათლად ჩანს, რომ მოპასუხე პირდებოდა მოსარჩელეს, განსახორციელებელი სამუშაოების შესრულებაში რაიმე სახის ცვლილებების არსებობისას საბოლოოდ აენაზღაურებინა ფაქტობრივად განეული სამუშაო, რაზეც საბოლოოდ მან უარი განაცხადა.

8. მოპასუხე ხშირ შემთხვევაში კვირაობით აგვიანებდა ისეთი სახის კორესპონდენციაზე პასუხის მიწერას, რომელიც მნიშვნელოვანი იყო აღებული სამუშაოს დროულად შესრულებისათვის. მაგალითად, როდესაც მოსარჩელე ითხოვდა ასაშენებელი სახლის სახურავის საკითხის გადაწყვეტას, მოპასუხე 75 დღეზე მეტი დასჭირდა პასუხის გასაცემად, რამაც შეაფერხა, როგორც სახურავის გაკეთება, ასევე, შიდა სამუშაოების წარმოება. რადგან სახურავის გადახურვის გარეშე ვერ დაიწყებოდა შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები. ზემოთ აღნიშნული გარემოებების გამო, მოსარჩელე იძულებული გახდა, საქმეზე ჩაეტარებინა ექსპერტიზა გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით, რაზეც 2016 წლის 4 ივლისის №.. დასკვნით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ“ დაადგინა, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილ კორექტირებულ ხარჯთაღრიცხვაშიც, რომელიც მონონებული და ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მითითებულია, რომ მას უნდა დაემზადებინა 105 ცალი რკინა-ბეტონის რგოლი. ასევე, დადგინდა, რომ ფასადის ფითხით დამუშავება გააუმჯობესებდა (არ გააუარესებდა) სამუშაოს ხარისხს.

9. მოსარჩელის წერილობითი თუ ზეპირი მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხემ უარი განაცხადა არსებული დავალიანების გადახდაზე.

10. მოპასუხის მიერ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზეც 2016 წლის 17 მაისის ექსპერტიზის დასკვნით დადგე-

ნილია, რომ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ, 2014 წლის 15 აპრილის №.. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეადგინა 682 764. 53 ლარი დღგ-ს ჩათვლით, ხოლო 2014 წლის 3 ივლისის №.. ხელშეკრულების ფარგლებში ფაქტობრივად შესრულებულმა სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 660 673,53 ლარი დღგ-ს ჩათვლით. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე დღეის მდგომარეობით მოპასუხეს მოსარჩელეს მიმართ გააჩნია 65 054.11 ლარის დავალიანება.

მოპასუხის პოზიცია:

11. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მხარეთა შორის არსებული ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბება, მხარეთა შეთანხმების გარეშე, დაუშვებელია და განიხილება ხელშეკრულების ცვლილებად, ხოლო ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება განიხილება მხარეთა ნებად, რომელიც უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებების მე-12 პუნქტში მოცემული შესაბამისი წესების დაცვით.

12. მოპასუხის განმარტებით, ცალკეული სამუშაოები და მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულებები განსაზღვრულია ელექტრონულ ტენდერში წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაში უშუალოდ მოსარჩელის მიერ. მან დამოუკიდებლად დაადგინა შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება სრულად (როგორც მთლიანი, ასევე, ცალკეული სამუშაოების ღირებულებები), კერძოდ, სატენდერო წინადადებით წარმოადგინა თავის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვები. ამდენად, კონკრეტული სამუშაოს საბაზრო ღირებულების არასწორად განსაზღვრის პირობებში მას არა აქვს უფლება, საკუთარი წინდაუხედაობისა და სათანადო ცოდნა/გამოცდილების უქონლობის გამო, მოსთხოვოს შემსყიდველს მის მიერ ხარჯთაღრიცხვაში მითითებულ ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას შორის სხვაობის ანაზღაურება.

13. პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დაკავებული თანხა, რომელიც ეხებოდა 2014 წლის პერიოდს, გადახდილია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ და აღნიშნული პერიოდის ფორსმაჟორული გარემოება არავითარ კავშირში არ არის მოცემული პერიოდის შემდეგ მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადის დარღვევასთან, ვინაიდან აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ მოსარჩელემ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადები, რის გამოც დაეკისრა პირგასამტეხლო.

14. მხარეთა შორის 2014 წლის 15 აპრილსა და 2014 წლის 3

ივლისის სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების მე-5 პუნქტით განისაზღვრა შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი. ამავე პუნქტის 5.5. პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ „შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, შესრულებული სამუშაოების მოცულობა, რაოდენობა და ღირებულება წარმოდგენილი აქტების (ფორმა №2) გათვალისწინებით, შემსყიდველის მიმართვის საფუძველზე უნდა დადასტურდეს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ საექსპორტო დასკვნით, ხოლო, 5.6 პუნქტის შესაბამისად, „საექსპერტო დასკვნის მოპოვებამდე, შემსყიდველი ახდენს შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების შეჩერებას“. შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეთანხმებისამებრ მიმართა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“, საიდანაც მიღებულ იქნა საექსპერტო დასკვნა, რომლითაც დადგინდა, რომ 2014 წლის 15 აპრილს გაფორმებული №.. ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული სამუშაოების ღირებულება მოსარჩელის მიერ ანაზღაურებაზე წარმოდგენილი №2 ფორმების გათვალისწინებით შეადგენს 662 086.17 ლარს დღგ-ს ჩათვლით, ხოლო ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება – 660 673,53 ლარს, 2014 წლის 3 ივლისს გაფორმებული №.. ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული სამუშაოების ღირებულება ანაზღაურებაზე წარმოდგენილი №2 ფორმების გათვალისწინებით შეადგენს 685 196,73 ლარს დღგ-ს ჩათვლით, ხოლო შესრულებული სამუშაოების ღირებულება – 682 764.53 ლარს. შესაბამისად, უტყუარად დგინდება, რომ შემსრულებლის მიერ მოწოდებული №2 ფორმებით გათვალისწინებულ ღირებულებაზე ნაკლები ღირებულების სამუშაოები რეალურად შესრულდა.

15. მოპასუხის მოსაზრებით, მოსარჩელემ ხელშეკრულებების 5.12 და 5.13 პუნქტები არასწორად განმარტა, ვინაიდან მოპასუხის მიერ ხელშეკრულებების 4.4. პუნქტის შესაბამისად, დაკავებულია სამუშაოთა საერთო ღირებულების 5%-მდე თანხა, რომლის ნახევარიც გადახდილ უნდა იქნას საექსპორტო დასკვნის შედგენის შემდეგ დადგენილი ფასის შესაბამისად, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების დაკორექტირებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ (პუნქტი 4.5, 4.6.), რაც დღეის მდგომარეობითაც არ არის განხორციელებული და შედგენილი, შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტების გაფორმების შემდეგ წარმოიშვა ვალდებულება, დაკავებული თანხის გადარიცხვა განხორციელდეს 4.5. პუნქტით გათვა-

ლისწინებული ოდენობითა და პერიოდულობით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

16. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მხარეთა შორის არსებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, 30 000 ლარის გადახდა, იურიდიული მომსახურების საფასურის სახით 1 200 ლარისა და ექსპერტიზის ჩატარების ხარჯის – 400 ლარის გადახდა, მოსარჩელეს უარი ეთქვა მხარეთა შორის არსებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე 65 054,11 ლარის გადახდისა და იურიდიული მომსახურების საფასურის – 3 500 ლარის გადახდის ნაწილში, რაც ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

17. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კალატის 2018 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მხარეთა შორის არსებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, 37 487.53 ლარის, საპროცესო ხარჯის სახით 2624 ლარის, იურიდიული მომსახურების – 2000 ლარის, ხოლო ექსპერტიზის ხარჯის – 400 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

18. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოდავე მხარეთა შორის 2014 წლის 15 აპრილს და 2014 წლის 3 ივლისს დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №.. და №.. ხელშეკრულება ხულოს მუნიციპალიტეტში, გოდერძის უღელტეხილზე სამთო-სათხილამურო კურორტის საკანალიზაციო ქსელისა და სამეურნეო ფეკალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის სამუშაოების განხორციელების თაობაზე და გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე სამთო-სათხილამურო კურორტის ქვედა დასახლებაში კურორტის მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით.

19. 2013 წლის 15 აპრილის №.. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრა 717 717 ლარით. 2014 წლის 3 ივლისის

№.. ხელშეკრულების ღირებულება, 3.1. პუნქტის თანახმად, – 661 026 ლარით, როგორც №.., ასევე №.. ხელშეკრულებებში მხარეებმა გაითვალისწინეს ანგარიშსწორების ფორმა, რაც ითვალისწინებდა ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ანგარიშსწორებას. ასევე, განსაზღვრეს შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი.

20. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №.. ხელშეკრულების 5.5. პუნქტის თანახმად, შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შესრულებული სამუშაოების მოცულობა, რაოდენობა და ღირებულება წარმოდგენილი აქტების გათვალისწინებით (ფორმა №2) შემსყიდველის მომართვის საფუძველზე უნდა დადასტურებულიყო სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საექსპერტო დასკვნით. შემსყიდველი უფლებამოსილია, შეაჩეროს ანგარიშსწორება ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 5%-ის ოდენობით.

21. ხელშეკრულებით მხარეებმა გაითვალისწინეს არაერთი სახის პირგასამტეხლო. 10.1. პუნქტით მიმწოდებელს 6.2. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

22. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 25 ნოემბრამდე პერიოდი. მხარეთა შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №... ხელშეკრულებაში სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი ანალოგიურად განისაზღვრა (5-5 პუნქტი). 5.12. პუნქტით დადგინდა პირგასამტეხლოს დარიცხვის წესიც (10.1. პუნქტი) – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1. %.

23. სამუშაო უნდა შესრულებულიყო 2014 წლის 1 ოქტომბრამდე.

24. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებში არაერთგზის შევიდა ცვლილებები, რომელიც შეეხო, როგორც ვალდებულების შესრულების ვადას, ისე ხელშეკრულების საერთო ღირებულებებს, სახელდობრ: ხელშეკრულებებმა ცვლილებები შევიდა (შეთანხმებით) 2014 წლის 24 ნოემბერს, 2015 წლის 16 ივნისს და 2015 წლის 2 ნოემბერს.

25. ცვლილებათა თანახმად, 2014 წლის 3 ივლისის №.. ხელშეკრულების შესრულების ბოლო ვადად განისაზღვრა 2015 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდი, ხოლო ხელშეკრულების (№..)

საერთო ღირებულებად დადგინდა 662 086.71 ლარი.

26. ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობის დადგენის მიზნით, 2016 წლის 17 მაისს მოპასუხის მოთხოვნის საფუძველზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ“ გასცა დასკვნა, რომლის თანახმად: გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამთო-სათხილამურო კურორტის საკანალიზაციო ქსელის და სამეურნეო ფეკალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მოწყობით, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 682 764.53 ლარი, ხოლო სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის მოსამსახურე პერსონალის საცხოვრებელი სახლის ფაქტიურად შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულებამ – 660 673.5 ლარი.

27. ექსპერტიზის დასკვნაში აღწერილია, რომ საკვლევ ტერიტორიაზე დალაგებულია რკინა-ბეტონის 40 ცალი (38) რგოლი, რომელიც უშუალოდ ტერიტორიაზეა. ეს სამუშაო არ არის გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვით და დანართში არ ასახულა.

28. ექსპერტი დასკვნაში მიუთითებს, რომ „აივნის ძირები არ არის გალესილი, არამედ დამუშავებულია ფითხით და შეღებილია“. კურორტ გოდერძის მოსამსახურე პერსონალის საცხოვრებელი სახლის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 660 673 ლარს, რაც 662 086.71 – 660 673.53 = 1413.18 ლარით ნაკლებია წარმოდგენილ №2 აქტებში ასახული სამუშაოების ღირებულებებზე.

29. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ცვლილებები შეეხო №.. ხელშეკრულებასაც, მისი საერთო ღირებულება განისაზღვრა 693 531,76 ლარით, ხოლო მოქმედების ვადა – 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

30. 2016 წლის 4 ივლისს სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიმართა მოსარჩელემ და, თავის მხრივ, შეეცადა მოპასუხისათვის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების დადგენას. ამასთან, მის მიერ ექსპერტის წინაშე დასმული შეკითხვები გამომდინარეობდა ექსპერტიზის ბიუროს 2016 წლის 17 მაისის დასკვნის შინაარსიდან, მოპასუხის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნიდან, სადაც შესრულებულ სამუშაოებში არ იყო ჩათვლილი რკინა-ბეტონის რგოლები (40 ცალი), რომლებიც ტერიტორიაზე იყო განთავსებული, ასევე, ყურადღება იყო გამახვილებული, რომ აივნის ძირები დამუშავებულია ფითხით და არ არის შეღესილი. ექსპერტის წინა-

შე დასმული იყო კითხვა: ფითხით შელესვამ გააუმჯობესა თუ გააუარესა ნაგებობის საექსპლუატაციო მახასიათებლები. დასკვნის თანახმად: ფორმა და ხარჯთაღრიცხვა, სადაც რკინაბეტონის რგოლებია აღწერილი ხელმოწერების გარეშეა და დადასტურებელია დამკვეთის (მოპასუხის) სველი ბეჭდით. რაც შეეხება მეორე კითხვას, ექსპერტის დასკვნის თანახმად, უნდა ჩაითვალოს თუ არა რგოლების ღირებულება შესრულებულ სამუშაოში, იგი სცილდება ინჟინერ ექსპერტის კომპეტენციას და სამართლებრივი შეფასების სფეროს განეკუთვნება.

31. აივნის ძირების ფითხით დამუშავებასთან დაკავშირებით (რაც არ იყო შეთანხმებული შემსყიდველ ორგანიზაციასთან) ექსპერტიზამ განმარტა, მისი ღირებულება უფრო ძვირია, ვიდრე ჩვეულებრივი ლესვითი სამუშაოებისა.

32. ხელშეკრულებიდან გამომდინარე საკითხებთან დაკავშირებით საქმეში წარმოდგენილია არაერთი მიმონწერა მხარეთა შორის, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია 2015 წლის 24 დეკემბრის №206 კორექსონდენცია, (წერილი), რომელითაც მოპასუხე მიმართავს მოსარჩელის უფლებამოსილ პირს. მითითებულ წერილში მოპასუხე საბოლოო შეჯამებას, შეფასებას ახდენს (რა თქმა უნდა, თავისი აზრით, მართებულს) მხარეთა შორის საბოლოოდ არსებულ ვითარებაზე. წერილის თანახმად: „სამშენებლო სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულებულ იქნა 2015 წლის 1 ოქტომბრისათვის, თქვენს მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების ფორმებში შეტანილია 98 ცალი რკინა-ბეტონის რგოლის დამზადების ღირებულება. ჭების მოწყობის სამუშაოებისათვის კი გამოყენებულია 65 ცალი რკინა-ბეტონის რგოლი, შესაბამისად, 33 რგოლის ღირებულება ანაზღაურებას არ ექვემდებარება“ (რგოლების ღირებულების ანაზღაურება ერთ-ერთი სადავო საკითხია მხარეთა შორის).

33. წერილში ასევე დაფიქსირებულია, რომ 2014 წლის 15 აპრილის №.. ხელშეკრულებით და მხარეებს შორის 2015 წლის 16 ივნისს მიღწეული შეთანხმებით სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდი. მოპასუხის განმარტებით, სამუშაოები დასრულდა 2015 წლის 7 ოქტომბერს. შესაბამისად, ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაა 36 დღე. ვადაგადაცილებით შესრულებული ვალდებულების ღირებულება შეადგენს 177 763.31 ლარს (№.. ხელშეკრულებიდან გამომდინარე), ამდენად, დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა 0.1%-ის გათვალისწინებით 36 დღეზე 6399 ლარია, რომელიც 0.1%-ზე გაანგარიშებით სწორადაა გამოქვითული შეს-

რულეზული სამუშაოს ღირებულებიდან.

34. რაც შეეხება №.. ხელშეკრულებას, აქ სამუშაოები დასრულდა 16 ოქტომბრისათვის, შესაბამისად, ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა შეადგენს 45 დღეს, პირგასამტეხლოს ოდენობა კი ხელშეკრულების ღირებულების გათვალისწინებით (662 086,71 ლარი) 0.1% – 29 794 ლარს, რაც ასევე გამოქვითულია სამუშაოს ასანაზღაურებელი ღირებულებიდან.

35. ნიშანდობლივია, ყურადსაღები და დადგენილი ფაქტი, რომ მოპასუხემ პირგასამტეხლო, №... ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების ოდენობიდან დაიანგარიშა, ხოლო №... ხელშეკრულებასთან მიმართებით კი, არა შეუსრულებელი, არამედ ხელშეკრულების მთლიანი ღირებულებიდან.

36. სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დაადგინა, რომ მოსარჩელის მიერ აღძრული სასარჩელო მოთხოვნა მოიცავს 65 054 ლარს.

37. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე სასამართლოს შეკითხვაზე, თუ რისგან შედგება სარჩელით მოთხოვნილი თანხა, 65 054 ლარი, მოსარჩელის წარმომადგენელმა განმარტა და დააზუსტა, რომ აღნიშნული თანხა მოიცავს მის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებას, რაც არ გადაუხადა მოპასუხეს, მათ შორის, პირგასამტეხლოს სახით არასწორად დაკავებულ თანხას ორთავე ხელშეკრულებიდან გამომდინარე (№... ხელშეკრულებიდან 6399 ლარს და №... ხელშეკრულებიდან 29794 ლარს) სულ – 36 193 ლარს. ასევე, 40 ცალი რკინა-ბეტონის რგოლის ღირებულებას და აივნის ძირების ფითხით დამუშავების ღირებულებას.

38. მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, მოპასუხეს არ უნდა გამოეკლო მისთვის განკუთვნილი და მისაღები შესრულებული სამუშაოს ღირებულებისთვის პირგასამტეხლოს თანხა, რადგან იგი არის, პირველ რიგში, შეუსაბამოდ მაღალი, უკიდურეს შემთხვევაში მისი დაანგარიშება უნდა მომხდარიყო შეუსრულებელი ვალდებულებიდან და არა ხელშეკრულების მთლიანი ღირებულებიდან, ამასთან, მოსარჩელე არ უარყოფს, რომ ვადის გადაცილებას მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამაში მხოლოდ თვითონ არ არის ბრალეული, რადგან ხშირ შემთხვევებში სამუშაოს დროულად დასრულებას თავად მოპასუხე უშლიდა ხელს პასუხების დაყოვნებით.

39. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ რკინა-ბეტონის 40 ცალი რგოლი ნამდვილად არის მათ მიერ შესრულებული სამუშაო, რომელიც ხარჯთაღრიცხვითაც იყო გათვალისწინებული, შესაბამი-

სად, მისი ღირებულება მოპასუხემ უნდა აანაზღაუროს. რაც შეეხება ფითხით აივნის ძირების დამუშავებას, მართალია, იგი არ იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული (გათვალისწინებული იყო ჩვეულებრივი შელესვა), მაგრამ ამგვარმა დამუშავებამ გააუმჯობესა შენობის საექსპლუატაციო ღირებულება, ამდენად, იგი უთუოდ არის შესრულებული სამუშაო და მისი ღირებულება უნდა ანაზღაურდეს თუნდაც იმ ოდენობით, რაც ლესვითი სამუშაოებისთვის იყო გათვალისწინებული.

40. რაც შეეხება რკინა-ბეტონის რგოლებს, მოსარჩელის განმარტებით, 40 ცალი რკინა-ბეტონის რგოლის ღირებულება 8647.2 ლარია და ეს უდავო ფაქტობრივი გარემოებაა. გამომდინარე იქედან, რომ №206 კორესპონდენციაში, რომლის ავტორიც, თავად მოპასუხეა, მის მიერვე 33 ცალი რკინა-ბეტონის რგოლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 7124.35 ლარადაა შეფასებული, რაც თავისთავად გვაძლევს 40 ცალის ღირებულების განსაზღვრის შესაძლებლობას. $7124.35 \text{ ლარი} / 33 \text{ ცალზე} = 216.18 \text{ ლარს}$, ხოლო $40 \text{ ცალის ღირებულება კი } (40 * 216.18 = 8647.2)$ არის 8647.2 ლარი.

41. სააპელაციო პალატამ გაიზიარა აღნიშნული შეფასება და არგუმენტაცია რგოლების ღირებულების დადგენასთან მიმართებით.

42. სააპელაციო პალატამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ 36 193 ლარის ღირებულების (ანუ პირგასამტეხლოს სახით დაკავებული თანხის) სამუშაოები მოსარჩელემ მოპასუხისათვის შეასრულა. ამის დასტურია, უპირველესად, ისევე თავად მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის მიწერილი წერილი, რომლის თანახმად 6399 ლარი და 29 794 ლარი არის დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა და იგი გამოქვითულია შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი ღირებულებიდან.

43. 2014 წლის 15 აპრილის №.. ხელშეკრულებიდან ვადაგადაცილების დროისათვის ე.ი. 2015 წლის 1 სექტემბრისათვის შესასრულებელი იყო 177 763,31 ლარის ღირებულების სამუშაო (იხ. 2015 წლის 24 დეკემბრის №206 წერილი, რომლითაც მოპასუხემ მიმართა მოსარჩელეს).

44. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია, პირიქით, იგი ერთ-ერთ უმთავრეს მტკიცებულებად სწორედ ამ წერილს იშველიებს. (თუმცა ვადაგადაცილებაში ბრალეულად მოპასუხესაც მიიჩნევს).

45. რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რა ოდენობის სამუშაო იყო შეუსრულებელი 2014 წლის 3 ივლისის №... ხელშეკრულებიდან, ამაზე პასუხსაც თავად მოპასუხის მიერ მო-

სარჩელისათვის გაგზავნილი წერილი იძლევა (№206), რომლის თანახმადაც სამუშაოების ძირითადი ციკლი 2015 წლის 1 ოქტომბერს დასრულდა, რაც მხარეთა არაერთი წერილით დასტურდება. 7 ოქტომბერს ინსპექტორების ჯგუფის მიერ ობიექტზე არსებული მდგომარეობის შესწავლით დადგინდა, რომ რიგი სამუშაოები არ იყო შესრულებული. აივანზე ხის მოაჯირების მოწყობა და მეორე სართულის გარე კედლების, ფრონტონების და სახურავქვეშა ნაწილის ხის ლარტყების შემოსვა, აივნების ძირების შელესვა, სართულშუა გადახურვის დონეზე არსებული გამყოფი ზოლის და აივნების ძირების სამღებრო სამუშაოები, გათბობის ქვაბის სამონტაჟო სამუშაოები დასრულდა 2015 წლის 16 ოქტომბრისათვის, ამასვე ადასტურებს მხარეთა შორის 2015 წლის 16 ოქტომბრის №-1 და №1610/15-1 კორესპონდენცია. იმის გასარკვევად, თუ რა ღირებულებისაა ვადაგადაცილებით შესრულებულ ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაო, სააპელაციო პალატამ მოიხმო საქმეში წარმოდგენილ №.. ხელშეკრულების №1 ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა, რომლის თანახმადაც №206 კორესპონდენციაში, ასევე, თავად მოსარჩელის 2015 წლის 16 ოქტომბრის წერილში ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების ღირებულება შეადგენს: აივანზე და კიბეზე ხის დეკორატიული მოაჯირის მოწყობა – 1485 ლარს (ჩამონათვალში პუნქტი №55); გარე კედლების, ფრონტონების და აივნის ძირების შელესვის ღირებულება – 6186,94 ლარს (პუნქტი 62); მეორე სართულის გარე კედლების, ფრონტონების და სახურავქვეშა ნაწილის შემოსვა თერმულად დამუშავებული მაგარი ჯიშის ხის ლარტყებით ღირებულება – 11 119,95 ლარი (პუნქტი 65); სართულშუა და სასხვენო გადახურვის დონეზე გამყოფი ზოლის მოწყობა (ღირებულებით 3149,83 პუნქტი 63). გათბობის ქვაბის სამონტაჟო სამუშაო მის სრული ციკლი ღირებულებით 14669.64; (გათბობის ლოკალურ-რესურსური ხარჯთაღრიცხვა №3).

46. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ შევაჯამებთ №... ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვადაგადაცილებით შეუსრულებელ სამუშაოთა ღირებულებას, იგი 36611,36 ლარის ტოლია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის – 45 დღის გათვალისწინებით 0.1%-ის პირგასამტეხლოს ოდენობა იქნება 1647,5 ლარი (ნაცვლად გამოქვეითული 29794 ლარისა), რომელიც მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულებიდან იქნა გამოქვეითული და არა ვადის გადაცილებით შესრულებული სამუშაოს, ე.ი. ღირებულებიდან 36 611.36 ლარიდან.

47. ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვადაგადაცილებისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა ორივე ხელშეკრულებიდან გამომდინარე 8046.9 ლარია ($1647.5 + 6399$ ლ).

48. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ პირგასამტეხლოს ანგარიშში მოპასუხემ მოსარჩელეს გაუქვითა 36 193 ლარი, 8046.9 ლარის ნაცვლად, ანუ პირგასამტეხლოს სახით დაკავებული თანხიდან მოპასუხემ მოსარჩელეს არასწორად დაუკავა და დაუქვითა ($36193 - 8046,9 = 28146,1$) 28146,1 ლარი.

49. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ასევე საფუძვლიანია მოთხოვნა აივნის ძირების ფითხით დამუშავებისთვის, რადგან ექსპერტიზის დასკვნის თანახმად ფითხით ლესვამ შენობის საექსპლუატაციო მონაცემები გააუმჯობესა, ანუ შედეგი მოპასუხემ მიიღო უკეთესი, ვიდრე მიიღებდა მაშინ, მოსარჩელეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩვეულებრივი ლესვა, რომ ეწარმოებინა. ამ გარემოების გათვალისწინებით, მოპასუხეს უნდა დაეკისროს ის თანხა, რაც გათვალისწინებული იყო არა ფითხით, არამედ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩვეულებრივი ლესვისათვის, ხოლო იმ სხვაობის (მეტობით) დაკისრებაზე, რაც ფითხით დამუშავებამ გამოიწვია და არ იყო შეთანხმებული, უნდა ეთქვას უარი.

50. საქმეში წარმოდგენილია ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა, რომლის თანახმადაც, გარე კედლების, ფრონტონების და აივნის ძირების ლესვის ღირებულებაა 6673,66 ლარი (პუნქტი 62) და გამყოფი ზოლის და აივნის ძირების დამუშავება და შეღებვა წყალმდეგი საღებავით ღირებულებით 928,87 ლარი (პუნქტი 64), რაც სულ 7602.53 ლარია (ლესვითი სამუშაოების ღირებულება). ანუ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ფითხით დამუშავების სამუშაოების ღირებულების ის ნაწილი, რაც მხარეთა შორის გათვალისწინებული იყო ჩვეულებრივი ლესვისათვის 7602.53 ლარის ოდენობით.

51. სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ ჩათვალა მოთხოვნა გამოუყენებელი 33 ცალი რკინა-ბეტონის რგოლების საფასურის ნაწილში და შესრულებულ სამუშაოდ არ განიხილა. ე.ი სარჩელი საფუძვლიანია $28\ 146 + 7602.53 = 35\ 748.53$ ლარის მოთხოვნის ნაწილში.

52. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 417-ე, 418-ე და 420-ე მუხლების შესაბამისად, პირგასამტეხლოს გონივრული შემოწმების ინდიკატორი ყოველთვის უნდა იყოს ვალდებულების დარღვევის ხარისხი, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა, პირგასამტეხლოს თანხის

მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანთან, კრედიტორის ინტერესი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიმართ, და სხვა. ყველა ზემოაღნიშნული საკითხის შეფასება სასამართლოს საკითხის სამართლიან, გონივრულ, კანონიერ გადაწყვეტაში დაეხმარება.

53. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გონივრული ოდენობა დარღვევის 36-დღიანი ვადის გათვალისწინებით 177763 ლარიდან (№... ხელშეკრულებიდან) 6399 ლარია, შესაბამისად, არ არსებობს მისი შემცირების ობიექტური გარემოება, ასევე, სამართლიანია 36 611.36 ლარიდან (№... ხელშეკრულებიდან) 1647.5 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრება დარღვევის 45-დღიანი პერიოდის გათვალისწინებით და არ არსებობს მისი მეტად შემცირების საფუძველი. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, იგი თანაზომიერია დარღვეულ ვალდებულებებთან მიმართებით.

54. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მხარეებს შორის ურთიერთობა წარმოიშვა ნარდობის საფუძველზე. სსკ-ის 629-ე და 648-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო პალატამ უდავოდ დაადგინა, რომ მოსარჩელემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო (თუმცა ვადაგადაცილებით) შეასრულა და უნდა აუნაზღაურდეს განუყოფელი სამუშაოსათვის საზღაური. მოპასუხე არ უარყოფს, რომ მოსარჩელემ მართლაც გასწია 36199 ლარის (პირგასამტეხლოს სახით გაქვითულ-დაკავებული) სამუშაო, საიდანაც პალატამ დაადგინა, რომ გონივრული და სამართლიანია მხოლოდ 8046.9 ლარის დაკავება, დაქვითვა, როგორც პირგასამტეხლოსი, ხოლო დარჩენილი 28 146.1 ლარი, როგორც უსაფუძვლოდ დაკავებული უნდა აუნაზღაურდეს მოსარჩელეს.

55. ასევე უდავოა, რომ მოსარჩელემ გასწია აივნისა და ფრონტონების დამუშავებისთვის გარკვეული სამუშაო (დაამუშავა იგი ფითხით), რაც მართალია არ იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული (ხელშეკრულებით აივნის ძირების ჩვეულებრივი ლესვა იყო გათვალისწინებული), თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის ამგვარმა მოქმედებამ, გადაწყვეტილებამ გააუმჯობესა (და არ გააუარესა) ზოგადად შენობის საექსპლუატაციო ხარისხი, მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს შესრულებული სამუშაოს ღირებულება, მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ოდენობაც ლესვითი სამუშაოებისათვის იყო გათვალისწინებული, ანუ 7602.53 ლარი.

56. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის მესამე ნაწილს (65

054 ლარიდან) გამოუყენებელი, მაგრამ მოპასუხის ტერიტორიაზე განთავსებული 33 ცალი რკინა-ბეტონის ღირებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ვერ ჩაითვლება შესრულებულ სამუშაოდ და მისი ღირებულების ანაზღაურებაზე მოსარჩელეს უნდა ეთქვას უარი. მოსარჩელის პოზიციას მოთხოვნის ამ ნაწილში დასაბუთებულს ვერ გახდის ის გარემოება, რომ ხარჯთაღრიცხვა (რომელიც ამ 33 რკინა-ბეტონის რგოლების ღირებულებასაც ითვალისწინებდა) დადასტურებულია მოპასუხე ორგანიზაციის სველი ბეჭდით, რამეთუ მოპასუხემ დაადასტურა ის, რაც მოსარჩელემ წარუდგინა, როგორც შესრულებული სამუშაოსათვის აუცილებელი ხარჯთაღრიცხვა, თუმცა გონივრული შეფასებით პალატა დაეთანხმა მოპასუხის იმ შეფასებას, რომ მას არ შეიძლებოდა ზუსტად სცოდნოდა (ხარჯთაღრიცხვის დამონმების დროისათვის) კურორტის საკანალიზაციო ქსელისა და ფეკალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობისათვის ზუსტად რამდენი რგოლი იქნებოდა საჭირო, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ პროექტი არაერთგზის შეიცვალა.

57. რადგან ნარდობის ხელშეკრულება მხოლოდ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებას ითვალისწინებს, იმ რგოლების ღირებულება, რომელიც არ იქნა გამოყენებული შესრულებულ სამუშაოში არ უნდა იქნეს ანაზღაურებული.

58. სსკ-ის 646-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დარჩენილი 33 ცალი რკინა-ბეტონის რგოლი განთავსებულია შემკვეთის ტერიტორიაზე, იგი მოსარჩელეს არ გამოუყენებია, რის გამოც მისი ღირებულების ანაზღაურების დაკისრება მოსარჩელისათვის უკანონო და დაუსაბუთებელია.

59. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 35 748, 53 ლარის გადახდა ($28\ 146.1 + 7602.53 = 35\ 748.53$ ლ).

60. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განჩინებით გასწორდა 2018 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 35 748,53 ლარის, საპროცესო ხარჯის – 2502 ლარის, იურიდიული მომსახურების – 2000 ლარისა და ექსპერტიზის ხარჯის – 400 ლარის გადახდა.

კასატორების მოთხოვნები და საფუძვლები:

61. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მოსარჩელემ შე-

იტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

62. კასატორმა მიიჩნია, რომ, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობიდან გამომდინარე, რომელიც განვითარებული იყო გადანყვეტილებაში, გაცილებით ნაკლები თანხა დააკისრა მონინალმდეგე მხარეს. არითმეტიკული გამოთვლის შესაბამისად, თავდაპირველ სასარჩელო მოთხოვნას – 65054,11 ლარს (რომელიც შედგებოდა 36193 ლარიდან – მონინალმდეგე მხარის მიერ შესრულებული სამუშაოდან გამოქვითული პირგასამტეხლო + 28861,11 ლარი – შესრულებული სამუშაოები, რომელიც სარჩელის აღძვრის მომენტში კასატორს ეკუთვნოდა) – 8046,9 (სააპელაციო სასამართლოს მიერ შემცირებული პირგასამტეხლოს ოდენობა) – 8647,2 (რკინა-ბეტონის რგოლების ღირებულების ანაზღაურება, რომელიც არ იქნა გაზიარებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ) = 48360,01 ლარს.

63. კასატორის მოსაზრებით, რკინა-ბეტონის რგოლების საკითხში სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მონინალმდეგე მხარის უსაფუძვლო დასაბუთება, რომ მას თავიდანვე არ შეიძლებოდა, სცოდნოდა რა რაოდენობის რკინა-ბეტონის რგოლი დასჭირდებოდა. შესაბამისად, 33 რკინა-ბეტონის რგოლის ღირებულების ანაზღაურების ნაწილში, რომელიც შეადგენდა 8647.2 ლარს (რეალურად აღნიშნული თანხა შეადგენს 7076.14 ლარს), სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა არ გაიზიარა. მოცემული მსჯელობა დაუსაბუთებელია, რადგან სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები.

64. მოპასუხემ ექსპერტიზას სრულყოფილად არ წარუდგინა ის დოკუმენტები, რომლითაც სრულად დადგინდებოდა კასატორის მიერ განეული სამუშაოების ფაქტობრივი მოცულობა, რაოდენობა და ღირებულება, კერძოდ, მოპასუხემ არ წარადგინა ის საბოლოო კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და №2 ფორმა შესრულებულ სამუშაოებზე, რომელშიც შესული იყო რკინა-ბეტონის რგოლები, მონონებული და ხელმოწერილი იყო ორივე მხარის მიერ, თუმცა მონინალმდეგე მხარემ ის წარმოადგინა სასამართლოში სარჩელზე თანდართული შესრულება №2 ფორმის სახით. მოცემული გარემოებისა და ფიქტით შესრულებული სამუშაოს ხარისხის შესწავლის მიზნით, კასატორმა ჩაატარა ექსპერტიზა, რომელიც შესრულდა ერთი და იგივე პიროვნებებისა და ორგანიზაციების მიერ. ექსპერტიზის დასკვნაში ნათლად წერია, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილ 2015

წლის 7 ნოემბრით დათარიღებული ხელშეკრულების ცვლილება და კორექტირებული ხარჯთაღრიცხვაც თანხვედრაშია ერთმანეთთან. ისინი მოწონებული და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. მასში მითითებულია, დასამზადებელი რკინა-ბეტონის რგოლის თაობაზეც. ასევე, ექსპერტი საუბრობს 2014 წლის 22 ოქტომბრის შესრულება №2 ფორმაზეც, რომელშიც მითითებულია 15092 ლარის ღირებულების 98 ცალი რკინა-ბეტონის რგოლი. 15092 ლარს თუ დაემატება 10% ზედნადები ხარჯის სახით, გეგმიური დაგროვების 8% და დამატებითი ღირებულების 18%, მივიღებთ 21014 ლარს, რაც წარმოადგენს 98 ცალი რკინა-ბეტონის რგოლის ღირებულებას. მოცემული ასახულია მოწინააღმდეგე მხარის შესაგებელზე თანდართულ კორექტირებულ №2 შესრულების ფორმაში, რომელიც ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ასევე, დადგინდა ექსპერტიზის მიერ აივნის ძირების ფასადის ფითხით დამუშავებით სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესების ფაქტი.

65. მოსარჩელე კასატორმა სადავოდ გახადა ის ფაქტი, რომ მთლიან შესრულებაში უნდა აყვანილიყო 33 ცალი რკინა-ბეტონის რგოლი, რომლის ჯამური ღირებულებაც შეადგენს 7076.14 ლარს (21014 ლარი : 98 ცალი = 214.42 ლარი * 33 ცალი). ასევე აღსანიშნავია, რომ არც ერთ სასამართლო პროცესზე არ შედავებია მოწინააღმდეგე მხარე იმ ფაქტს, რომ მოსარჩელის მიერ ექსპერტიზაში წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა იყო ნამდვილი, ხელმოწერილი, სველი ბეჭდით დამონმებული და საბოლოო. ზუსტად მოწინააღმდეგე მხარის მიერ ამ ხარჯთაღრიცხვის და 2014 წლის 22 ოქტომბრის №2 შესრულების ფორმის ექსპერტისათვის დამალვამ გამოიწვია ის, რომ ექსპერტიზის დასკვნა დაინერა 7076.14 ლარით ნაკლებზე. ასევე არასწორია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ სასარჩელო მოთხოვნა შედგებოდა შესრულებული სამუშაოს ღირებულების (რაც მოპასუხემ არ გადაუხადა მოსარჩელის პირგასამტეხლოს სახით), ფითხით შესრულებული სამუშაოსა და 40 ცალი რკინა-ბეტონის ღირებულებისაგან. მოცემული დავის სწორად და სამართლიანად გადაჭრისათვის სასამართლოს ყურადღება უნდა მიექცია იმ მტკიცებულებებზე, რომელიც დაადგინდა მოწინააღმდეგე მხარის მთლიან დავალიანებას და შემდგომ მოეხდინა ამ დავალიანებიდან სარჩელის აღძვრის მომენტში მოსათხოვი თანხის ლეგიტიმურობის დადგენა კერძოდ: ა) დადასტურებული ანგარიშფაქტურები, რომლითაც დგინდება, რომ 1 354 319 ლარის ღირებულების სამუშაო შეასრულა მოსარჩელემ; ბ) მოპასუხემ გადაიხადა მხოლოდ 1250294,13 ლარი გ) პირველ და მეორე პუნქტში

აღნიშნული თანხის სხვაობამ შეადგინა 104024.87 ლარი; დ) მოსარჩელე ნაწილობრივ დაეთანხმა მოპასუხის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგებს, №... ხელშეკრულების ფარგლებში – 1046.33 ლარს, ხოლო №... ხელშეკრულების ფარგლებში – 730.89 ლარს. შესაბამისად, მთლიანი დავალიანება, რომელიც მხარეს გააჩნდა მოსარჩელის მიმართ წარმოადგენდა 102247.65 ლარს; ე) სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებების 4.5 პუნქტის შესაბამისად, მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრის მომენტისათვის მოთხოვნა ლეგიტიმური იყო მხოლოდ 65054.11 ლარის ფარგლებში; ვ) სწორად მოეხდინა მხარეთა მიერ ჩატარებული ექსპერტიზის წაკითხვა, სადაც ნათლად ეწერა, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა თანხვედრაში იყო ხელშეკრულების ცვლილებასთან და შესრულება №2 ფორმასთანაც, ასევე, ხელმოწერილი და ბეჭედდასმული იყო ორივე მხარის მიერ. მოცემული გარემოებების გამოკვლევის შემდეგ სასამართლო არ დაუშვებდა არც არითმეტიკულ შეცდომებს, რომელიც კიდევ უფრო დამძიმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის განჩინებით, და არც დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას გამოიტანდა.

66. დაკისრებულ პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით კასატორმა განმარტა, რომ სასამართლოს მიერ მისი ოდენობის შემცირების მიუხედავად, იგი მაინც არათანაზომიერია. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის“ შესაბამისად, მიმწოდებლებს უფლება არა აქვთ, სამშენებლო სამუშაოებზე ზედნადები ხარჯები 10 პროცენტზე მეტი ოდენობით დაარიცხონ. ამავე დადგენილებით შეზღუდულია გეგმიური მოგების დარიცხვის ზღვრული ოდენობა 8 პროცენტამდე. მოწინააღმდეგე მხარის არაკეთილსინდისიერება კარგად ჩანს საქმეში არსებული მიმონერებიდან და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებიდანაც, რომელიც მოსარჩელემ წარუდგინა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს სარჩელზე თანდართულ დოკუმენტთან ერთად. სააპელაციო სასამართლოს მიერ საერთოდ არ იქნა შეფასებული საქმეში არსებული მტკიცებულება, რომლითაც დადგენილია, რომ მოწინააღმდეგე მხარე წლიურად იღებს 12,5 პროცენტს ბანკში განთავსებულ თანხაზე, მათ შორის, უკანონოდ დაკავებულ მოსარჩელის კუთვნილ თანხაზეც, რაც სავარაუდოთ იმ კითხვას სცემს პასუხს, თუ რის გამო აკავებს ის

დღემდე მოსარჩელის კუთვნილ თანხას. ზემოთ მითითებული დადგენილების შესრულების ფარგლებში ფაქტობრივად კომპანიას, რომელიც მოგებაზეა ორიენტირებული, მოგების სახით უნდა დარჩენოდა მიახლოებით ის თანხა, რაც მონინალმდგეგ მხარის მიერ არის დაკავებული 2 წელზე მეტია იმ მიზეზით, რომ მოსარჩელემ ხელი არ მოაწერა მათ მიერ შემოთავაზებულ მიღება-ჩაბარების აქტს, რომლითაც მოპასუხემ მოსარჩელეს დააკლო 51000 ლარამდე თანხა. მოპასუხემ არ ჩაურიცხა თანხა, რომელიც მონინალმდგეგ მხარის მიერ არ გამხდარა სადავო და იმ მომენტისათვის შეადგენდა 14 000 ლარზე მეტს.

67. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, თუმცა არასწორად განმარტა ის. მიუხედავად სასამართლოს განმარტებისა, რომ მხარეთა შორის არსებობდა ნარდობის ხელშეკრულება (სსკ-ის 629-655 მუხლები), სააპელაციო პალატამ ვერ მიუთითა, თუ რომელ სამართლებრივ ნორმას ეფუძნება მისი დასკვნა, რომ მოსარჩელეს არ გვეკუთვნოდა რკინა-ბეტონის რგოლების ღირებულების ანაზღაურება, როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ მოსარჩელე მონინალმდგეგ მხარესთან შეთანხმებით ხშირ შემთხვევაში ასრულებდა სამუშაოებს, რომელიც არ იყო გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვაში, ხოლო შემდგომ ხდებოდა მისი ხარჯთაღრიცხვაში აღრიცხვა და ანაზღაურებაც. მოსარჩელის მიერ ექსპერტიზაში წარდგენილ კორექტირებულ ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი იყო რკინა-ბეტონის რგოლების ღირებულებები. ისინი თანხვედრაში იყო 2015 წლის 7 ნოემბრით დათარიღებულ ხელშეკრულების ცვლილებასთან, რომელიც ბოლო შეთანხმება იყო მხარეებს შორის. ამასთან, 2014 წლის 22 ოქტომბრის შესრულება №2 ფორმაშიც მითითებული იყო დამზადებული რკინა-ბეტონის რგოლებზე, რომელიც მოპასუხეს ჩათვლილი ჰქონდა შესრულებულ სამუშაოში.

68. სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და მოპასუხის მოქმედებები სსკ-ის 115-ე მუხლთან მიმართებით არ შეუფასებია მიუხედავად იმისა, რომ მხარე სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში უთითებდა აღნიშნულზე, კერძოდ, რომ მოპასუხე უსაფუძვლო მიზეზით არ ახდენდა მოსარჩელესთან საბოლოო ანგარიშსწორებას. ჯერ კიდევ 2016 წლის დასაწყისში მოსარჩელემ წერილობით მიმართა მოპასუხეს და აღნიშნა, რომ 2015 წლის 5 დეკემბრიდან ექსპლუატაციაშია შესული ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე არსებული ობიექტები და მოსთხოვა საგარანტიო ვადების ფარ-

გლებში მოქმედება. ასევე, საქმეში არსებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებიდანაც ირკვევა მოპასუხის ზოგადი დამოკიდებულება მოსარჩელის მიმართ. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ შეაფასა ის გარემოება, რომ საკმაოდ მნიშვნელოვან გადაწყვეტაზე, კერძოდ, სახურავის გადახურვაზე, სამთო და სადრენაჟე არხების მოწყობაზე და სხვა საკითხებზე დააგვიანა პასუხი 75 დღით, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა გადაგვიანა 45 დღით.

69. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო ნესით გასაჩივრა მოპასუხებმაც და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით 35 748,53 ლარის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივებით:

70. მოპასუხე კასატორმა მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულებით არსებობდა შეთანხმება პირგასამტეხლოს ოდენობის შესახებ, რაც არც ერთი მხარის მიერ სადავოდ არ გამხდარა. შესაბამისად, სააპელაციო პალატა არ იყო უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით დაედგინა ფაქტობრივი გარემოებები შეუსრულებელი სამუშაოების ოდენობის შესახებ. უდავოა, რომ მოსარჩელემ სამუშაოს შესრულების ვადა დაარღვია. მოპასუხემ კი რამდენჯერმე გაუგრძელა აღნიშნული ვადა, რაც ადასტურებს, რომ მოპასუხეს არ სურდა მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება. მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით მიღებული თანხა წარმოადგენდა იმ ფინანსური დანაკარგის კომპენსაციას, რაც მოპასუხეს მოსარჩელის მიერ ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შედეგად სასტუმროსა და კოტეჯების დაგვიანებით გახსნის შედეგად მიადგა.

71. კასატორის მოსაზრებით, არასწორია სასამართლოს პრაქტიკა პირგასამტეხლოს ოდენობის მნიშვნელოვნად შემცირებასთან დაკავშირებით, რადგან აღნიშნულის შედეგად პირგასამტეხლომ თავისი ვალდებულებითსამართლებრივი უზრუნველყოფის ფუნქცია დაკარგა.

72. სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა ხელშეკრულებების 5.12 და 5.13 პუნქტებზე, რომელთა შესაბამისად შემსყიდველი ანაზღაურებდა მხოლოდ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას, ვინაიდან მოპასუხის მიერ ხელშეკრულებების 4.4. პუნქტის შესაბამისად, დაკავებულია სამუშაოთა საერთო ღირებულების 5%-მდე ოდენობის თანხა, რომლის ნახევარიც გადახდილ უნდა იქნას საექსპერტო დასკვნის შედგენის შემდეგ დადგენილი ფასის შესაბამისად საგადასახადო ანგარიშფაქტურების დაკორექტირებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ (პუნქტი 4.5,

4.6.), რაც დღეის მდგომარეობითაც არ არის განხორციელებული და შედგენილი, შესაბამისად, მხოლოდ აღნიშნული დოკუმენტების გაფორმების შემდეგ მოპასუხეს წარმოეშობა ვალდებულება, დაკავებული თანხა გადარიცხოს 4.5 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობითა და პერიოდულობით.

73. მოპასუხე კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად დააკისრა სადავო თანხის გადახდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გარეშე მაშინ, როცა ამ აქტის გაფორმების დაყოვნება გამოწვეულია მოსარჩელის უკანონო და არაკეთილსინდისიერი ქმედებით. მოსარჩელე, ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, არ აკორექტირებს შესაბამის დოკუმენტაციას.

74. მოპასუხე კასატორის განმარტებით, მოსარჩელემ დამოუკიდებლად დაადგინა შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება სრულად (როგორც მთლიანი, ასევე ცალკეული სამუშაოების ღირებულებები). სატენდერო წინადადებით წარადგინა მის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვები. აქედან გამომდინარე, თუკი მოსარჩელემ არასწორად განსაზღვრა კონკრეტული სამუშაოს საბაზრო ღირებულება, მას არა აქვს უფლება, საკუთარი წინდაუხედაობისა და სათანადო ცოდნა-გამოცდილების უქონლობის გამო, მოსთხოვოს შემსყიდველს მის მიერ ხარჯთაღრიცხვაში მითითებულ ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას შორის სხვაობის ანაზღაურება. მხარეთა შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების მე-5 პუნქტის მიხედვით დადგენილია, რომ უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა, რათა დადგინდეს მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულება, შესაბამისად, მოპასუხის მიერ განხორციელებული მოქმედება (ექსპერტიზის ჩანიშვნა) სრულად შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროცედურასა და წესს. დაუდგენელია, თუ რატომ ჩაატარა მოსარჩელემ ექსპერტიზა ან/და საერთოდ რა ფაქტი დაადგინა ექსპერტიზით. ხელშეკრულების 4.6 პუნქტის მიხედვით „შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას“, შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია, გადაიხადოს მხოლოდ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულება და არა ყველა თანხა, რასაც მოსარჩელე მოითხოვს. ამავდროულად, მხარეთა შორის დადებული №... ხელშეკრულებისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, კერძოდ, ლოკალურ-რესურსური ხარჯთაღრიცხვა №1-ის 64-ე პუნქტით გათვალისწინებულია აივნების ძირების დამუშავება ფითხით და შე-

ღებვა, შესაბამისად, ფითხით დამუშავება არ არის დამატებითი ან/და ალტერნატიული შესრულებული სამუშაო, არამედ იგი გათვალისწინებული იყო ხარჯთაღრიცხვით და უნდა შესრულებულიყო დულაბით შელესვის შემდეგ, ხოლო მხარემ აღნიშნული არ განახორციელა.

75. კასატორის მითითებით, გაურკვეველია, თუ როგორ დაადგინა აღნიშნული გარემოება სააპელაციო სასამართლომ, ვინაიდან აღნიშნულის თაობაზე სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების გრაფაში მითითებული არ ყოფილა. ამდენად, სააპელაციო პალატა გასცდა ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებს. გაურკვეველია, რის საფუძველზე დადგინა სააპელაციო სასამართლომ, რომ „შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი დამაკმაყოფილებელია და დაშვებული გადახრები დასაშვებ ნორმებში, რასაც გავლენა არ მოუხდენია შესრულებულ სამუშაოთა ხარისხზე და რაც ნამდვილად უმნიშვნელოა სამუშაოთა იმ მოცულობით პირობებში“. ასევე გაურკვეველია, რომელი მტკიცებულება ადასტურებს აღნიშნულს. საპირისპიროდ საქმეში წარდგენილია ექსპერტიზის დასკვნა, რითაც ეს სამუშაოები არ ჩაითვლება ფაქტობრივად შესრულებულ და ასანაზღაურებელ სამუშაოდ. აგრეთვე წარდგენილია ინსპექტირების აქტი და შესაბამისი კორექსონდენცია უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსწორების შესახებ.

76. შემსყიდველმა ორგანიზაციამ, შეთანხმებისამებრ, მიმართა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“, საიდანაც მიღებული იქნა საექსპერტო დასკვნა, რომლითაც დადგინდა, რომ 2014 წლის 15 აპრილს გაფორმებული №... ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული სამუშაოების ღირებულება მოსარჩელის მიერ ანაზღაურებაზე წარმოდგენილი №2 ფორმების გათვალისწინებით შეადგენს 662 086.17 ლარს დღგ-ს ჩათვლით, ხოლო ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 660 673,53 ლარი, 2014 წლის 3 ივლისს გაფორმებული №... ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული სამუშაოების ღირებულება ანაზღაურებაზე წარმოდგენილი №2 ფორმების გათვალისწინებით შეადგენს 685 196,7 ლარს დღგ-ს ჩათვლით, ხოლო ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 682 764.53 ლარი. შესაბამისად, უტყუარად დგინდება, რომ შესრულებლის მიერ მოწოდებული №2 ფორმებით გათვალისწინებულ ღირებულებაზე ნაკლები ღირებულების სამუშაოები იქნა რეალურად შესრულებული. ექსპერტიზის დასკვნითაც დადგენილია, რომ მოპასუხესთან დადებუ-

ლი ხელშეკრულების პირობა მოსარჩელემ დაარღვია და ფით-ხით განხორციელებული სამუშაოები არ უნდა ჩაითვალოს შესრულებაში, შესაბამისად, მოპასუხეს 7602.53 ლარის გადახდა არ უნდა დაეკისროს.

77. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ივნისის განჩინებით – მოპასუხის საკასაციო საჩივარი, ხოლო 2018 წლის 15 ივნისის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

78. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ ისინი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

79. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და კასატორების მიერ დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოდგენილა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ:

80. მოდავე მხარეთა შორის 2014 წლის 15 აპრილს და 2014 წლის 3 ივლისს დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №.. და №.. ხელშეკრულება ხულოს მუნიციპალიტეტში, გოდერძის უღელტეხილზე სამთო-სათხილამურო კურორტის საკანალიზაციო ქსელისა და სამეურნეო ფეკალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის სამუშაოების განხორციელების თაობაზე და გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე სამთო-სათხილამურო კურორტის ქვედა დასახლებაში კურორტის მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით.

81. 2014 წლის 15 აპრილის №.. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრა 717 717 ლარით. 2014 წლის 3 ივლისის №.. ხელშეკრულების ღირებულება, 3.1. პუნქტის თანახმად, – 661 026 ლარით, როგორც №.., ასევე №.. ხელშეკრულებებში მხარეებმა გაითვალისწინეს ანგარიშსწორების ფორმა, რაც ითვალისწინებდა ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ანგარიშსწორებას. ასევე, განსაზღვრეს შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი.

82. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №.. ხელშეკრულების

5.5. პუნქტის თანახმად, შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შესრულებული სამუშაოების მოცულობა, რაოდენობა და ღირებულება წარმოდგენილი აქტების გათვალისწინებით (ფორმა №2) შემსყიდველის მომართვის საფუძველზე უნდა დადასტურებულიყო სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საექსპერტო დასკვნით. შემსყიდველი უფლებამოსილია, შეაჩეროს ანგარიშსწორება ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 5%-ის ოდენობით.

83. ხელშეკრულებებით მხარეებმა გაითვალისწინეს პირგასამტეხლო. 10.1. პუნქტით მიმწოდებელს 6.2. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

84. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 25 ნოემბრამდე პერიოდი. მხარეთა შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №... ხელშეკრულებაში სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი ანალოგიურად განისაზღვრა (5-5 პუნქტი). 5.12. პუნქტით დადგინდა პირგასამტეხლოს დარიცხვის წესიც (10.1. პუნქტი) – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%.

85. სამუშაო უნდა შესრულებულიყო 2014 წლის 1 ოქტომბრამდე.

86. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებში არაერთგზის შევიდა ცვლილებები, რომელიც შეეხო, როგორც ვალდებულების შესრულების ვადას, ისე ხელშეკრულების საერთო ღირებულებებს, სახელდობრ: ხელშეკრულებებში ცვლილებები შევიდა (შეთანხმებით) 2014 წლის 24 ნოემბერს, 2015 წლის 16 ივნისს და 2015 წლის 2 ნოემბერს.

87. ცვლილებათა თანახმად, 2014 წლის 3 ივლისის №.. ხელშეკრულების შესრულების ბოლო ვადად განისაზღვრა 2015 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდი, ხოლო ხელშეკრულების (№-) საერთო ღირებულებად დადგინდა 662 086.71 ლარი.

88. ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობის დადგენის მიზნით, 2016 წლის 17 მაისს მოპასუხის მოთხოვნის საფუძველზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ“ გასცა დასკვნა, რომლის თანახმად: გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამთო-სათხილამუ-

რო კურორტის საკანალიზაციო ქსელის და სამეურნეო ფეკალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მოწყობით, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 682 764.53 ლარი, ხოლო სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის მოსამსახურე პერსონალის საცხოვრებელი სახლის ფაქტიურად შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულებამ – 660 673.5 ლარი.

89. ექსპერტიზის დასკვნაში აღწერილია, რომ საკვლევ ტერიტორიაზე დალაგებულია რკინა-ბეტონის 40 ცალი (38) რგოლი, რომელიც უშუალოდ ტერიტორიაზეა. ეს სამუშაო არ არის გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვით და დანართში არ ასახულია.

90. ექსპერტი დასკვნაში მიუთითებს, რომ „აივნის ძირები არ არის გალესილი, არამედ დამუშავებულია ფითხით და შეღებილია“. კურორტ გოდერძის მოსამსახურე პერსონალის საცხოვრებელი სახლის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 660 673 ლარს, რაც 662 086.71 – 660 673.53 = 1413.18 ლარით ნაკლებია წარმოდგენილ №2 აქტებში ასახული სამუშაოების ღირებულებებზე.

91. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ცვლილებები შეეხო №. ხელშეკრულებასაც, მისი საერთო ღირებულება განისაზღვრა 693 531,76 ლარით, ხოლო მოქმედების ვადა – 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

92. 2016 წლის 4 ივლისს სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიმართა მოსარჩელემ და, თავის მხრივ, შეეცადა მოპასუხისათვის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების დადგენას. ამასთან, მის მიერ ექსპერტის წინაშე დასმული შეკითხვები გამომდინარეობდა ექსპერტიზის ბიუროს 2016 წლის 17 მაისის დასკვნის შინაარსიდან, მოპასუხის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნიდან, სადაც შესრულებულ სამუშაოებში არ იყო ჩათვლილი რკინა-ბეტონის რგოლები (40 ცალი), რომლებიც ტერიტორიაზე იყო განთავსებული, ასევე, ყურადღება იყო გამახვილებული, რომ აივნის ძირები დამუშავებულია ფითხით და არ არის შელესილი. ექსპერტის წინაშე დასმული იყო კითხვა: ფითხით შელესვამ გააუმჯობესა თუ გააუარესა ნაგებობის საექსპლუატაციო მახასიათებლები. დასკვნის თანახმად: ფორმა და ხარჯთაღრიცხვა, სადაც რკინაბეტონის რგოლებია აღწერილი ხელმოწერების გარეშეა და დადასტურებულია დამკვეთის (მოპასუხის) სველი ბეჭდით. რაც შეეხება მეორე კითხვას, ექსპერტის დასკვნის თანახმად, უნდა ჩათვალოს თუ არა რგოლების ღირებულება შესრულებულ სამუ-

შაოში, იგი სცილდება ინჟინერ ექსპერტის კომპეტენციას და სამართლებრივი შეფასების სფეროს განეკუთვნება.

93. აივნის ძირების ფიქსირებული და მუშაობისასთან დაკავშირებით (რაც არ იყო შეთანხმებული შემსყიდველ ორგანიზაციასთან) ექსპერტიზამ განმარტა, მისი ღირებულება უფრო ძვირია, ვიდრე ჩვეულებრივი ლესვითი სამუშაოებისა.

94. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, კერძოდ, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

95. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

96. საკასაციო საჩივარში მითითებული პრეტენზიებიდან საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მხოლოდ იმ პრეტენზიებზე, რომლებიც მოცემული დავის გადასაწყვეტად სამართლებრივად მნიშვნელოვანია. ამასთან, ადამიანის უფლე-

ბათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81); Boldea v. Romania, par. 30).

97. განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დადასტურებულია, რომ მხარეთა შორის არსებობდა ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა.

98. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსი აღიარებს და ეფუძნება „pacta sunt servanda-ს“ (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპს, რომლის თანახმად ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით მისივე ნებით შეთანხმებული უფლება-მოვალეობები.

99. შესრულების ვალდებულება პირველ რიგში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას გულისხმობს. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა და ინვეს მოთხოვნის უფლებას იმ მხარისათვის, რომლის მიმართაც და ინტერესთა საზიანოდ შეთანხმების პირობები დაირღვა.

100. სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ანუ, ნარდობის ძირითადი თავისებურებაა ის, რომ შემკვეთი საკუთრების უფლებას იძენს შესრულებული სამუშაოს რეზულტატზე, რისთვისაც იხდის კონკრეტულ საზღაურს (სუსგ 17.10.2017წ. საქმე №ას-866-808-2017).

101. სსსკ-ის 105-ე მუხლი ადგენს სასამართლოს მხრიდან მხარეთა მიერ მითითებული გარემოებების შეფასების პირობებს, კერძოდ, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შე-

სახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადანყვეტილებაში.

102. ამდენად, სადავო გარემოებების დადგენისას სასამართლო იმსჯელებს საქმეში წარმოდგენილ მხარეთა განმარტებებზე, წერილობითი დოკუმენტებსა და სხვა მტკიცებულებებზე ერთობლიობაში, რისი ურთიერთშეჯერებით გადანყვეტს, სარწმუნოდ მიიჩნის თუ არა ამა თუ იმ ფაქტის არსებობა (სუსგ 6.06.2017წ. საქმე №ას-584-543-2017).

103. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ შეაფასა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები, ექსპერტიზის დასკვნები, ხარჯთაღრიცხვის ფორმები და დადგენილად მიიჩნია, რომ სასარჩელო განცხადებით მოთხოვნილი 65 054 ლარიდან მოპასუხეს უნდა დაეკისროს 35 748,53 ლარის გადახდა.

104. როგორც მოსარჩელე, ისე მოპასუხე კასატორებმა პრეტენზია წარმოადგინეს ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის საკითზე.

105. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურებიან და რომელთა შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. ასეთ საშუალებათა რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება პირგასამტეხლო (სუსგ 25.05.2010 წ. საქმე №ას-1220-1480-09).

106. სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

107. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან.

108. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარ-

ღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.

109. პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზე დამოკიდებულია.

110. ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება.

111. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (სუსგ 6.05.2015წ. საქმე №ას-1158-1104-2014, 10.02.2016წ. საქმე №ას-1265-1187-2015).

112. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს დაკისრების სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევა.

113. მოცემულ შემთხვევაში უდავოდ დადგენილია, რომ მოსარჩელეს წარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების, ვადის გადაცილების საფუძველზე წარმოემვა პირგასამტეხლოს გადახდის მოვალეობა, კერძოდ, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე კასატორმა უკვე მოახდინა მისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს შემცირების უფლების რეალიზება, ამ კუთხით სააპელაციო პალატის მსჯელობა სწორია, რაც ვერც მოპასუხე მხარემ სარწმუნოდ ვერ უარყო, კერძოდ, დასაბუთებულია გასაჩივრებული განჩინების მოტივაცია, რომ ვადაგადაცილების-

თვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა ორივე ხელშეკრულებიდან გამომდინარე 8046,9 ლარია (1647,5 + 6399). შესაბამისად, პირგასამტეხლოს სახით დაკავებული თანხიდან მოპასუხემ მოსარჩელეს არასწორად დაუკავა და დაუქვითა (36193 - 8046,9 = 28146,1) 28146,1 ლარი.

114. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორთა არგუმენტებს მოსარჩელის მიერ ფითხით დამუშავების სამუშაოების ღირებულების ნანილშიც, კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მის მიერ განუხლები ალტერნატიული სამუშაოს სრულად ანაზღაურება, მოპასუხე კი არ დაეთანხმა ისეთი სამუშაოს ანაზღაურებას, რომელიც მხარეთა შორის შეთანხმებით პირდაპირ გათვალისწინებული არ იყო.

115. მითითებულ საკითხზე უდავოა დადგენილი, რომ მოსარჩელის მიერ აივინისა და ფრონტონების დამუშავებისთვის გარკვეული სამუშაო ხელშეკრულებით შეთანხმებული საგან განსხვავებული წესით შესრულდა, კერძოდ, აივინის ძირები ჩვეულებრივ არ გაილესა, არამედ დამუშავდა ფითხით, თუმცა შედეგად ობიექტის მდგომარეობა მხოლოდ გაუმჯობესდა. ამდენად, მოპასუხეს მართებულად დაეკისრა იმ თანხის გადახდა, რაც შეთანხმებული წესით ობიექტის დამუშავებისათვის იყო განსაზღვრული, ანუ 7602,53 ლარი.

116. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელე კასატორმა ვერ წარმოადგინა იმ გარემოების საწინააღმდეგოდ დასაბუთებული და დასაშვები საკასაციო პრეტენზია, რომ მოსარჩელო მოთხოვნა გამოუყენებელი 33 ცალი რკინა-ბეტონის რგოლების საფასურის ნანილში უსაფუძვლოა. აღნიშნული მასალის გამოყენება მხარეთა შორის არსებული წარდობის ხელშეკრულების ფარგლებში არ მომხდარა, შესაბამისად, მითითებული რგოლების დამზადება მოსარჩელის მიერ შესრულებულ სამუშაოდ ვერ შეფასდება.

117. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი მატერიალური ან/და საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორებმა მიუთითეს რაიმე ისეთ დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივრებს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

118. კასატორებმა ვერ დაასაბუთეს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინა-

აღმდეგობაში მოდის.

119. ამასთან, საკასაციო საჩივრების განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით და არც იმ საფუძვლით, რომ საკასაციო სასამართლოს მსგავს საკითხზე ჯერ არ უმსჯელია და გადაწყვეტილება არ მიუღია. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე არ არსებობს ვარაუდი, რომ საკასაციო საჩივრების განხილვის შემთხვევაში მოსალოდნელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს უკვე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

120. ამავდროულად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკისაგან.

121. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები, რის გამოც მათ უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

122. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-სამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელე კასატორს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2018 წლის 11 ივნისს №... საგადახდო დავალებით გადახდილი 1465,25 ლარის 70% – 1025,67 ლარი. მოპასუხე კასატორს კი უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2018 წლის 11 ივნისს №... საკრედიტო საგადახდო დავალებით გადახდილი 1877 ლარის 70% – 1313,9 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. შპს „მ-ისა“ და შპს „G-ის“ საკასაციო საჩივრები დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორ შპს „მ-ის“ (საიდენტიფიკაციო კოდი №..) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბან-

კის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2018 წლის 11 ივნისს №.. საგადახდო დავალებით გადახდილი 1465,25 ლარის 70% – 1025,67 ლარი.

3. კასატორ შპს „G-ს“ (საიდენტიფიკაციო კოდი №..) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2018 წლის 11 ივნისს №.. საკრედიტო საგადახდო დავალებით გადახდილი 1877 ლარის 70% – 1313,9 ლარი.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ბე

გადანყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-875-817-2017

21 მარტი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

კასატორის მოთხოვნა: გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ზ. დ-სა (შემდგომი: მოსარჩელე ან მყიდველი) და მ. გ-ეს (შემდგომი: პირველი გამყიდველი, პირველი მოპასუხე, პირველი აპელანტი ან პირველი კასატორი) შორის 2011 წლის 27 დეკემბერს დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს გადასცა 4 000 აშშ დოლარი ბეს სახით, რადგან მყიდველი აპირებდა თბილისში, კ-ის ქ. №9-11/ჩ-ის ქ. №36/ნ-ის ქ. №37-ში მდებარე 136.00 კვ.მ ფართი უძრავი ქონების (შემდგომი: უძრავი ქონება) შეძენას. ნასყიდობის ფასი 63 000 აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც მოსარჩელეს 2012 წლის 30 ოქტომბრამდე უნდა გადაეხადა (საქართველოს სამოქალა-

ქო კოდექსის, შემდეგში: სსკ, 421-ე, 477-ე მუხლები, იხ. ხელშეკრულება).

2. ბეს ხელშეკრულება არ არის შედგენილი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, არ არის დამონმებული სანოტარო წესით, ასევე, ნოტარიუსის მიერ არაა დამონმებული ხელშეკრულებაზე აღბეჭდილი მხარეთა ხელმოწერები (იხ. ხელშეკრულება).

3. უძრავი ქონების 5/6 ნაწილის მესაკუთრეა შპს „დ-ი“ (შემდეგში: შპს, მეორე მოპასუხე, მეორე აპელანტი ან მეორე კასატორი), ხოლო – 1/6 ნაწილის მესაკუთრეები არიან პირველი მოპასუხე და ა. დ-ი (შემდეგში: მესამე მოპასუხე, მესამე აპელანტი ან მესამე კასატორი; იხ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).

4. შპს-ს პარტნიორები არიან პირველი მოპასუხე – 75% და მესამე მოპასუხე – 25%, პირველი მოპასუხე იმავდროულად შპს-ს დირექტორია (იხ. ამონაწერი).

5. მოსარჩელესა და მოპასუხეებს შორის 2014 წლის 7 მარტს სანოტარო წესით გაფორმდა გარიგება შპს-ის 100 %-იანი წილისა და უძრავი ქონების ნასყიდობასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც მოსარჩელემ მოპასუხეებს 4 600 აშშ დოლარი გადასცა, ხოლო თანხის დანარჩენ ნაწილს მყიდველი 2014 წლის 30 აპრილამდე დაფარავდა (იხ. ხელშეკრულება).

6. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 1 დეკემბრის გადანყვეტილებით მყიდველის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, მოსარჩელემ 2014 წლის 7 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე შპს-ის 100%-იან წილსა და უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება ვერ დაირეგისტრირა და ამის მიზეზად საჯარო რეესტრის სააგენტომ მიუთითა, რომ ხელშეკრულებით არ ირკვეოდა, თუ რა წარმოადგენდა ნასყიდობის საგანს.

7. სარჩელის საფუძვლები

7.1. მოსარჩელემ 2014 წლის 25 დეკემბერს სარჩელი აღძრა მოპასუხეების წინააღმდეგ 2011 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის, მოპასუხეებისათვის 4 000 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრების, 2014 წლის 7 მარტს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტისა და მოპასუხეებისათვის 4 600 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრების მოთხოვნით.

7.2. მოსარჩელემ ამ გადაწყვეტილების 1-6 პუნქტებში დასახელებულ გარემოებებზე მითითებით განმარტა, რომ „ბეს“ ხელშეკრულება დაიდო მარტივი წერილობითი ფორმით, რაც

სსკ-ის დანანესს არ შეესაბამება. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ათი თვის თავზე დარჩენილი 58 000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა, რასაც კეთილსინდისიერად ასრულებდა, თუმცა, მოპასუხეებმა უარი განაცხადეს თანხის მიღებაზე, შესაბამისად, მხარეთა ურთიერთობა იჯარის ხელშეკრულებაში გადაიზარდა.

7.3. მყიდველმა სარჩელს დაურთო პირველი გამყიდველის ნოტარიულად დამონმებული თანხმობა, რომ უძრავი ქონება მოსარჩელის სახსრებით გარემონტებულიყო, რის შემდეგაც მყიდველმა უძრავ ქონებაში ძვირადღირებული რემონტი ჩაატარა.

7.4. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2014 წლის აპრილის თვეში, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოპასუხეებს 58 400 აშშ დოლარს უხდიდა, თუმცა, მოპასუხეებმა მის მიღებაზეც უარი განაცხადეს და დამატებით მოითხოვეს 12 600 აშშ დოლარით მეტი, რის გადახდაზეც მყიდველმა უარი განაცხადა.

7.5. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ის, ოჯახთან ერთად, სადავო უძრავი ქონებიდან გამოასახლეს სარჩელის აღძვრამდე ორი თვით ადრე (იხ. 7.1 ქვეპუნქტი).

8. მოპასუხეების შესაგებელი

8.1. მოპასუხეებმა მათ წინააღმდეგ აღძრული სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მოსარჩელეს დარჩენილი თანხა არ გადაუხდია და არც გადახდის მცდელობა ჰქონია, ასევე, არ გადაუხდია საიჯარო ქირა და არც რემონტი ჩაუტარებია.

8.2. მოპასუხეებმა აღნიშნეს, რომ მათ თანხის დაბრუნების არანაირი ვალდებულება არ გააჩნიათ, რადგან მოქმედი კანონმდებლობით „ბეს“ თანხა არ უბრუნდება ბეს გადამხდელს (მოსარჩელეს), რადგან ამ უკანასკნელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ხოლო 2014 წლის 7 მარტს დადებული ხელშეკრულება უკვე შეწყვეტილია ვადის გასვლის გამო და ისიც რეალურად „ბეს“ ხელშეკრულებაა.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

9.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 4 000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა; მეორე და მესამე მოპასუხეებისათვის 4 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა; 2014 წლის 7 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულება შეწყვეტილად იქნა აღიარებული და მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად 4 600 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა.

9.2. სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 311¹-ე, 421-ე, 327-ე, 59-ე, 68-ე, 976-ე, 352-ე მუხლებით და დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 27 დეკემბრის ხელშეკრულების შედგენისას გარიგების კანონით დადგენილი ფორმა დაცული არ ყოფილა, შესაბამისად, სადავო ხელშეკრულება არის უცილოდ ბათილი, არა-რა გარიგება, რომელსაც რაიმე იურიდიული მნიშვნელობის შედეგი ვერ მოჰყვება.

9.3. სასამართლომ დაადგინა, რომ 2011 წლის 27 დეკემბერს ბეს სახით თანხის მიღების შესახებ გარიგება, სსკ-ის 311¹-ე მუხლით განსაზღვრული ფორმით არ შედგენილა, ხოლო მოპასუხის მხრიდან თანხის მიღებას კანონიერი საფუძველი არ გააჩნია. შესაბამისად სსკ-ის 976-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, 2011 წლის 27 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი 4 000 აშშ დოლარი პირველმა მოპასუხემ მოსარჩელეს უნდა დაუბრუნოს, რადგან აღნიშნული თანხა მხოლოდ მან მიიღო, ხოლო დანარჩენი მოპასუხეებისათვის ამ თანხის დაკისრება უსაფუძველოა.

9.4. სასამართლომ 2014 წლის 7 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების შეფასებისას, სსკ-ის 405-ე, 352-ე მუხლებით იხელმძღვანელა და აღნიშნა, რომ მოსარჩელე ხელშეკრულებიდან გასვლას ითხოვს. სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეები ხელშეკრულების არასრულყოფილი შინაარსის შედეგად მოკლებულნი არიან შესაძლებლობას სრულად ან ნაწილობრივ განახორციელონ გარიგებით გათვალისწინებული მიზანი, ამავდროულად მხარეთა მიერ გარიგების შინაარსის დაზუსტება ვერ ხერხდება, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა დასაბუთებულია და რადგან ხელშეკრულებაში მითითებული თანხა გადაეცა სამივე მოპასუხეს, მათვე უნდა დაეკისროთ 4 600 აშშ დოლარის მოსარჩელისათვის დაბრუნება.

10. სააპელაციო საჩივრის საფუძველები

10.1. მოპასუხეებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

10.2. აპელანტებმა გაიმეორეს ის პრეტენზიები, რაც წინამდებარე გადაწყვეტილების 8.1-8.2 ქვეპუნქტებშია ასახული და დამატებით განმარტეს, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ მხარეთა შორის ზეპირსიტყვიერად მიღწეული შეთანხმება, მოსარჩელის მიერ უძრავი ქონების შეძენის შესახებ ვერ განხორციელდა და მოსარჩელეს მო-

პასუხებისგან უძრავი ნივთი არ შეუძენია.

10.3. აპელანტებმა აღნიშნეს, რომ მხარეები ყველა დეტალზე შეთანხმდნენ კანონით დადგენილი ფორმით, ხოლო მოსარჩელემ წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულება უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებით არ შეასრულა.

10.4. აპელანტების მტკიცებით, საქალაქო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 311¹-ე მუხლი. აპელანტები სსკ-ის 323-ე, 183-ე, 312-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნავენ, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრაცია არის არა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა, არამედ – უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის აუცილებელი წინაპირობა, შესაბამისად, მისი დაუცველობა იწვევს არა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, არამედ იმას, რომ შემძენი არ მიიჩნევა შეძენილი უძრავი ქონების მესაკუთრედ და კარგავს ამ ქონების კეთილსინდისიერ შემძენთან შედაგების უფლებას.

10.5. აპელანტებმა აღნიშნეს, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 405-ე მუხლი, რადგან გაურკვეველია, თუ რა პირობა არ შეასრულეს მოპასუხებმა. მათი განმარტებით, მოსარჩელემ თავისი ვალდებულება არ შეასრულა, რის გამოც წინასწარ გადახდილი ბეს თანხის დაბრუნების მოთხოვნის უფლება დაკარგა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

11.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 მარტის განჩინებით მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი). სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა საქმისათვის მნიშვნელოვანი საკითხები და მხარეთა შორის არსებული ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები, შესაბამისად, დასაბუთებული გადაწყვეტილება მიიღო.

11.2. სასამართლომ სსკ-ის 421-ე, 327-ე მუხლებზე დაყრდნობით იმსჯელა და აღნიშნა, რომ 2011 წლის 27 დეკემბრის ხელშეკრულება, როგორც ფორმალური გარიგება, წარმოადგენს ბათილ გარიგებას, ასევე, „ბე“ დამატებითი აქცესორული ხელშეკრულებაა, რომელიც არ არსებობს ძირითადი ვალდებულების გარეშე; იგი ადასტურებს მხარეთა შორის უფლება-ვალ-

დებულებების არსებობას და უზრუნველყოფს მის შესრულებას. ბე ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილია, მისი გადაცემით დასტურდება მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობა და ამიტომ ბეს ხელშეკრულება გაფორმებული უნდა იყოს ისეთივე ფორმით, როგორც ნასყიდობის ხელშეკრულება. ბეს გადაცემა წარმოადგენს წინარე ხელშეკრულებას, რომელიც წინ უსწრებს ძირითად ნასყიდობის ხელშეკრულებას, აღნიშნული ხელშეკრულება კი არ არის შედგენილი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და არ არის დამონმებული სანოტარო წესით, ასევე სანოტარო წესით არ არის დამონმებული ხელშეკრულებაზე განთავსებული მხარეთა ხელმოწერები. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა კი ვრცელდება, ასევე, წინარე ხელშეკრულებაზეც.

11.3. სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 183-ე, 323-ე, 311-ე, 69-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემის მავალდებულებელი გარიგების დამონმება სავალდებულოა.

11.4. სასამართლომ იმსჯელა აპელანტების მიერ მითითებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებაზე (სუსგ №ას-523-496-2014, 30.04.15წ.) და აღნიშნა, რომ განსახილველი შემთხვევა სრულიად განსხვავდებოდა მოპასუხეთ მიერ მომხმობილი საქმის გარემოებებისაგან. როგორც აღინიშნა, გარდა იმისა, რომ არ არის დაცული გარიგების შედგენისათვის კანონით გათვალისწინებული ფორმა, მასში არ არის ასახული უძრავი ქონების მესაკუთრების – მეორე და მესამე მოპასუხეების ნება, ასევე, გაურკვეველია, რა წარმოადგენს ნასყიდობის საგანს. სსკ-ის 53-ე, 59-ე და 328-ე მუხლების მიხედვით ხელშეკრულება ბათილია, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გამოიყენა სსკ-ის 976-ე მუხლი და მართებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

12. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

12.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს აპელანტებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

12.2. საკასაციო საჩივრის პრეტენზიები წინამდებარე გადაწყვეტილების 10.2-10.5 პუნქტებში მითითებული გარემოებების იდენტურია.

12.3. კასატორებმა დამატებით აღნიშნეს, რომ სასამართლო

გაცდა მოთხოვნის ფარგლებს და თვითონ განსაზღვრა, თუ რა-ზე უნდა იდავონ მხარეებმა, როდესაც მიუთითა, რომ 2011 წლის 27 დეკემბრის ხელშეკრულება ბათილია, ეს კი ეწინააღმდეგე-ბა სსსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლებს.

12.4. კასატორების განმარტებით, მოსარჩელეს არასდროს დაუყენებია ბეს ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ასევე სასა-მართლომ უფლებებელჰყო სარჩელის არსი, რადგან მოსარჩელე თანხის დაბრუნებას ითხოვდა იმ მიზეზით, რომ მოპასუხეებმა არ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები.

12.5. კასატორებმა აღნიშნეს, რომ მოსარჩელემ სსკ-ის 61-ე მუხლის მიხედვით შეცილების უფლება დაკარგა, რის გამოც სარჩელი ხანდაზმულია. გარიგება დაიდო 2011 წლის 27 დეკემ-ბერსა და 2014 წლის 7 მარტს, ხოლო სარჩელი 2014 წლის 27 დეკემბერს აღიძრა.

13. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

13.1. კასატორების საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღე-ბული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2017 წლის 4 სექტემბრის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის წინაპირობების შესა-მონმებლად.

13.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ნოემბრის განჩინებით საკასა-ციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი, სსსკ-ის 391-ე მუხ-ლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე, და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

13.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 თებერვლის განჩინებით საკასა-ციო საჩივრის არსებითი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონაწილეობით, რის შესახებაც სსსკ-ით დადგენილი წესით გაფრთხილებულნი იქნენ მხარეები.

13.4. 2018 წლის 2 მარტის სხდომაზე კასატორების (მოპასუ-ხეების) წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარ-ში წარდგენილ პრეტენზიებს, ხოლო მოსარჩელის წარმომად-გენელმა სარჩელში მითითებულ გარემოებებზე გამახვილა ყუ-რადღება (იხ. ამ გადაწყვეტილების 7.2-7.5 ქვეპუნქტები).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულე-ბათა გაანალიზებისა, მხარეთა პრეტენზიების ზეპირი მოსმე-ნისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულო-ბის არსებითად განხილვით შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ

მოპასუხეთა საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულა და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

14. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით, კასატორებს ნაწილობრივ დასაბუთებული შედავება აქვთ წარმოდგენილი.

15. კასატორების პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლო მოთხოვნის ფარგლებს გასცდა, როდესაც სარჩელის ის სამართლებრივი საფუძვლები შეამონმა, რომელიც მოსარჩელეს სარჩელში არ დაუყენებია, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს ვალდებულებაა სამართლებრივი საფუძველი მიუსადაგოს მხარეთა მოთხოვნებს და ისე გადაწყვიტოს სადავო საკითხი. აქედან გამომდინარე, კასატორთა ეს პრეტენზია დაუსაბუთებელია და მას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს.

15.1. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა: „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დას-

კვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას“ (იხ. სუსგ ას-1529-1443-2012, ას-973-1208-04; ას-664-635-2016).

16. კასატორების წარმომადგენელმა სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით გაცხადებულ პრეტენზიაზე, საქმის ზეპირი განხილვისას, გაიზიარა საკასაციო პალატის მითითება, რომ ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ფაქტის თაობაზე მოპასუხეებს არც შესაგებელში და არც მოსამზადებელ სხდომაზე არ განუცხადებიათ, ხანდაზმულობის საკითხზე საკასაციო სასამართლო არ იმსჯელებდა (სსსკ-ის 201-ე, 205-ე, 215-ე მუხლები; იხ. საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 2 მარტის სხდომის ოქმი 12:26:28).

17. განსახილველ შემთხვევაში კასატორებს ორი ძირითადი პრეტენზია აქვთ: ერთი ის, რომ ბეს ხელშეკრულება ნამდვივია და ვინაიდან მყიდველმა ბეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა, ბეს თანხა დაკარგა და მეორე – 2014 წლის 7 მარტის ხელშეკრულებით გადახდილი 4 600 აშშ დოლარიც ბეს თანხაა (კასატორები მიიჩნევენ, რომ ამგვარად უნდა განიმარტოს ხელშეკრულების შინაარსი) და ისიც დაკარგა მოსარჩელემ იმავე საფუძვლით.

18. საკასაციო სასამართლო თითოეულ ხელშეკრულებას, მის სამართლებრივ ბუნებასა და იურიდიულ შედეგებს ცალ-ცალკე შეაფასებს, რაც სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმების წინაპირობა და სადავო საკითხის გადაწყვეტის საშუალებაა.

18.1. საკასაციო სასამართლო იზიარებს მოპასუხეების პრეტენზიას, რომელიც წინამდებარე გადაწყვეტილების 10.4 ქვეპუნქტშია ასახული და დამატებით განმარტავს, რომ უძრავი ნივთის გასხვისების წესს ადგენს სსკ-ის 323-ე და არა – 311¹-ე მუხლი. ის ფაქტი, რომ 2011 წლის 27 დეკემბერს მყიდველსა და პირველ გამყიდველს, ასევე, მეორე და მესამე გამყიდველს შორის ბეს ხელშეკრულება დაიდო და პირველმა მოპასუხემ მოსარჩელისაგან ბეს სახით 4 000 აშშ დოლარი მიიღო, მხარეთა შორის სადავო არ არის. მოსარჩელემ სადავო გახადა ის ფაქტი, რომ ბეს ხელშეკრულება სსკ-ით დადგენილ ფორმას არ შეესაბამება (სსკ-ის 311¹-ე მუხლი), რის გამოც ის ბათილია (სსკ-ის 59-ე მუხლი) და მის მიერ გადახდილი 4 000 აშშ დოლარი მასვე

უნდა დაუბრუნდეს (სსკ-ის 976-ე მუხლი). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 421-ე მუხლით ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი/ თანახმად, მყიდველმა და პირველმა გამყიდველმა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ფაქტი დაადასტურეს (სსკ-ის 477-ე მუხლი). რაც შეეხება საწარმოს ნასყიდობას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნასყიდობის საგანი შეიძლება იყოს არა საწარმო, არამედ მისი 100%-იანი წილი, თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, არც სარჩელიდან და არც შესაგებლიდან, ასევე, საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე, სასამართლოს შეკითხვის პასუხად მხარეთა მიერ გაცემული პასუხებიდან, არ დასტურდება, რომ, ერთი მხრივ, მოსარჩელეს სურდა შეეძინა საწარმოს 100%-იანი წილი, ხოლო, მეორე მხრივ, პირველ მოპასუხეს შპს-ს 100%-იანი წილის დამოუკიდებლად გასხვისების უფლება ჰქონდა („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლი) და საწარმოს პარტნიორებს სურდათ საწარმოში თავიანთი წილის გასხვისება.

18.1.1. სარჩელში მითითებულია, რომ მყიდველს სურდა საწარმოსა და მისი ორი პარტნიორის საკუთრებად აღრიცხული 136 კვ.მ უძრავი ქონების შეძენა (იხ. სარჩელი), შესაგებელი კი იმას ემყარება, რომ მყიდველს (მოსარჩელეს) უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დარჩენილი თანხა 59 000 აშშ არ გადაუხდია და მხარეთა შორის დაიდო არა უძრავი ქონების განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება, არამედ – ბეს ხელშეკრულება (იხ. ასევე, საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 2 მარტის სხდომის ოქმი – 12:39:55-12:42:45-მდე)

18.2. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას (სსკ-ის 323-ე მუხლი), ამასთან, ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზეც (სსკ-ის 327.3 მუხლი). მოხმობილი ნორმების ანალიზი ცხადყოფს იმას, რომ უძრავი ნივთის გასხვისების შესახებ ხელშეკრულება წერილობით ფორმას საჭიროებს, სხვა დათქმა კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, შესაბამისად, უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების დასადავად გაფორმებული ბეს ხელშეკრულებაც წერილობითი ფორმის უნდა იყოს,

რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზეა. აქედან გამომდინარე, 2011 წლის 27 დეკემბრის ბეს ხელშეკრულება ნამდვილია. ხელშეკრულება ნამდვილია ვალდებულებითსამართლებრივი თვალსაზრისით. მართალია უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში უნდა დარეგისტრირდეს (სსკ-ის 311¹-ე მუხლი) და წინააღმდეგ შემთხვევაში მას მესამე პირთათვის იურიდიული ძალა არ გააჩნია, თუმცა, ეს ვალდებულება სანივთოსამართლებრივი ვალდებულებაა, გამიზნული კონკრეტული პირის საკუთრების უფლების დადასტურებისათვის, რისი შეუსრულებლობაც უძრავ ქონებაზე წერილობით დადებულ გარიგებას ბათილად ვერ აქცევს.

18.3. „საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ფორმას განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი, რომლის მიხედვით, ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლს, ეს ნორმა წერილობით ფორმასთან ერთად განამტკიცებს უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის აუცილებელ წინაპირობასა და საკუთრების გადასვლის მომენტს – რეგისტრაციას საჯარო რეესტრში. უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტს ის დანიშნულება გააჩნია, რომ შემძენი მესამე პირების წინაშე მესაკუთრის სტატუსით აღიჭურვება, ვინაიდან უძრავი ქონების შემძენის საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაციამდე, ერთადერთ მესაკუთრედ ითვლება გამსხვისებელი (სკ-ის 312-ე მუხლი). როგორც აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი განსაზღვრავს უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ფორმას, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ფორმის დაცვით დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებულია თუ არა იგი საჯარო რეესტრში, წარმოშობს ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმებით გათვალისწინებულ მხარეთა უფლება-მოვალეობებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრაცია არის არა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა, არამედ უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის აუცილებელი წინაპირობა, შესაბამისად, მისი დაუცველობა იწვევს არა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, არამედ იმას, რომ შემძენი არ მიიჩნევა შეძენილი უძრავი ქონების მესაკუთრედ და კარგავს ამ

ქონების კეთილსინდისიერ შემძენთან შედეგების უფლებას (სკ-ის 185-ე მუხლი)“ (იხ. სუსგ ას-523-496-2014, 30.04.15წ.).

18.4. წინამდებარე გადაწყვეტილების 18.1-18.3 ქვეპუნქტებში მოცემული ფაქტობრივ-სამართლებრივი მსჯელობისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ ბეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების (ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდის) შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოს ვერ წარუდგინა, სსკ-ის 423.1 მუხლის თანახმად ბეს თანხა ბეს მიმღებს რჩება. შესაბამისად, ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან, აქვე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 421-ე მუხლის შესაბამისად, მყიდველის მიერ უძრავი ქონების შესაძენად, ბეს სახით გადახდილი 4000 (ოთხი ათასი) აშშ დოლარით გადახდით, მოპასუხებთან დაიდო მათ საკუთრებად რიცხული 136 კვ.მ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. მყიდველმა ვალდებულებით (ნასყიდობის ხელშეკრულებით) გათვალისწინებული შესრულება – ნასყიდობის დარჩენილი თანხის გადახდა – ვერ უზრუნველყო, რის გამოც ბე დარჩა მის მიმღებს (სსკ-ის 423-ე მუხლი).

18.5. საკასაციო სასამართლო აქვე იმასაც განმარტავს, რომ ბეს ხელშეკრულებისაგან (სსკ-ის 421-ე მუხლის დეფინიცია იხ. ამ განჩინების 18.1 ქვეპუნქტში) განსხვავებით, რომელიც ხელშეკრულების დადების ფაქტს ადასტურებს, ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება (სსკ-ის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილი: „ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალში ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზე და(ც) ითვალისწინებს მომავალში ხელშეკრულების დადების ვალდებულებას და არა გარიგების დადების ფაქტს. წინარე ხელშეკრულება ვალდებულებითსამართლებრივი გარიგებაა, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა სახის არსებით პირობებზე თანხმდებიან მხარეები, რომელიც მომავალში დასადები ხელშეკრულების შინაარსს უკავშირება. „ბეს“ ხელშეკრულება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებათაგან ერთ-ერთი, ხელშეკრულების დადების ფაქტს ადასტურებს და ავანსისაგან (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი შესრულების წინასწარ ან მთლიანად გადახდილი თანხა) სწორედ ამით განსხვავდება. „ბე“ ხელშეკრულების ნაწილია და არა დამოუკიდებელი ხელშეკრულება და ეს განასხვავებს მას წინარე ხელშეკრულებისაგან (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი – www.ecc.ge, 421-ე მუხლის კომენტარი – ველი 3-4)

19. რაც შეეხება მხარეთა შორის სანოტარო წესით გაფორმებულ 2014 წლის 7 მარტის ხელშეკრულებას, თავისი შინაარსის მიხედვით, საკასაციო სასამართლო შეაფასებს, როგორც გადახდის განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებას და ამ კონტექსტში არ იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების მსჯელობას გარიგების ბუნდოვან შინაარსთან დაკავშირებით (სსკ-ის 505-ე მუხლი – განვადებით ნასყიდობისას გამყიდველი ვალდებულია გადასცეს ნივთი მყიდველს ფასის გადახდამდე. ნივთის ფასის გადახდა მყიდველის მიერ ხდება ნაწილ-ნაწილ დროის განსაზღვრულ შუალედებში).

19.1. ზემოხსენებული ხელშეკრულების თანახმად, უძრავი ქონების შესყიდვის მიზნით მოსარჩელემ მოპასუხეებს გადაუხადა 4 600 (ოთხი ათას ექვსასი) აშშ დოლარი და იკისრა ვალდებულება, რომ დარჩენილ თანხას გადაიხდიდა 2014 წლის 30 აპრილამდე. საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 2 მარტის სხდომაზე მხარეებმა განმარტეს, რომ 2014 წლის 7 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების საფასური 63 000 აშშ დოლარს შეადგენდა, შესაბამისად, 4 600 აშშ დოლარის გარდა, რომელიც საბოლოო შესრულების ანგარიშში ჩაითვლებოდა, დარჩენილი თანხის გადახდა მყიდველს უნდა დაესრულებინა 2014 წლის 30 აპრილამდე.

19.2. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორების (მოპასუხეთა) პრეტენზიას 4 600 აშშ დოლარის ბედ მიჩნევასთან დაკავშირებით და დადგენილად მიიჩნევს, რომ 4 600 აშშ დოლარი ავანსის სახით (საბოლოოდ გადასახდელი თანხიდან წინასწარ გადახდილი ნაწილის სახით) გადაიხადა მყიდველმა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თუ მხარეთა შორის არ იქნება სპეციალური შეთანხმება ბეს შესახებ, სასამართლო მხარეთა შორის ურთიერთობას ბედ ვერ შეაფასებს. მოსარჩელე არ ეთანხმება კასატორების მტკიცებას, რომ 4 600 აშშ დოლარი ბეს სახით ჩაითვალოს და განმარტავს, რომ მან ნასყიდობის საფასურის ნაწილი გადაიხადა, რაც, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, 2014 წლის 7 მარტის ხელშეკრულების შინაარსს სრულად შეესაბამება და ამ ნაწილში დასაბუთებულად მიაჩნია სასარჩელო მოთხოვნა.

19.3. მყიდველმა (მოსარჩელემ) 2014 წლის 7 მარტის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა – არ გადაიხადა დარჩენილი თანხა 2014 წლის 30 აპრილამდე, შესაბამისად, გამყიდველმა უარი თქვა ხელშეკრულებაზე და ნასყიდობის საგანი დაიბრუნა (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი). განსახილველ შემთხვევაში გამყიდველი

გავიდა ხელშეკრულებიდან, რადგან მყიდველმა დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. მოცემულ დავაზე ხელშეკრულებიდან გასვლის ნაწილში, როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნა უსაფუძვლოა, ხოლო როგორც ფაქტობრივი წინაპირობა – დაუსაბუთებელი, რადგან ხელშეკრულების დამრღვევი მხარე (ამ შემთხვევაში – მოსარჩელე) ხელშეკრულებიდან გასვლას ვერ მოითხოვს, რეალურად ასეთი ფაქტობრივი წინაპირობის მითითება იმას შეუძლია, ვინც შესრულებას ელოდება და ამ შესრულებას ვერ მიიღებს. სსკ-ის 508-ე მუხლის თანახმად, თუ გამყიდველი უარს ამბობს ხელშეკრულებაზე მყიდველის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ყოველი მხარე ვალდებულია ერთმანეთს დაუბრუნოს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს. ამის საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია. ასე რომ, ვინაიდან გამყიდველმა ნასყიდობის საგანი დაიბრუნა, იგი ვალდებულია მყიდველს დაუბრუნოს ნასყიდობის საფასურის ნაწილი – 4 600 აშშ დოლარი (მოპასუხეთა ვალდებულება სოლიდარულია, სსკ-ის 463-ე-464-ე მუხლები). სსკ-ის 477-ე, 352-ე, 405-ე მუხლების საფუძველზე, მხარეთა შორის ორმხრივი რესტიტუცია უნდა მოხდეს, მათ ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს (შდრ. სუსგ №ას-1209-1169-2016, 12.07.17წ.). დადგენილია და სადავო არაა, რომ მოპასუხეებმა დაიბრუნეს მოსარჩელისაგან უძრავი ნივთი, შესაბამისად, მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს ნასყიდობის განვადებით ავანსად გადახდილი 4600 აშშ დოლარი.

20. ზემოხსენებული მოტივაციით, მოპასუხეთა საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ 4 600 აშშ დოლარის სოლიდარულად გადახდა უნდა დაეკისროთ; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

21. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო

შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის პროპორციული სახელმწიფო ბაჟის გადახდა პირველ, მეორე და მესამე მოპასუხეებს დაეკისრებათ მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც არ დაკმაყოფილდა, მოპასუხეთა მიერ გადახდილი ბაჟი მოსარჩელეს დაეკისრება მათ სასარგებლოდ (იხ. ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 5-6 პუნქტები).

22. სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გამო არ არსებობს საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 დეკემბრის განჩინებითა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 მარტის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე მუხლებით, 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მ. გ-ის, ა. დ-ისა და შპს „დ-ის“ (ს/კ 2..) საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ზ. დ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს:

3.1. მ. გ-ეს, ა. დ-სა და შპს „დ-ს“ დაეკისროთ 4600 (ოთხი ათას ექვსასი) აშშ დოლარის სოლიდარულად გადახდა ზ. დ-ის სასარგებლოდ;

3.2. მოსარჩელეს უარი ეთქვას მის სასარგებლოდ მ. გ-ის, ა. დ-ისა და შპს „დ-ისათვის“ 4000 (ოთხი ათასი) აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრებაზე;

4. სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 დეკემბრის განჩინებით და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015

წლის 23 მარტის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებები უცვლელად დარჩეს.

5. ზ. დ-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 138 (ას ოცდათვრამეტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისროთ მ. გ-ეს, ა. დ-სა და შპს „დ-ს“;

6. მ. გ-ის, ა. დ-ისა და შპს „დ-ის“ სასარგებლოდ, ზ. დ-ს, სახელმწიფო ბაჟის სახით, დაეკისროს 360 (სამას სამოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

7. საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკიეპელი

1. ვალდებულების შესრულება
კეთილსინდისიერების პრინციპი 3
2. ვალდებულების დარღვევა
ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა
ვალდებულების დარღვევისას 25
პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა 39
ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის 45
ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის 65
3. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი
პირგასამტეხლო 83; 111; 125; 137
ბე 168